

№34 (298)

ქართული სტრუქტურა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვაც, ქართული სიტყვაც“
კვიციანი ლევან

ფასი 1 ლარი

26 VIII - 1 IX 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

განგრენა განაჩენი არაა – დაავადებული კიდეუბი ამჟთაბცინის ბარეშეც იკურნება!



»»» 89-12 33.

თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოს
მიმღებში („არამიანცი“) ტარფის კაბინეტი ბაინსა

მრავალჯერ წაბილწული კონსტიტუცია

»»» 89-8-9 33.

„კომისია 118-კაციანი იყო, აქედან რეალურად 10-15 მუშაობდა, დანარჩენები კი, სხდომებზე ხელის აწევით შემოიფარგლებოდნენ. მთავარი შემოქმედის შევარდნაქი იყო, მერე – ჯაბა იოსელიანი, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, პრეზიდენტის უფლებამოსილება შეემცილებინა, არც ბევრი სხვა ინსტიტუტის განვითარება აინტერესებდა, მათ შორის, არც – საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა. უნდოდა, კონსტიტუციაში სამხედრო ძალების მამკურად „სახალხო ლაშქარი“ ჩანერილიყო და ა.შ.“

სორბლის მფრის შეთქმულება ივანიშვილ-ლარიზაშვილის წინააღმდეგ

»»» 89-10 33.

ვინ არის კონსტანტინე ოსიპოვი და რა ბრალდებას უყენებს უფლებადამცველი მერაბ ზლადაქი

კრემლის „არქივული აბენტი“ და რუსული „ლაზეიკა“



»»» 89-2-3-4 33.


„ინტიმურ თემაზე არ ვლაპარაკობ, თორემ რაღაცები ვიცი!“

„არსებობს ტერმინი „არქივული აბენტი“ – თუ ადამიანი ბარდაიცვალა, ან რაღაცის ბამო აღარ მუშაობს, სპეცსამსახური ურთიერთობას წყვეტს, თუმცა მის საქმეს აარქივებს... სხვათა შორის, სააკაშვილის ხელისუფლებაში საბჭოთა სუკ-ის არაერთი „არქივული აბენტი“ იყო და ვინმე დამარწმუნებს, რომ „კა-ბე-ბე“-ს სამართალმემკვიდრე „ეფ-ეს-ბე“ მათ არ იყენებდნენ?“

»»» 89-11 33.

მასობრივი დაჭერები ინყება?! სანადირო თოფები სასწრაფოდ ბაიფორმით! – კანონში შეტანილი სანიდუმლო ცვლილება და ადვოკატის საგანგებო ბაფრთხილება

„ამას საკუთარი მოსახლეობის ტერორი ჰქვია. ხალხმა არ იცის და ამიტომ იარაღის მასიური ჩაბარება არ დაწყებულა. სამაგიეროდ, ეს ამბავი იცის პოლიციაში და შეუძლია, სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაელოდოს, ყველა ოჯახში „გადაუდებელი აუცილებლობის“ საბაბით შევიდეს, იარაღი ამოიღოს, მეპატრონე კი, ზანზუნსებაში მისცეს.“



საქართველო
საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კარგა ღონაძე

საკანდალური ექსკლუზივი

კრემლის „არქივული აბენტაჟი“ და რუსული „ლაზიკა“

„ქართული სიტყვის“ ტრადიციული რესპონდენტი, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე, რომელსაც წლების განმავლობაში, კონტრდაზვერვაში მალაღობა თანამდებობა ეკავა და თავდაცვის სამინისტროს ემსახურებოდა, უბრალოდ გაბრაზებული კი არა, ძალიან გაბრაზებულია. „ესენი მარსზე არიან და დედამიწაზე დროზე უნდა დაეშვან“ — ამბობს ქართველი სპეცსამსახურელი და, აღარც კი მახსოვს, მერამდენედ აცხადებს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო „რუსეთის აგენტურითაა გამოტყენილი“. ისე, დღევანდელი ინტერვიუს ნაკითხვის შემდეგ „ნათელი მომავლის“ ილუზია გაგიქრებათ. ყოველ შემთხვევაში, კონსტანტინე ფორჩხიძის ლოგიკით, რომელიც ფაქტებითაა გამყარებული, ისეთი სურათი იხატება, რომ საქართველო მალე, შესაძლოა, ისევ რუსეთის გუბერნია გახდეს, რაც ავტომატურად, სიბნელეს, ცუდ ცხოვრებასა და სხვა ათას უბედურებას ნიშნავს... მოკლედ, რას სურს პუტინს და ვინ არიან კრემლის „არქივული აგენტები“? — „ქართული სიტყვა“ აგრძელებს საუბარს კონტრდაზვერვის ყოფილ მაღალჩინოსან კონსტანტინე ფორჩხიძესთან.

— ბატონო კოტე, გაბრაზებული რატომ ხართ?
— ამათი შემხედვარე, გაბრაზებული ვიქნები, აბა, რა იქნება?! მხოლოდ არანორმალურს შეუძლია, არ გაბრაზდეს და იმას, რაც დღეს ხდება, პირდაღებულმა უყუროს!
— რა ხდება?
— სრული არაპროფესიონალიზმისა და უეცრობის ზეიმი! ეს ახლა კი არ დაინყო, თითქმის 20 წელია, ასეა: ერთი და იგივე წრე, ხალხი და ერთი და იგივე „ტიპები“ ხან ხელისუფლებაში არიან, ხან — ოპოზიციაში. არადა, ყველანი იმაზე ფიქრობენ, რომ უბრალო ადამიანებს ჯობიდან ბოლო ლარიანიც ამოაცალონ, თორემ ჩემნაირი და თქვენაირებისთვის არავინაა!
— სათავეში პროფესიონალები რატომ ვერ ხვდებიან?
— იმიტომ, რომ მათ იყენებენ და მერე, ისეთ პირობებს უქმნიან, რომ სული შიმშილით ამოხდეთ!
— კოტე ბატონო, თავს პროფესიონალად თვლით?
— დიახ, ვთვლი.
— ესე იგი, თქვენც გამოგიყენეს?
— დიახ.
— ვინ?
— თავის დროზე სტრუქტურამ და სახელმწიფომ გამომიყენა — ხელში იარაღი და მაჭყრინა და მებრძოლა. კი ბატონო, ომში ჩემი სურვილით წავედი, მაგრამ სახელმწიფო სამსახურს წარმოვადგენდი.
— სახელმწიფო გასაგებია, მაგრამ ბედი პოლიტიკურ პარტიებშიც სცადეთ...
— პოლიტიკური პარტიები შირმაა!
— აბა, ერთხანობას პარტიულ საქმიანობას რატომღა ეწეოდით?
— მაინტერესებდა... თუკი ფინანსური საშუალებები არ გაქვს, პოლიტიკაში ადგილს ვერ დაიმკვიდრებ და თუ გინდა, რომ დაიმკვიდრო, მაშინ სული რუსებს, ამერიკელებს, ფრანგებს, იტალიელებს, ან ვიღაც სხვას უნდა მიჰყიდო! საქართველოში მაფია სახელმწიფოსთან ისეა შეზრდილი, რომ მაფია, პრაქტიკულად, სახელმწიფოა! „კოზა ნოსტრა“ მეტს კი არაფერს აკეთებს — შავ ფულს შოულობს და სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებიდან შესულ თანხას საკუთარი ინტერესებისთვის იყენებს! რასაც ვუყურებ, ეს ქვეყანა არაა!
— თუნდაც რუსებს, ფული არ შემოუთავაზებიათ?
— რატომ უნდა შემოეთავაზებინათ?
— როგორც ამბობთ, ბევრი ინფორმაცია გაქვთ და, შესაბამისად, ფულით გაგაჩუმებდნენ...
— ჩემნაირი „ტიპი“ რუსებს კი არა, მხოლოდ ჩემს ქვეყანას სჭირდება!.. ჩემს თაობას, რომელმაც აფხაზეთი და სხვა ომები გამოიარა, შეუძლია, იარაღი აიღოს და სამშობლო ფულის გარეშეც დაიცვას, მაგრამ თავში ჯერ რევოლუციამდელმა ხელისუფლებამ გვირტყა, მერე — სააკაშვილის ხელისუფლებამ. დღევანდელი ხელისუფლებაც თავში გვირტყამს და ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?!
— ისე, კოტე ბატონო, „ქართული სიტყვის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ თქვენს სკანდალურ ინტერვიუს, სადაც გენშტაბის უფროსს არაერთი შეკითხვა დაუსვით, გამოხმაურება მოჰყვა?
— დიახ, მოჰყვა.
— ანუ, გენშტაბიდან თქვენზე ვინმე, როგორც იტყვიან, გამოვიდა?
— არა.
— აბა?

— ვიცი, რომ უსიამოვნო რეაქცია ჰქონდათ, მაგრამ არაფერს ვიგონებ — ეს მათი ბეგრანდია. ინტიმურ და სხვა თემებზე არ ვლაპარაკობ, მე მხოლოდ სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებს ვეხები, თუმცა სხვა რაღაცებიც ვიცი.
— ისიც იცით, მაგალითად, ვინ ვისთან ნეგს?
— ინტიმი მხოლოდ ლოგინი არაა, მაგრამ ეს თემა არ მაინტერესებს...
იმ შეკითხვებზე, რომელიც წინა ნომერში დავსვი, პასუხი მე კი არა, საზოგადოებას უნდა გასცენ!..
ჩემთვის დღესავით ნათელია, რაც ხდება — როგორც ირკვევა, აგვისტოს ომის წინ, გენშტაბის დღევანდელი უფროსი პოლონეთიდან იარაღის შესყიდვებზე იყო პასუხისმგებელი. ეს ის შესყიდვაა, რომელზეც თავის დროზე აშშ-მ უარი გვითხრა. მერე კი,

„ინტიმურ თემაზე არ ვლაპარაკობ, თორემ რაღაცები ვიცი!“

„თუკი ფინანსური საშუალებები არ გაქვს, პოლიტიკაში ადგილს ვერ დაიმკვიდრებ და თუ გინდა, რომ დაიმკვიდრო, მაშინ სული რუსებს, ამერიკელებს, ფრანგებს, იტალიელებს, ან ვიღაც სხვას უნდა მიჰყიდო! საქართველოში მაფია სახელმწიფოა! „კოზა ნოსტრა“ მეტს კი არაფერს აკეთებს — შავ ფულს შოულობს და სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებიდან შესულ თანხას საკუთარი ინტერესებისთვის იყენებს! რასაც ვუყურებ, ეს ქვეყანა არაა!“

ნინო ბურჯანაძეზე ლაპარაკობდა...
— თავდაცვის მინისტრმა ეს განცხადება, ალბათ, გარკვეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთა...
— ქალბატონმა მინისტრმა, რუსულ კონტექსტში, ფულიც ასხენა...
— ცხადია, ფულიც შემოდის, მაგრამ შენ რომ სახელმწიფო ხარ, ქვეყანა გქვია და სპეცსამსახური გყავს, რას აკეთებ, რომ ასეთი „შავი ფული“ არ შემოვიდეს და არასამთავრობო სექტორში, ექსპერტებსა და პოლიტიკურ პარტიებში არ აღმოჩნდეს? ეს ხომ ყველაზე მონყვლადი უბნებია... სასაბურთე პირობებია შექმნილი, რომ ეს შავნელი თანხა პოლიტიკურ წრეებში მოხვდეს. ეს „ლაზიკა“, გნებავთ, შავი ხვრელია, რომლითაც მეზობელი ქვეყანა ძირგამომთხრელ საქმიანობას ანხორციელებს.
— „მეზობელ ქვეყანაში“, ამ შემთხვევაში, რუსეთს გულისხმობთ?
— აბა, სხვას ვის ვიგულისხმებ?!
ისე, სიმართლე გითხრა, მნიშვნელობა არ აქვს, „შავი ფული“ რომელი ქვეყნიდან შემოვა. იმის წინააღმდეგ ვარ, რომ რუსული ფულით დაფინანსებულებზე ვთქვათ, „ცუდი ბიჭები“ არიან, მაგალითად, თურქული, ან ირანული ფულით დაფინანსებულები კი, — კარგიო...
— ბატონო კოტე, ახლა გამახსენდა: „სილქნეტი“, როგორც ცნობილია, „სი-ენ-ენ“-ს თიშავს. ამასაც პოლიტიკური სარჩული აქვს?
— აბა, რა?! რუსეთი მის ხელთარსებულ



პოლონეთი დაგვთანხმდა და საპაერო თავდაცვის სისტემები იქიდან შემოგვქონდა. ყველაფერ ამას სათავეში გენშტაბის დღევანდელი უფროსი ედგა.
— ეს დანაშაულია?
— არა, მაგრამ თუ სანდო „ტიპი“ არ ხარ, უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო შესყიდვას არავინ დაგვალებს. ეს მტკიცებულებაა!
— რისი?
— რისი და, — ვახტანგ კაპანაძე, თავიდან ბოლომდე, სააკაშვილის გუნდის წევრია და მის დავალებებს ასრულებდა — დაზვერვის უფროსის მოადგილეობამდე, პოლონეთში, საქართველოს სამხედრო წარმომადგენლობაში გააგზავნეს.
— სამხედრო იმის სამხედროა, რომ დაგალება შეასრულოს — ბატონი კაპანაძეც,

ალბათ, ასე იქცეოდა!
— როგორ გეკადრებთ?! ჩვენ სენსიტიურ და თავის დროზე გრიფირებულ თემებზე ვლაპარაკობთ. მართალია, აქედან ზოგიერთი საკითხი მოგვიანებით გასაჯაროვდა, მაგრამ ეს ქართული მხარის ინიციატივით არ მომხდარა. სხვა თუ არაფერი, დანიელ ალვირესისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლობის საკითხი წამოხსნიონ. სხვათა შორის, ალვირესი სწორედ ამ საქმეების გამოა დაჭერილი...
— აშშ ახსენეთ და, ჩვენმა თავდაცვის მინისტრმა, ოკეანისგაღმა სტუმრობისას განაცხადა, როცა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და სააკაშვილის მეგობარი რუსეთიდან საქართველოში ბრუნდება, ქვეყანაში რაღაცები ხდება. თინა ხიდაშელი

ყველა საშუალებას გამოიყენებს, მათ შორის, ბიზნესსაც. ყველაფერი ეს ჩუბაისის გეგმის ნაწილია. მოგვხსენებთ, ჩუბაისის გეგმა რუსული ეკონომიკური იმპერიის შექმნას გულისხმობს... ამიტომ, საქართველოში „ბილიანისა“ და სხვა რუსული კომპანიების შემოსვლა თავიდანვე საშიში იყო — თითოეულ მათგანს შეუძლია, „რუბლინიკი“ ჩამოსწიოს და ამით პოლიტიკაზე, ხალხის განწყობასა და იდეოლოგიაზე გავლენა მოახდინოს!
— რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი გაეროს სხდომაზე დასწრებას გეგმავს. გაეროში ქართული დელეგაცია იქნება. ბატონო კოტე, პუტინსა და ჩვენს პრემიერს
გაგრძელება გვ-3 გვ.

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშენიერებას ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ღვინო



საქართველო
ქვეყნის
ქვეყნის

„ჩემნაირი „ტიპი“ რუსებს კი არა, მხოლოდ ჩამს ქვეყანას სჭირდება! ჩამს თაობას, რომელმაც აფხაზეთი და სხვა ომები გამოიარა, შეშლია, იარაღი აიღოს და სამოქალაქო ომის ბარემაც დაიწვას, მაგრამ თავში ჯერ რაველუციად ელვა ხელისუფლებამ გვირტყა, მერე – სააკაშვილის ხელისუფლებამ. დღევანდელი ხელისუფლებაც თავში გვირტყას და ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?“

მე-2 გვერდიდან

შორის კომუნიკაცია უნდა შედგეს?

– ვის უნდა დაელაპარაკო? – პუტინს შენი ქვეყნის ტერიტორიები აქვს ოკუპირებული, უკრაინის სრულ აღებას აპირებს და მორჩა!

– ხომ შეიძლება, ქართული და რუსული დელეგაციის ლიდერები ერთმანეთს შემთხვევით, დერეფანში შეხვდნენ?..

– ეს დიპლომატიურ მოლაპარაკებას არ ნიშნავს...

– სამაგიეროდ, „დიდი დიპლომატიური მტლამა-მტლუში“ ცხინვალსა და სოხუმს აქვთ „გაჩაღებული“ – ე.წ. სამხრეთ ოსეთში აფხაზეთის საელჩო გაიხსნა...

– საელჩოს გახსნას თავი რომ დავანებოთ, აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიებზე რუსეთის ჯარის სამხედრო წვრთნა მიმდინარეობს, რომელიც 18 სექტემბრამდე გაგრძელდება. ყველაფერი ეს გაეროს სხდომას ემთხვევა, თან წვრთნები ერთი თვე უნდა გაგრძელდეს და არც ესაა შემთხვევითი...

– საუბარი საითკენ მიგყავთ?

– პუტინი გაეროში ტყუილად არ ჩადის. ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დროა.

– ასე რატომ ფიქრობთ?

– მოკლედ, ოკუპირებულ ყირიმში, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე საველე წვრთნები ნათელს პუტინის ჭეშმარიტ განზრახვას ჰყენს, ანუ ყველაფერი ეს ამიერკავკასიაზე, უკრაინის საზღვაო აკვატორიაზე კონტროლის დასაცემისა და უკრაინის ხელისუფლების სამხედრო მარნუხებში მოქცევის მცდელობაა.

– იცით, წვრთნა რას ნიშნავს? – გაშალა გეგმები, ერთი თვე აკვატორიაში დადგა და ყველაფერს აკონტროლებს.

– ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო მანევრები არამეგობრული შესტია.

– რუსეთი არც მალავს, რომ საქართველოსა და უკრაინის არამეგობრული და რომელიც „მეგობრული შესტზე“ ლაპარაკობთ, კოტე ბატონო?

– არამეგობრული შესტი საერთაშორისო საზოგადოებისთვისაა. ამასთან, საველე წვრთნები საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებებზე ზემოქმედების მოტივაციაა.

– ანუ, კრემლს უნდა, რომ მორალურად გაგვტყოს?

– დიას...

– საველე წვრთნები იმ თავხედური საზღვაო დოქტრინის შემადგენელი ნაწილია, რომელიც რუსეთის მთავარსარდალმა ამას წინათ მიიღო და რომელიც შავ ზღვაზე კრემლის ინტერესებისა და გავლენის გაფართოებას გულისხმობს. ყველაფერი ამის მთავარი სამიზნე კი, ალბათ, უკრაინის სამხრეთი რაიონები და, პირველ რიგში, ოდესის ოლქი და მისი პორტებია. ასევე, სამიზნეა მოლდოვეთის ტერიტორიაც. არაერთხელ მითქვამს, რომ ამ გეგმის შესასრულებლად რეგიონში კონფლიქტური და არასტაბილური სიტუაციის შექმნა საჭიროა, რაც პუტინს პირდაპირი სამხედრო ჩარევის საბაზს მისცემს...

– მოდი, დავაკონკრეტოთ: საველე წვრთნებით კრემლი, ვთქვათ, აფხაზეთში ახალ კონფლიქტს როგორ გამოიწვევს?

– ამ შემთხვევაში, სოხუმში მოვლენათა ცენტრი არაა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ აფხაზეთი უკვე ოკუპირებულია. რუსეთს შავი ზღვის მთელი აკვატორია სჭირდება, რადგან უკრაინის საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტოს. სხვათა შორის, მთელი უკრაინის ოკუპაციისთვის რუსეთს ტანკებით შევარდნა არ დასჭირდება...

– ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ, თორემ უკრაინა თავის თავს მიხედავს...

– უკრაინის და საქართველოს საკითხები გადაჯაჭვულია – ჩვენ ერთ რეგიონში ვცხოვრობთ.

– ახლა, სააკაშვილივით ნუ მელაპარაკებით!..

– სააკაშვილი რა შუაშია?! იმას ვამბობ, რაც რეალობაა, თორემ მიშასადმი ჩემი დამოკიდებულება ცნობილია. სხვათა შორის, სწორედ მიშა გახდებდა იმ ლოკალური შეტაკების საბაზი, რომელიც რუსეთს საშუალებას მისცემს, ოდესის ოლქში სამხედრო ოპერაციები დაიწყო!

– ასევე, არაა გამორიცხული, რომ ცხელი წერტილი, პირველ ეტაპზე, მოლდოვა გახდეს – დნესტრისპირეთში, თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკის სახით, რუსეთს შესანიშნავი სამხედრო ანკლავი აქვს. თუკი რუსეთი ამ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობას აღიარებს, მოვლენები ზუსტად ისე განვითარდება, როგორც თავის დროზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განვითარდა...

– თუ კრემლმა ასეთი მოდელირებული გეგმა აამოქმედა, რომლის აღბათობაც ძალიან დიდია, შავი ზღვის აკვატორიის მთელ ჩრდილოეთ ნაწილს ხელში ჩაიგდება და უკრაინის საკითხსაც გადაჭრის. რუსეთისთვის დღეს მთავარი ისეთი „ბლიც კრიკია“, როგორც 2008 წელს საქართველოში „გაათამაშა“.

– „ბლიც კრიკი“ რა არის?

– რამდენიმე დღიანი საომარი მოქმედება, რომლისთვისაც შესაბამისი გამაღიზიანებლის მოძებნა რუსეთს არ გაუჭირდება!

– თუკი ეს მოდელირებული გეგმა ამოქმედდა, დასავლეთი და აშშ მხოლოდ შეშფოთდებიან?

– ალბათ, რადგან სამხედრო თვალსაზრისით, ვერაფერს გააკეთებენ.

– რატომ?

– რუსეთმა ყირიმში „გადაყლაპა“, მაგრამ დასავლეთმა რა გააკეთა?!

– გამოდის, რომ პუტინი მსოფლიო მბრძანებელია?!

– ასეა...

– უკრაინის ზღვიდან ბლოკირება მხოლოდ უკრაინის კი არა, სხვა ქვეყნებსაც დააბრტყავს, მათ შორის, საქართველოსაც.

– ანუ?

– ეს ბლოკირება ჩვენს ეკონომიკასა და ლარის ინფლაციაზე აისახება.

– სხვათა შორის, ჩვენი ქვეყნის „პირვე-

სკანდალური ექსკლუზივი

ლებმა“ განაცხადეს, ლარი იმიტომ უფასურდება, რომ ბიზნესმენები დოლარს ინახავენო...

– ბიზნესმენი დოლარს იმიტომ ინახავს, რომ თავისი ბიზნესის არასტაბილურ პროგნოზს აკეთებს... უკრაინისთან ვაჭრობის უარყოფით სადღო, წარმოგიდგენიათ, ჩვენს ეკონომიკაზე როგორ იმოქმედებს? არც ის დაგვაინტერესებს, რომ საქართველოსა და მოლდოვას შორის ეკონომიკური ვაჭრობა უკრაინის გავლით ხორციელდება. ასევე, პოლონეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა სწორედ უკრაინის გავლით გვაქვს...

– რაც შეეხება გამაღიზიანებლებს...

– ვიდრე ამ თემაზე გადახვალთ, ბატონო კოტე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად დაადასტურა, რომ რუსულმა საფრენმა აპარატმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია...

– სწორედ მაგის თქმას ვაპირებდი. საჰაერო სივრცის დარღვევა რას ნიშნავს?

– რას და, – უცხო ქვეყნის თვითმფრინავმა ჩვენი საჰაერო საზღვარი გადმოკვეთა!

– როგორ გეკადრებათ?! მხოლოდ მედია კი არა, ხელისუფლებაც ამბობს, საქართველოს საჰაერო საზღვრის უკანონო დარღვევა მოხდაო, მაგრამ ეს არასწორი შეფასებაა. მეტიც, ასეთი განცხადებები რუსული პროპაგანდის ნაწილია, რადგან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზი სახელმწიფო საზღვარი არაა, თუმცა რუსეთი სწორედ იმის წარმოჩენას ცდილობს, რომ ეს სახელმწიფო საზღვარია.

– სხვათა შორის, ასეთ ფრენებს წმინდა სადაზვერვო ხასიათი აქვს. ამ ქმედების ერთადერთი სწორი შეფასება ის იქნებოდა, რომ ქართულ მხარეს ეთქვა, რუსეთმა პროვოკაცია მოახდინა. ამ პროვოკაციის ერთადერთი მიზანი კი, ხელისუფლების წერვების გამოცდაა...

– ბატონო კოტე, მსოფლიო პრაქტიკით, როცა საჰაერო სივრცე იკვეთება, უცხო ქვეყნის საფრენი აპარატი ჩამოგდებას, ასე ვთქვათ, ექვემდებარება?

– დიას, ან უნდა ჩამოგდო, ან ძალით უნდა დასვა.

– ჩვენებს რუსული საფრენი აპარატი რომ ჩამოგდოთ. ეს პროვოკაციაზე ნამოგება იქნებოდა?

– დიას.

– მაშინდამე, ქართული მხარე გონივრულად მოიქცა?

– გონივრულია, რომ არ ჩამოვადგეთ, მაგრამ სამაგიეროდ, ისეთი განცხადებები გააკეთეს, რომ წყალი ისევ რუსეთის ნისქეზე დაასხეს. ისე, ეს ადმინისტრაციული საზღვარიც არაა.

– აბა, რა არის?

– ოკუპაციის გამყოფი ზოლი ყველაზე ადექვატური ტერმინია.

– მოკლედ, ყველა განცხადება, რომელსაც სახელმწიფო უწყება აკეთებს, კარგად ანონილ-დანონილი უნდა იყოს...

– გაეროში ჩვენმა დელეგაციამ ამ თემაზე უნდა ილაპარაკოს?

– რა თქმა უნდა, მით უმეტეს, იქ რუსეთის პრეზიდენტიც იქნება, რომელიც საბჭოთა კავშირის თავხედურ სამხედრო პოლიტიკას აგრძელებს და ამით მსოფლიოში თავის როლს ზრდის, ანუ მსოფლიოს კონფლიქტური სიტუაციების თავის გეგმას სთავაზობს. მარტივად რომ ვთქვა, პუტინი ცდილობს, ხაზი გაუსვას, რომ რუსეთი მსოფლიოს ისეთივე შესახელმწიფოა, როგორც თავის დროზე თითქოს საბჭოთა კავშირი იყო...

– ამ ფონზე, კრემლს, მაპატიეთ და, სულ ფეხზე არ ჰკიდია, ქართული დელეგაცია გაეროში რა განცხადებებს გააკეთებს?

– რა თქმა უნდა, ჰკიდია. მას თავისი სტრატეგიული გეგმა აქვს, მაგრამ გაერო მსოფლიო ტრიბუნა და ამიტომ, ჩვენი საქმეელი უნდა ვთქვათ...

– ისე, ამ დღეებში, საქართველოს ნატოს ახალი გენმდივანი პირველი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრება...

– შემთხვევითი არც ესაა, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ: იმ დროს, როცა ნატოსა და, საერთოდ, დასავლეთისკენ მივიწინააფით, მაგალითად, თავდაცვის სამინისტრო რუსეთის აგენტებით გვყავს გამოტენილი!

– აგენტი როგორ უნდა გამოავლინო?

– ამაზე სპეცსამსახურებმა უნდა იზრუნონ.

– მზა რეცეპტი არ არსებობს?

– არა... საერთოდ, კონტრდაზვერვა ერთჯერადი აქტი კი არა, პროცესია...

– რომელიმე უცხო ქვეყნის აგენტი გამოგვივლინო?

– ფაქტზე არავინ დამიკავებია, მაგრამ არსებობდა ფიქსირებული ფაქტები, ანუ ვიდეო-აუდიო მასალები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ესა თუ ის პირი რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირზე იმყოფებოდა. შესაბამისად, მის მიმართ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ვატარებდით.

– „პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება“ რას მოიცავს?

– თუკი ასეთ „ტიპი“ სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობს, მისი ჩამოცილება უნდა მოხდეს, რითაც აგენტის გავლენა შემცირდება და ძირგამომთხრელი საქმიანობის შანსიც ნაკლები იქნება.

– უცხო ქვეყნის აგენტი, უჭყველი, სახელმწიფო სამსახურში უნდა მსახურობდეს?

– არა, მაგრამ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურისთვის აგენტი ღირებული მაშინაა, როცა მას საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა აქვს და მისი დამუშავება შეუძლებელია.

– გაგრძელდება მე-4 გვ.





საქართველო
საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კონსტანტინე

სკანდალური ექსკლუზივი

მ-3 გვერდიდან

ია...

— აგენტურაში ე.წ. დონეები არსებობს — ვთქვით, პირველი კლასის აგენტი და ასე შემდეგ?

— არა... სპეცსამსახური ჩვეულებრივი კონფიდენციალური წყაროს, გნებავთ, აგენტის გარეშე ვერ იარსებებს, თუმცა არსებობს გარკვეული გრადაცია — არსებობენ ერთგვრადი ინფორმაციის მომპოვებელი აგენტები, ასევე, „დაამუშავებაში შესაყვანი“ აგენტები და ასე შემდეგ... მთავარი ოპერატიული კავშირის დამყარება არაა — ადამიანი შეიძლება, გადაიხირო, მაგრამ თუ არ აღზარდე, ანუ არ ასწავლე, ინფორმაცია როგორ უნდა მოიპოვოს და დაამუშავოს, არაფერში გამოგადგება. ასევე, აგენტმა ის მეთოდიც უნდა იცოდეს, თუ როგორ არ უნდა „გაიშიფროს“...

— ყოფილი აგენტები არსებობენ?

— არა... არსებობს ტერმინი „არქივული აგენტი“ — თუ ადამიანი გარდაიცვალა, ან რაღაცის გამო აღარ მუშაობს, სპეცსამსახური ურთიერთობას წყვეტს, თუმცა მის საქმეს აარქივებს...

— აგენტი სპეცსამსახურმა შეიძლება, მხოლოდ ერთხელ გამოიყენოს და „შეეშვას“?

— არა... სხვათა შორის, სააკაშვილის ხელისუფლებაში საბჭოთა სუკის არაერთი „არქივული აგენტი“ იყო და ვინმე დამანრმუნებს, რომ „კა-გე-ბე“-ს სამართალმემკვიდრე „ეფ-ეს-ბე“ მათ არ იყენებდა? ისე, „დუბლიაჟიც“ ხდებოდა.

— ეს რაღაა?

— იმ საქმის ერთი „დუბლიკატი“, რომელიც საქართველოში იკვრებოდა, მოსკოვში იგზავნებოდა და იქ ინახებოდა. ამიტომაც, ვამბობ, ვერაფერს დამანრმუნებს, რომ „ეფ-ეს-ბე“ ამ „არქივულ აგენტებს“ არ იყენებს! საერთოდ, „გე-რე-უ“-ს აგენტურა საქართველოს უშიშროების სამსახურისთვის უცნობია.

— „გე-რე-უ“, უხეშად რომ ვთქვათ, რუსეთის სამხედრო დაზვერვაა, არა?

— დიახ.

— „გე-რე-უ“-სთან კავშირზე მხოლოდ სამხედროები არიან?

— არა... მაგალითად, „გე-რე-უ“-სთან კავშირზე საქართველოში, რუსული სამხედრო ბაზების გარშემო მცხოვრები მოსახლეობაც იყო...

— ვიცო, მიაბიტიურად უღერს, მაგრამ მაინც უნდა ვიკითხო: აგენტს გარეგნულად რაზე ეტყობა?

— (ილიძე) რა უნდა შეეცადოს?!

— ბატონო კოტე, რა ამის პასუხია და, წელან სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის გამწვავებული ვითარება საქართველოს კონტექსტში ასხევეთ...

— მგონია, რომ ესეც რუსული სცენარი ია...

— კარგი, ახლა, ყველაფერს რუსეთს ნუ „დააბრალებთ“...

— კი არ ვაბრალებ, უბრალოდ, ლოგიკაა: რუსეთი ჩვენი რეგიონიდან აშშ-ს ყურადღების გადატანას ცდილობს, ანუ მას უნდა, რომ მსოფლიოში კონფლიქტის მრავალი წერტილი იყოს და, როგორც წელან ვთქვი, კრემლი ამით მსოფლიოს დაარწმუნებს, რომ კონფლიქტების მოგვარების ერთადერთი გამოსავალი ძალოვანი ჩარევაა. ჩემი აზრით, გაერო-ში პუტინი განცხადებას სწორედ ამ მიმართულებით გააკეთებს და ლიად იტყვის, რომ მსოფლიოში ახალი წესრიგი უნდა დაამყაროს. ბოლოს და ბოლოს, პუტინს მე-20 საუკუნის ყველაზე დიდ გეოსტრატეგიულ კატასტროფად საბჭოთა

კავშირის დაშლა მიაჩნია!

ამ ფონზე ჩვენ აბსოლუტურად დაუცველები ვართ, მით უმეტეს, რომ კრემლმა უკრაინას ამხელა ყირიმი ჩამოაჭრა და მიიერთა. ჩავთვალოთ, რომ დონეცკის ოლქიც უკვე რუსეთისაა და თუკი ამას ოდესის ოლქიც დაემატა, უკრაინისგან რაღა დარჩება?!

— გამოსავალი არსებობს?

— დიახ.

— სახელდობრ?

— აშშ-მ, რომელიც გვეუბნება, რომ მისი სტრატეგიული პარტნიორი ვართ, ამ პარტნიორობის თამასა უნდა ასწიოს.

— როგორ?

— როგორ და, — როგორც ისრაელისა და კორეის შემთხვევაშია, ანუ აშშ-მ საქართველო თავის სტრატეგიულ მეკავშირედ ოფიციალურად უნდა აღიაროს და ამით რეგიონში სტატუს-ქვო შენარჩუნდება. აქ იმაზე კი არაა ლაპარაკი, რომ ქვეყანა უცებ გამოთლიანდება, არამედ, იმაზე, რომ რუსეთმა ჩვენი სხვა ტერიტორიებიც არ „გადაყლაპოს“... თუ არ ვცდები, შარშან თუ შარშანწინ, რამდენიმე სენატორმა ის საკითხი წამოხსნია, რომ საქართველოსა და უკრაინისთვის სტრატეგიული მოკავშირის სტატუსი მიენიჭებინათ. ამიტომ, ჩვენი ხელისუფლების მთავარი ამოცანა „ნატო, ნატო“-ს ძახილი კი არაა, არამედ, ყველაფერს უნდა აკეთებდეს, რომ აშშ-მ საქართველო პარტნიორობის მდგომარეობიდან მოკავშირის მდგომარეობაზე გადაიყვანოს, თორემ რუსეთს უკან დასახევი არაფერი აქვს — მანქანა ჩართო: საქართველოში ლოკალური ომი გამოსცადა, უკრაინაში ნელინადზე მეტია, ფართომასშტაბიან ომს აწარმოებს და არ გაჩერდება. ხომ ნახეთ, რუსეთის წინააღმდეგ ფინანსურმა სანქციებმა დასავლეთს არაფერი მისცა.

— ერთი შეხედვით, ასეა, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე ნავთობი თანდათან იაფდება, რაც კრემლისთვის სერიოზული „დარტყმა“ა.

— დიახ, მაგრამ ნავთობის გაიაფება ოპეკის სხვა ქვეყნებსაც „დაარტყამს“, რაც მათ განწყობას შეცვლის, ანუ უნდათ თუ არა, რუსეთის მეკავშირეები გახდებიან.

— რატომ?

— როგორ გგონიათ, ნავთობმომპოვებელი ქვეყნები, რომელთა შემოსავლის მთავარი წყარო ნავთობია, ამ გაიაფებას მეგობრულად აღიქვამენ? ავიღოთ ვენესუელა, რომელიც ნავთობმომპოვებელია, რუსეთის მეგობარია და არავის აინტერესებს, აშშ-ს მეზობლად რუსული ინტერესები რატომ გაჩნდა?

— ...ბატონო კოტე, ადრეც გკითხეთ და კიდევ გკითხებთ: შემოდგომაზე, თქვენი ინფორმაციით, რა მოხდება?

— ამას წინათ, „ნაციონალებმა“ განაცხადეს, 2016 წელს არ დაველოდებით და საქმეს რიგგარეშე არჩევნებამდე მივიყვანოთ.

— რიგგარეშე არჩევნებს ახლა რაღა აზრი აქვს?

— შეიძლება, აზრი არ აქვს, მაგრამ პოლიტიკური ძალა ასეთ განცხადებას, როგორც წესი, შემთხვევით არ აკეთებს ხოლმე, ანუ როგორც ჩანს, „ნაციონალები“ პროცესის ქუჩაში გადატანას და ამით დასავლეთის ყურადღების მიქცევას ცდილობს. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური „ტრიუკია“, რომლის მიზანიც „ოცნების“ დემორალიზაციაა.

ესაუბრა ვანო პავლიაშვილი (თემის გაგრძელება იქნება)



„სპეცსამსახური ჩვეულებრივი კონფიდენციალური წყაროს, გნებავთ, აგენტის გარეშე ვერ იარსებებს, თუმცა არსებობს გარკვეული გრადაცია — არსებობენ ერთგვრადი ინფორმაციის მომპოვებელი აგენტები, ასევე, „დაამუშავებაში შესაყვანი“ აგენტები და ასე შემდეგ... მთავარი ოპერატიული კავშირის დამყარება არაა — ადამიანი შეიძლება, გადაიხირო, მაგრამ თუ არ აღზარდე, ანუ არ ასწავლე, ინფორმაცია როგორ უნდა მოიპოვოს და დაამუშავოს, არაფერში გამოგადგება. ასევე, აგენტმა ის მეთოდიც უნდა იცოდეს, თუ როგორ არ უნდა „გაიშიფროს“...

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხო შენით ითქვა;
დადგება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“


კარინა ლინჩი



საქართველო
საქართველო

საქართველო

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზენარი გადაეფარა, — და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი ალაზნის ველზედ წამოიხარა. ლამის გუშაგი, მუდამ მჭმუნავი, მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა, მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი იმის სხივებთან მუსაიფობდა. შორნი მნათობნი მოკამკამენი იმ მწუხარს ლამის მხიარულობდნენ, მდუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი, სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ. და იმ მნათობთა სხივის ალერსით ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა, მხოლოდ ნიაგი მთისა — მოლხენით ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა. და ალაზანი შეუპოვარი ჰჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა, მის ბუტბუტს მარტო მთაი მდუმარი დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა. ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა, თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა!.. მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე მიჭრიალებდა, გზას ალვიებდა, და ნალვლიანად მასზედ მეურმე მწუხარს სიმღერას დაჰლუნუნებდა. ლულუნი იგი ჩამრჩენია გულს, მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი, მაგრამ თუ ნალველს მოჰბერს დაჩაგრულს, უკუ-ყურის კიდევ ვით ღრუბელს ქარი. მიდის ურემი და უეცრად ვილაცამ ტყედამ ასკუბა ცხენი, მოვარდა იგი ურემს მედგრად, მჭმუნვარე სახის ამყავდ მჩენი. — ვერ მიმასწავლებ კუდი-გორის გზას? — ჰკითხა თამამად მან მეურმესა. — რატომ ვერ, ძამო! აგერ აიმ მთას მარჯვნივ აუხვევ და გახვალ ხევსა, ერთი საურმე გზა დაგისვდება; იმ გზას დაადგე, ნადი და როცა ცხვირნამონვდილი მთა შეგეყრება, ის მთა იქნება კუდი-გორაცა. იქ რა გინდა შენ? — ჰკითხა მან ბოლოს, როს გაათავა გზისა სწავლება: — იქ საფრთხე რამე არ დაგემართოს, ბლაჭია შვილი იქ იმყოფება. მე, როგორც ვხედავ, შენც კი გაქვს მკლავი, ბევრს შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარდები, მაგრამ მაინც თუ გებრალვის თავი — ბლაჭია შვილს ნუ დაენახვები, ნურც დაანახვებ შენს ქურანს ცხენსა, თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა! მალია, როგორც სირიშის ტყვია, და ტყვიასავით დაუნდობელი; თუ სისხლი ჰმარტებს, ისა სჯობია, შვარჩინო და აილო ხედა. — შენ ფიქრი ნუ გაქვს!.. მეც იმას ვეძებ, მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული; როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ, ამ დღითგან თავზედ ხელაღებულო! — და, რა სთქვა ესა, მოხდენით ცხენი მოსხლიტა უცებ ლაზათიანმა; გაფრინდა ცხენიც, ვით შვარდენი, და მის ფეხის სმას ხმა მოსცა მთამა. თითქო შენატრდა იმას მეურმე, „ახ, ნეტავი შენ!“ — წაიდუღუნა და, გაიქნია რა თავი გერმე შურით, ხარს შოლტი გაუტყლა შუნა, და მერმე ისევ უფრო მწუხარედ თვისი სიმღერა დაილულუნა. კუდი-გორასთან ერთი ტყე არი, — უნინ ყაჩაღის იყო საფარი, — საშიში, ბნელი, გულდახურული, შეუვალი და წამობურული. იქა ცხოვრობდა ბლაჭია შვილი კაკო, ყაჩაღად გამოვარდნილი. მთვარე ჩასული იყო დიდ ხნისა, როცა იმ ტყეში, ერთ ხის ძირასა, ფრთხილად ეძინა ბლაჭია შვილსა, ბედისგან მწარედ განანირალსა. მის შორი-ახლო ლამაზი ცხენი კაზმ-მოუხდელი სძოვდა ბალახსა, და მას ფოთოლნიც მოშრიალენი ხშირად უფრთხობდნენ მოსვენებას. უეცრად შეჰკრთა, აცქვითა ყურნი, თავი აილო და გაიხედა; მერე ტირილით იწყო ფრუტუნე და ერთს ალაგსა ზედ დააქქერდა; დიდ ხანს უტქერდა და, რა მოესმა თავისის მომის ცხენის ფეხის ხმა, ვერ მოითმინა, დაინიხინა და პატრონს ძილი დააფრთხობინა. წამოხტა კაკო ლომოდენი ზეზე, თოფი მოზიდა და შეაყენა და, რა იხილა მხედარი ველზე, შეჰკვილა: „მითხარ, ვინა ხარ შენა?“



ილია ჭავჭავაძე რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან

მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები

რისთვის მოსულხარ, — მოყვრად, თუ მტრადა?“
მ ხ ე დ ა რ ი
მოყვრად, გულფიცხო, იყავ მშვიდადა.
კ ა კ ო
თუ მოყვარე ხარ, მამ გამარჯობა! კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.
მ ხ ე დ ა რ ი
ამინ!.. შენ არ ხარ ბლაჭია შვილი?
კ ა კ ო
— დიალ! გახლავარ!.. რა გნებაგ შენა?
მ ხ ე დ ა რ ი
— შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი, შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა.
კ ა კ ო
— მომწონს ეს სიტყვა... შენც მომწონენ და ამისთვისაც გენდობი შენა.
მ ხ ე დ ა რ ი
გულს გაური იცნობს და ღონეს-ღონე, მენდე, გაგიყო ჭირი და ღხენა.
კ ა კ ო
— ხომ-გელდი, ძამო!.. მე ვარ მდიდარი, ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა; გაშობთა არის ჩემი სახლ-კარი, და ვერას მაკლებს აქამდინ მტრობა. ყოველ ხის ძირას ჩემი სახლია, სად მიღამდება, იქ მითენდება; თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია, მაგრამ აქ ჭირიც მიადვილდება... უსახლკარობა, შიში, შიშშილი, მარტოკა გდება მხეცივით ტყეში, კურდღლევა ვითა ფხიზელი ძილი და იარალი დღე-ღამე ხელში, — მართალია, ძამე, კაცს მოსწყინდება ძუნწი ცხოვრება ეს დასალონი, მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება, სადაც ჩვენივე ვართ ჩვენი ბატონი!.. მე თანა მყვანან რკინისა ძმები: ჩემი სიათა, დამბაზა, ხმალი... არც მიმტყუნებენ, არც ვემტყუნები, მინამ მაქვს მკლავი თავისუფალი ეს ცხენიც, ძამო, ჩემთან შეზრდილა, მოუდრეკია როგორც რომ ჟინი; ჩემთან საფრთხეში ბევრჯერ ყოფილა, გამოუვლია ჭირი და ღხენი. ამათ მივანდე ჩემი ცხოვრება! არ აიყრიან გულსა ჩემზედა, და კაკოც ისე არ გაძუნდება, რომ არ დააკვდეს ერთგულზედ ზედა, ჩემი სიმდიდრე აი ეს არი!.. ჩემს სამეფოში არ არის გმობა, თუმც ორგულთან ვარ დაუნდობარი, მაგრამ ერთგულთან მეც ვიცი ძმობა. ჩამოხვე, ბინას გაჩვენებ, წამო! ღარიბულადა მე დაგისვდები, და ნუ დამძრახავ ყაჩაღსა, ძამო, თუ მასპინძლად ვერ მოგეწონები. მხედარი მყისვე გადმოხტა მარდად და წამოჰყარა ადვირი ცხენსა; ჩამოუჭიმა ყურები მაგრად

და თვალზედ მზრუნველს უსვამდა ხელსა. მოჰხსნა ნაბადი, ჩაკრული უკან, ხურჯინიც სასვე გადმოილო მან, მერე გადაჰკრა ხელი გაგაზედ და მყის გაიგდო ცხენი ბალახზედ. შემდეგ მოვიდა იგი სტუმარი, კაკოს პირდაპირ დადგა მდუმარი. მათ ერთმანეთი თვალით გაზომეს, და მოეწონნენ ორნივე ერთმანეთს. მივიდნენ წყნარად და ხის ძირს დასხდნენ, მდუმარედ იყვნენ ორნივე დიდ ხანად, ერთმანეთს თითქო კიდევ სინჯავდნენ, ბოლოს კი კაკომ უთხრა თამამად: — ვიცი მე, ძამო, არ გამიწყრები და არ დამძრახავ მეტ კითხვისთინა: მითხარ, საიღამ გემცნაურები? ჩემთან მოსვლა რამ გაგაბედვინა?
მ ხ ე დ ა რ ი
— შენი გაცნობა არ არის ძნელი, ამაზედ რალა ვილაპარაკო, შორს გაგვარდნილა შენი სახელი, ბავშვმაც კი იცის, ვინ არის „კაკო“! შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი, ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქვს; შენი ამბავი, ესლა მართალი, ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს. შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი, გამოჰქვეყნებარ უსამართლობას, ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი, ბარაქალა მაგ გულკეთილობას!.. რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს — ეგ ვერაფერი სიყვარულია, სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, — ვინც ბედისაგან დაჩაგრულია! მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა, გლეხკაცი როგორც ძმა ჰყვარებია, გლეხკაცის ბედი, ჭირი და ღხენა, შვილსავით კალთით უტარებია! აბა, კაცოცა ისა ყოფილა და ქუდიც იმას, ძამე, ჰხურებია! ნეტავ იმ დედას, ვისგანც გაზრდილა და ვისაც ძუძუ უწოვებია!.. მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს, ესლანდელ დედამ ვეღარ გაზარდოს... ჯერ არ მენახე, მაგრამ გიცნობდი, შენი ცხოვრება მენატრებოდა; შენთან წამოსვლას ბევრჯერ ვფიქრობდი, მაგრამ სახლ-კარი მენანებოდა, ბოლოს კი, ძამო, გამიწყრა ღმერთი, დამიტრიალდა უკუღმა ბედი!.. ყური მომიგდე, გეტყვი ყველაფერს, რაც გადამკიდა მწუხარებამა, და როგორც, ერთ დროს ბედის მაღლიერს, გზა დამიხლართა ბედისწერამა! მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა. წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი, ჩემს სახლ-კარიდან გამაგდეს შორა. ჯერ კი დავღონდი, დაჩაგრე გული,

ყოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა... სხვები ჰლხინობდნენ, და მე კი ლული ცრემლისა თვალზედ არა მშრებოდა. პატარა ჩემი ამხანაგები ჩემ გულჩვილობას იქ დასცინოდნენ, დავინყებოდათ თავის დარდები, როცა ისინიც ჩემებრ სტიროდნენ!.. მეც კი მრცხვენოდა ჩემის ცრემლისა, ჩემს ამხანაგებს გავექცევოდი, მივუჯდებოდი ერთ ბურქის ძირსა და იქ მარტოკა დიდხანს ვტიროდი. მაგრამ ღრუბელმა გადაიარა, თან გადიტანა ჩემი ნალველი; პატარა გულმა გამოიდარა და შეუბრუნა ნალველსა ხელი. ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე, კიდევ ვლხინობდი, კიდევ ვმღეროდი; ჩემს სახლ-კარზედ არც დღე, არც ღამე აღარ ვფიქრობდი, არ ვლონდებოდი. ძამო! რა ტკბილად, რა უდარდელად ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ! არარა მქონდა იქ საფიქრელად, ჩემი მოძმენი არ მაძალბებდნენ. ძროხას ვუვლიდით ჩვენ ერთგულადა, გავიზიარეთ ყველამა საქმე და რიგ-რიგითა ყველა ძმურად ვყარაულობდით ძროხასა ღამე. რაკი მთას იქით მზე დანეცებოდა და გაეკვროდა ვარსკვლავი ცასა, გაშლილი ძროხა მოგროვებოდა და დავინყებდით ყველანი თვლასა. და დავაბამდით რაკი ძროხასა. ტყის პირს ერთს დიდ ცეცხლს გავაჩალებდით და მოვიტანდით ჩვენ ჩვენს საგზალსა, ცეცხლსა გარშემო მოვუსხდებოდით. ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი, ხეზედა მძინარე ფრინველს აფრთხობდა; მოგვერეოდა თუ მერე ძილი, ერთი ჩვენგანი ზღაპარს იტყოდა. რაკი ტრენის-ფრად ცა ინათებდა და შორს ცისკარი კამკამს იწყობდა, მეძროხე ვინმე დაგვიძახებდა და დილის ტკბილსა ძილს დაგვიფრთხობდა. ავიშლებოდით და ჩვენის ხმითა მკვდარი მთა, ბარი გაცოცხლდებოდა, და თავის ძროხას ყველა ზღაზღნითა ასაშვებლად მიესვოდა. ზოგი აქ მიდის თეჟა-მოსხმული და მიიფშვენტავს ზარმაცად თვალსა, სხვა იქ მიიღმერს სადღონებული და ერეკება თავის ძროხასა; და ერთს წუთს უკან ძროხა ბლავილით გაიშლებოდა ფართო მინდორზედ, და ჩვენ კი ხტომით, მღერით, ძახილით მოვგროვდებოდით მთის ცივ წყაროზედ: პირს დავებანდით, ძილს დავიფრთხობდით, მთის წყაროს წყლითა გაგვრილდებოდით, ვხტოდით, ვიძახდით, ვლაზღანდებოდით და ზეზურედ დავენაყრდებოდით; მერე ვმართავდით თამაშობასა, ხან ქვას ვისროდით, ხან ბურთსა მალდა, და შუადღისა გოლვისა ფაშსა ჩამოვრეკავდით ძროხასა დაბლა; ალაზანშია ვყრიდით ძროხასა, თან ჩავეყვებოდით უკანაც ჩვენა... ბევრიც სხვა ახსოვს ჩემ ბიჭობასა, მაგრამ სად არის ესლა ის ღხენა?! სალამოს ფაშზედ ისევ იმ-რიგად ცეცხლსა ანთებულს მოვუსხდებოდით და ისევ ზღაპარს გლეხურს მორიგად თითოსა მაინც ყველა ვიტყოდით. ის ზღაპრები მე გულს მილონებდნენ და აქამდინა დამრჩენენ სსოვნაში, ძველებურს დროსა შემავყარებდნენ იმ ჩემ მხიარულ ყმანვილობაში. ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა! ის მე ბევრს რასმე გულს ჩამამახებდა, ხან მომალხენდა, ხან მალონებდა... არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა, ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული, ის იყო ჩემი ჯავრი და ღხენა, ის იყო ჩემი გული და სული. ეგრეთ გონება ხალისიანი არსენას ამბით მე მეზრდებოდა: მიყვარდა მე ის კეთილდინანი და არსენობა მენატრებოდა. ეგრეთ მინდორზედ, ძამო, ვყვავოდი ჩემს ბიჭობაში შეუპოვარი, ჩემს სახლ-კარზედა არა ვდარდობდი, შინაურობის არ მქონდა ჯავრი! მე ჯერეთ ვიყავ პანანკინტელი და მაღლიერი ჩემ კეთილ დღისა და მე მეგონა, რომ ჩემებრ ყველა მაღლიერია თავის ბედისა.



საქართველო
საქართველო. ქოველკვირეული

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“
კარგა ჯიბა

პროზა

თაშაშრო

ვანო ჰავლიაშვილი

თამაშოს არ ვიცნობ... მასზე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი მეგობრის შვილის დაქალია...

იმ ამბებიდან, რასაც ჩემი მეგობარი მიყვება ხოლმე, ვასკენი: თამაშო ჩვეულებრივი ლაღი და მხიარული გოგოა, აი, ისეთი, რომელიც გულშიც კი არასოდეს გაივლებს, რომ უბედურია. ყოველ შემთხვევაში, გარემომყოფები, ალბათ, ასე ფიქრობენ...

ჩემი მეგობრის შვილიც კარგი შერევილია. რაც თავი მახსოვს, სულ ასეთია: ბავშვობაში ერთ პროვინციულ ქალაქში ცხოვრობდა. ჰოდა, უცებ მოგზაურობა მოუნდა, დაჯდა თბილისის მატარებელზე და დედაქალაქში ჩამოვიდა. აი, აქ კი, დაიბნა — ამდენი მალაქსართულიანი სახლისა და ხალხის დანახვაზე, ველარ გაიგო, რა უნდა ექნა.

ცოტა ხანს რკინიგზის სადგურში იყურყუტა.

მაშინდელმა მილიციამ შეამჩნია. მივიდა, ჰკითხა, შვილო, ვინ ხარ, რას ეძებო. ადგა ჩემი მეგობრის ეს შერევილი პირმშო და „ძია მილიციელს“ ჩამოუკაკლა, ესა და ეს ვარ, ამ და ამ ქალაქიდან თბილისში სამოგზაუროდ ჩამოვედი, მაგრამ ვერ ვიგებ, სად უნდა წავიდეთ. „ძია მილიციელმა“ ხელები შევიღოთ გაზრდილ ღიპზე შემოინყო და სამწუნთახვევრიანი პაუზის შემდეგ, შერევილ მოგზაურს მკვახედ ჰკითხა:

— მშობლები არ გყავს?

— დიასაც, მყავს, — ამაყად მიუგო შერევილმა, — დედაჩემი აქა და აქ მუშაობს და იცოდე, თუ დამიყვირებ, ვეტყვი და სამსახურიდან გაგაგდებსო!

„ძია მილიციელმა“ გოგონას თავზე ხელი გადაუსვა, შენ რა კარგი ვინმე ხარო...

მოკვლევ, ასე იყო თუ ისე, შუალამისას, ჩემს მეგობარს რკინიგზის სადგურის მილიციის განყოფილებიდან დაურევს, ქალბატონო, ეგებ, მობრძანდეთ და თქვენი ქალიშვილი წაიყვანოთო.

გაუსკდა გული ამ ჩემს მეგობარს, ჩემს 8-9 წლის ქალიშვილს რკინიგზის მილიციაში რა უნდაო და შინიდან ისეთი თავქუდმოკლეჯილი გადარდა, მხოლოდ ქუჩაში გასულმა აღმოაჩინა, რომ პიჟამოს გამოცვლა დაავიწყდა...

რალა ბევრი გავაგრძელო და, სულაც არ მიკვირს, რომ ჩემი მეგობრის შვილის დაქალი თამაშოც ჩემი მეგობრის შვილივით შერევილია.

ისე, ხანდახან მგონია, რომ შერევილები ყველაზე სევდიანები არიან. გუშინ თუ გუშინწინ, ჩემი მეგობრის შვილმა სამსახურში შემომიქროლა; ჯინსის „შორტები“ ეცვა, ენერგეტიკულ სასმელს წრუპავდა...

იქოთქოთა, იქოთქოთა...
რალაცნაირი მომეჩვენა.
— რა გჭირს-მეთქი?
— არაფერიო...
არ მოვეშვი...
— მომანვიგინე და გეტყვი, რაც მჭირსო, — გარიგება შემომთავაზა.
— ქალი და სიგარეტი-მეთქი? — გავესუმრე.
— ნეტამც, შენო, — მადაინად გააბოლა, — წავიდაო, — წამოისროლა.
— ვინ წავიდა, ან სად-მეთქი, — დავიბნენი.
— ერთი ადამიანი წავიდა ჩემი ცხოვრებიდანო...
— ეგეთ რალაცებზე როდის აქეთ ჯავრობ-მეთქი?
— არ ვჯავრობ, „პროსტა“, მე კი არ გავაგდე, თავისით წავიდა და ამაზე „ვჭედავო“...
გამეცინა...
იმანაც გაიცინა, თუმცა ეს უდარდელი სიცხილი არ იყო...
— აბა, წავედიო, — პაპიროსი საფერფლეს მიასრისა...
მინდოდა, მეკითხა, თამაშო როგორ არის-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე...

...თამაშოც და ჩემი მეგობრის შვილიც შერევილები არიან...
ჩემი მეგობარიც შერევილია...
მეც შერევილი ვარ...
კიდევ რამდენიმე შერევილს ვიცნობ...
აუ, რა მაგარი იქნებოდა, რომ დედამინაზე მხოლოდ შერევილები ცხოვრობდნენ! მაშინ, ამ პლანეტას „დედამინა“ კი არა, „შერევილთა მინა“ ერქმეოდა და... ადამიანებიც უფრო ბედნიერები ვიქნებოდით...

თამაშოს არ ვიცნობ, თვალთაც არასოდეს მინახავს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ თამაშო ამ დუნიაზე ყველაზე სევდიანი გოგოა...

ყველა შერევილი, სინამდვილეში, სევდიანია, მაგრამ არ იმჩნევს...
გინდათ, თქვენც შერევილი იყოთ? კი ბატონო, რა პრობლემაა, ოღონდ ერთი პირობის შესრულება მოგიწევთ!
მზად ხართ?!

თუ დიას, მაშინ, ახლავე, ამ წამს დაინყეთ ფიქრი... გაფრენაზე.
და გასსოვდეთ:
ჩვენ, ყველანი, აუცილებლად გავფრინდებით და „შერევილთა მინას“ ზემოდან გადმოვხვდებით!

თამაშო შერევილია...
ჩემი მეგობრის შვილიც შერევილია...
ჩემი მეგობარიც შერევილია...
მეც შერევილი ვარ...
ჩვენ, ადამიანები, შერევილები ვართ და... სიცოცხლე სწორედ ამიტომაცაა მშვენიერი!

დიას, ჩვენ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გავფრინდებით, რადგან სხვა შემთხვევაში, გაფრენის სევდა ბოლოს მოგვიღებს...



წერილი გარდაცვლილ მეგობარს

ამ წერილის დაწერა მაშინვე მომიწია, როგორც კი გარდაიცვალე, რადგან სამყარო სწორედ იმ წუთიდან შეიცვალა, მაგრამ წერილი კი არა, წლებია, შენზე იშვიათად, ან საერთოდ არ ვფიქრობ. ამ წუთას, ვიცი, შენებურად ჩაიღიმილე, ასე მალე დაგავიწყდით? რა სისულელეა! — არ დამვიწყებია, თუმცა ვალიარებ: შენზე ფიქრს, უფრო სწორად, შენთან საუბარს გავფრთხილავ, რამეთუ ვიცი, რაც შენ აღარ ხარ, ბევრი სისულელე გავაკეთე და... ყველაფერი რომ გაიგო, ნერვები მოგეშლება. ამიტომაც, მერჩია, არ დაგლაპარაკებოდი...

ჩემს ამბებს არც ახლა გაიმბობ. უბრალოდ, გეტყვი, რომ შენს შემდეგ მხოლოდ სამყარო კი არა, ადამიანებიც შეიცვალნენ. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ და იმ იდიოტური გამოჩინებებისა და არ მჯერა, რომ ამბობენ ხოლმე, შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენო.

ახლა, პოლიტიკურ ამბებს აღარ იკითხავ? — „ნაცები“ წავიდნენ, „ქოცები“ მოვიდნენ.

ცოცხალი რომ იყო, ნეტაც, „ქოცები“ სომ არ იქნებოდი? — შეიძლება, ყოფილიყავი, მაგრამ ზუსტად ვიცი, ბევრი რალაც არ მოგწონებოდა და გააბროტესტებდი. ეს არც გამიკვირდებოდა, რამეთუ შენ პოლიტიკურ კონიუნქტურას არასოდეს ემორჩილებოდი.

იცი, რა მახსოვს? — მიუხედავად იმისა, რომ „ნაცები“ არ მოგწონდა, ერთ „ნაცზე“ სულ მეუბნებოდი, შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ დამიჯერე, კარგი ადამიანი ხარო.


მჯეროდა და ახლაც მჯერა...
ისიც მახსოვს, ერთხელ, პატრიოტიზმზე რომ ვიჩხუბეთ...
ომი რომ დაიწყო, დამირეკე, გაავებული იყავი. ამბობდი, მიშამ რა სისულელე ჩაიდინაო... მერე, იმაზე გაბრაზდი, რა გვეტყობა, მტერი რომ შემოგვესია, თბილისის რესტორნები მაინც გადაჭედ ილიაო...

არც ის დამვიწყებია, ეროვნული მოძრაობის კულუარებზე რომ მიყვებოდი ხოლმე...
გახსოვს, გაძვირებულ ნავთობზე სკანდალი რომ „ავწიეთ“ და „მებნზინები“ „შეფუცტუნდნენ“... მათ უსუსურ კომენტარებზე რამდენი ვიხალისეთ, არა?!

ისე, რომ იცოდე, სანავი ახლაც „ოთუზბირი“ ღირს. თუ გინდა, ამ თემაზე კიდევ დავწეროთ...
...მოიცა, როგორ იცოდი? — დილით დარეკავდი, აბა, ახლა „მოიქოქეო“ და ხუთ წუთში იმდენ რამეს მეტყვოდი, რეტი მესხმოდა და მთელი დღე ასეთი „დარეტიანებული“ ვიყავი...
სულ მიკვირდა, ამდენი დრო და ენერჯია როგორ აქვს, არასოდეს არაფერი ეზარება და ავიწყდება-მეთქი.

ახლაც მიკვირს...
მაშინ „ფეისბუქი“ არ იყო... რომ ყოფილიყო, ისეთებს „დაბოსტავდი“, რეგოლუცია მოხდებოდა...
ჰო, მართლა: „სკაიპიდან“ დღემდე არ წამიშლიხარ და არასოდეს წაგშლი...
ერთი ჩემი მეგობარი ამბობს ხოლმე, ყველა ადამიანს სამყაროს თავისი რუკა აქვს, სინამდვილეში კი, სამყარო ყველასთვის ერთიაო. ჰოდა, იცი, რა მგონია? — შენ იმ რუკაზე არ ხარ, რომლითაც ჩვენ სამყაროს აღვიქვამთ და თუკი ასეა, მაშინ სამყაროში ხარ. ჰოდა, ცხადია, ამ წერილსაც წაიკითხავ.

არ გემშვიდობები...
შენს ამბებს ველი — წვრილად მომიყვი, როგორ ცხოვრობ, რას აკეთებ... მაგ ქვეყანაშიც ისეთივე ქაოსი და არეულობაა, როგორც ჩვენთან? მოკვლევ, ყველაფერი მაინტერესებს და დროზე მომწერე...
P.S. წერილს მტრედს არ ვატან. არც ადრესატის მისამართს ვაწერ...
ამ წერილს სამყაროში გუშვებ და... ვიცი, პასუხი არ დააყოვნებს...



საქართველო
საქართველო
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კარგო ღონისძიება

ახალი ღამეები



მთა კახიძე

ავისტოს სონეტი

ფერისცვალება... აგვისტოს ხვატი,
ოქროს ვარაყში დაფერე ხატი.

ფუნჯები თრთიან თამაშ-თამაშით,
მე გავეთანგე, როგორც თარაში.
მე სიყვარულის ვაგროვებ წვიმებს,
მე ალავერდში მიპოვის ვინმე.
მომყვებით ანი, მომყვებით ყველა,
გუაზლოვდები ოსანას ნელა...
მე ამისრულა ხატმა ყოველი და
გრანელივით ცისკარს მოველი.
მე დავეუკრიფე ტიციანს ია,
მან დამიტოვა ლექსების ბრია.
სალამო რალაც ნელი-ნელ ჩადის,
თვალი მოგვარი ბესიკის აჩრდილს.
მირბის მერანი, მიმაფრენს ტატო,

რად მიყვარს ფრენა, მე ვიცი მარტო.
აი, გავჭენდით სისხამ თბილისში,
ქალი წავართვით ოხერ ვირიშვილს.
ვაჟა მინდოდა მენახა მაშინ...
ნეტამც სცოდნიყო, წასულა ფშავში.
გოდერძი ჩოხელს ველოდი ჩოხში,
ჩავიმუხლებდით იქ, ზემოთ, ქოხში.
რა ჟრუანტელით დავერდი წიგნებს,
გავუგზავნიდი ქალაქის მისწებს...
ცხრამეტ აგვისტოს, მინაზე, ცაზე,
მზეს აცილებენ მხეველები გზაზე.
და ეს ფიქრები, ფუნჯი თუ ხატი,
ცხადია თითქოს, არც არის ცხადი.
ფერი ვიცვალე, მიყვარხართ ერთობ,
სიყვარულისთვის ნუ დამსჯი,
ღმერთო!

მარტოობის ბასაყარი

ვინმე იცის,
სად იწყება გზანვრილი
და სად მთავრდება სევდა,
ნეტავ?
თითქოს შორს
და არც ისე შორს,
მარტოობის გასაყართან,
გაირინდა დარდი ქალთან.
ალარც შორს
და ალარც ახლოს,
ნეტავ, მართლა, ნეტავ, რატომ?
იქნებ იქვე, გზანვრილებში,
მიიძინა სევდამ მარტომ?
რალა შორს
და რალა – მეტად,
სად მთავრდება სევდა,
ნეტავ?
მონყენილი მოჩანს ქალი,
– ხედავ?
– ვხედავ...

იური კახიძის

ისმინე მონის ღალადი!

მივდივარ, ვეცხვავ ბილიკებს
და შთაგონებით ვმდიდრდები,
ვისთანაც მიმეჩქარება
უნდა მივართვა ტიტები.
მივიდე მკერდზე ვემთხვიო
და დავუკოცნო თითები,
თან ერთგულდება შეფვიცო,
რადგან მის მსხვერპლად ვითვლები.
დიდი სასჯელი მარგუნე
ოდესმე მას თუ ვუგანო,
ისმინე მონის ღალადი
ჩემი შენდამი, უფალო.

მხოლოდ სიყვარულია

აქეთ იმერეთი მიყვარს,
იქეთ კიდე გურია,
ამ სამოთხეს უმღეროდა
დანიელა ურია.
კაცს რომ სპობს და აცამტვერებს
სიხარბე და შურია,
აფხაზეთი მომენატრა
ჩქიმი დიოსკურია.
თორემ ღამის გასკდეს გული
სევდით დათრგუნულია,
ჩვენს ძმობას რომ განაახლებს,
მხოლოდ სიყვარულია.

როდესაც გიყვარს

როდესაც გიყვარს,
ჩახვალ-ჩაჰყვები
და მზეს აკენკავ
ყვითელ წვიმაში.
როდესაც გიყვარს,
თვით მისტერიაც
ბეჭდებად ყრია,
ვნების კვირაში...
როდესაც გიყვარს,
ლექსს ატან ამბებს
და ტუჩის ღარებს,
ივლისივით ჩაუყვები
მუდამ მცხუნვარეს.
როდესაც გიყვარს,
მზეს ჩააბრუნებ,
ჩაილევი, ჩაიკარგები,
როდესაც გიყვარს!



ალაზნის ველზე ატამი ყვავის

ალაზნის ველზე ატამი ყვავის,
ბებერი მინა ვერ გაძლა მზერით,
მარტისთვალეა ამაყად დადის,
მწვანე წვიმებით და ჟამთა გზებით.
აქ ატმის დარი გიზგიზებს ღამე,
ნიაფი ფურცლავს კისკისა ბაღებს,
ალაზნის ველის ავგაროზები,
გადაუთვლიან გაზაფხულს წამებს.
ზენა ბუტბუტებს მაღლიან ლოცვას,
თვალეზდანიული მობრძანდა მთვარე
და გააგრძელა დილაზე კოცნა,
გარიჟრაჟდა და გაიქცა გარეთ.
ალაზნის ველზე ატამი ყვავის
და შრიალებენ კვირტზე თითები,
თან ინაბება კოცნაში მარტის,
ალაზნის ველი – ფარჩა-მზითევი.

●

ნისლი და წვიმა,
წვიმა და ქარი,
არ მომბეზრდება
ღვინო და ქალი.
ჩემს მოქიშპეებს
დაუდგეთ თვალი
სრულ ჭკუაზე ვარ
არა ვარ მთვრალი.
გარემოება სავალალოა,
შენ ჩემო თავო უი და ვაი.
წუთისოფლიდან როდესაც წავალ
წამყვება მხოლოდ მამულის ვალი.

●

არც ათენში და არც რომში
არ მიყავდათ კოჭლი ომში,
წარმოსადეგ კაცს ინვევდენ
რომის განთქმულ ლეგიონში.
არც ახლა და არც ძველ დროში
ვინ შეაბამს ჯაგლას დროგში?!
გინდა თბილისში იცხოვრე,
გინდა სოფელ ნორიოში.
კაცად მაშინ გაფასებენ,
თუ გიჭყავის ორი გროში.

დრო ვერაფერს წაშლის

მშვენიერი ზაფხულია
სისხამ დილით ვდგები,
იღრინება ბახულია
და მიზეზს ვერ ვხედავ.
შეთვალეზულ ტყემალს ვუცქერ
და ჭახჭახებს შაშვი,
ყელს იღერებს თეთრი ვარდი
ქურთი მისას ბაღში.
სურვილი მკლავს ხეტილის
ვერ ვჩერდები სახლში,
ონავარი ბავშვივით ვარ
დრო ვერაფერს წაშლის.



●

რა უნდა ვთქვა მე ისეთი ლექსად?
ჩემს მოსვლამდე გასაგებად თქვეს,
მამულს ჩემსას დაუდგები მწყემსად
თავს შევაკლავ მასზედ მოსულ მტერს.
არ გაუვა არასოდეს ყავლი
ერისათვის დროულად თქმულ სიტყვას,
ვინ დამძრახავს, ღმერთო, კი მომკალი
სამშობლო თუ სხვებზე მეტად მიყვარს.
საქართველო მიდღეგრძელოს მანამ,
სანამ თოვლი აფარია მყინვარს.

●

ლოცვით თავს გაბეზრებდი
არ ვარ მეტის მოხოვნილი,
გამადიდრე მსოფლიო
ვერდით და ბეთჰოვენით.
ყოველ ფეხის ნაბიჯზე
ვგრძნობდი როგორ მლოცავდი,
გმადლობ, რომ მოგვივლინე,
ვივალდი და მოცარტი.
მე ჰანგების გიჟი ვარ
დღიდან ჩემი გაჩენის,
თავს ვინონებ ჩემებით,
ლალიძით და ყანჩლით.

ცოტა მზა

მზე
ამოხაპეს თითქოს
გულიდან და
სულაც გავცოტავდი
თვითონ...
სულში კალმახივით
მეხეთქება
ფერებდაკარგული
ხვითო...
ვითომ ვერ მხედავდა,
ღმერთმანი, და
მეც ვერ დავინახე
ვითომ...
როგორ გავცოტავდი
მის გარეშე და
თითქოს აღარა ვარ,
თითქოს...


ეს ვერამდენე დღეა

ეს ვერამდენე დღეა
აღარ ჩერდება წვიმა,
გაუხარებლად ვცხოვრობ,
გული და სული მტკივა.
ამას რას მოვესწარი
ცხარე ცრემლები მცვივა,
მაისში, ვით ზამთარში
ძვლებში მამტვრევს და მცვივა.
როდემდე გასტანს ასე
ვერ ვისვენებ და ვშფოთავ,
გემუდარები, ღმერთო,
მაღლი მოილე ცოტა.

●

საითაც წაველ-წამოველ
სუყველგან მახე მელოდა,
შველას ვითხოვდი ხალხისგან,
მაგრამ არავინ მშველოდა.
შემოვიარე ამ ქვეყნის
კუთხე, გრძედი და განედი,
ლაბირინთებშიც ვიარე
ბოლოს მზის შუქზე გავედი.
ან ღმერთი ანდა იღბალი
უნდა მერწმუნა ორიდან,
დამარცხებული მივდივარ
ტიალი წუთისოფლიდან.





საქართველოს სახელმწიფო აპარატი

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა“

კონსტიტუციონალიზმი

მთავარი კანონი

მრავალჯერ ნაბიჯი კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია 20 წლისაა. მართალია, ეს ისტორიისთვის თვალის დახამხამებაა, მაგრამ ამ წლის განმავლობაში, როგორც ჩემმა ერთმა ნაცნობმა იხუმრა, ქვეყნის მთავარი კანონი სამსჯელო მანძილზე გააუზიარებელია. რატომ უჩნდებათ ხელისუფალთ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის სურვილი? — „ქართული სიტყვა“ კონსტიტუციონალისტ ავთანდილ დემეტრაშვილს ესაუბრა:

ქართული კონსტიტუციონალიზმის ანატომია

— მე-20 საუკუნეში საქართველო ერთ-ერთი ქვეყანა იყო, რომელსაც საკმაოდ ჩამოყალიბებული, გამართული კონსტიტუცია ჰქონდა, ვგულისხმობ, 1921 წლის 21 თებერვლის დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციას, მაგრამ ნურავის დაავიწყდება, რომ საქართველოს აქვს კონსტიტუციური, ან კონსტიტუციის მსგავსი სამართლებრივი ისტორია.

— მხედველობაში რა გაქვთ? — 1918 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტის სახით, სახეზე გვქონდა ქართველი ერის ჩამოყალიბებული სამართლებრივი ისტორია და მიუხედავად იმისა, რომ ორასი წლის განმავლობაში დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა, მასში ერის სამართლებრივი ცნობიერება ჩანს.

— ქართულ კონსტიტუციონალიზმს უფრო ღრმა ფესვები აქვს... — დიას, ჯერ კიდევ მეფე თამარის დროს იყო მცდელობა, ისეთი მონიხავე მოძღვრება დამკვიდრებულიყო, რასაც ხელისუფლების დანაწილება ჰქვია. ეს გახლდათ მეფის უფლებების შემზღუდავი „დარბაზი“. ასევე, „ისნის კარავი“, რომელიც ფეოდალთა უფლებების შეკვეცას ესახებოდა. ჩვენი კონსტიტუციური ისტორია ამით არ შემოიფარგლება. გავიხსენოთ ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილი ქართული სახელმწიფო სამართლის ნიგნი „დასტურლამალი“.

საოცარია, მაგრამ დღეს რომ ამ ნიგნს გადახედო, იფიქრებ, დღევანდელი პარლამენტის რეგლამენტიაო. სამართლის ნიგნი მეფესთან მიმართებით, ურთიერთობის წესს ამკვიდრებდა. ამას მოჰყვა ბექას და აღბუღას სამართალი — „ნიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“. ასე რომ, ქართული კონსტიტუცია ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. ახალ ისტორიაშიც იყვნენ ბრწყინვალე ფორმალურად კონსტიტუციონალისტები — ილია ჭავჭავაძე; მიხაკო წერეთელი, რომელიც 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა; ნიკო ნიკოლაძე... ყველა მათგანს ევროპული განათლება ჰქონდა მიღებული. ისინი თარგმნიდნენ უცხოურ ლიტერატურას, ქმნიდნენ ნაშრომებს ადამიანის უფლებებზე, ხელისუფლების დანაწილებაზე. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი ერთგვარდინი დოკუმენტია, მაგრამ მასში მე, როგორც კონსტიტუციონალისტი, კონსტიტუციის ყველა პრინციპს ვხედავ.

— მაინც რა პრინციპებს? — სახელმწიფო მმართველობის ფორმა — სახალხო არჩევნების შედეგად არჩეული მთავრობა; მმართველობის ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკა, ქვეყანა უნიტარული, ერთიანი, ამავედროულად, დეცენტრალიზებულია. ზოგიერთ რეგიონში ავტონომიური მმართველობაა, მაგრამ 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი ღირსება ის გახლდათ, რომ ადამიანის უფლებების დაცვაზე იყო ორიენტირებული, კერძოდ, თითხმეტი მუხლიდან — შვიდი.

სამწუხაროდ, 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ რეალურად ამოქმედება მხოლოდ სამი დღით მოახერხა, მეოთხე დღეს კი, საქართველოში რუსეთის მე-11 არმია შემოვიდა და ყველაფერი დასრულდა — საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდა, თუმცა 1921 წლის კონსტიტუცია შემოგვრჩა. ზვიად გამსახურდიას 90-იან წლებში მოსთხოვეს ამ კონსტიტუციის აღდგენა და მისი რეგულაციებით ცხოვრება, მაგრამ ამის გაკეთება ვერ მოასწრო — 1991 წელს 6 იანვარს, სამხედრო გადატრიალების შედეგად, ქვეყნის სათავეში ტრიუმფირატი მოვიდა. — ამ პერიოდისთვის საბჭოთა კონსტიტუცია აღარ მოქმედებდა, არა? — 1978 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის გადასინჯვაში ვმონაწილეობდი და მასში საბჭოური, პრაქტიკულად, აღარაფერი იყო. ზვიად გამსახურდიამ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შექმნა, რომელსაც ახალი საკონსტიტუციო კანონის შემუშავება დაევა. სამწუხაროდ, კომისია მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა, ვინაიდან პარტია „მრავალი მაგდის“ რიგებში პარტიულად ვერ ჩამოყალიბდა. ამით მეორე ფრთამ ისარგებლა და, სამხედრო გადატრიალებით, ქვეყნის სათავეში მოვიდა.

— „მრავალი მაგდის“ რიგებში რატომ ვერ შეთანხმდნენ? — პოლიტიკური ბრძოლა მიდიოდა... მეორეც, სამხედრო საბჭო პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტებას ცდილობდა — საერთოდ არ უნდოდა, რომ კონსტიტუციაში საპრეზიდენტო მმართველობა დაკანონებულიყო. 1921 წლის კონსტიტუციაში სახელმწიფო მეთაური პრეზიდენტია, მონარქი არ არსებობს, მმართველობას ახორციელებს ხალხის წინაშე ვალდებული მის მიერვე არჩეული პარლამენტი, მთავრობა. ასეთ სისტემას ითხოვდა ხალხი. ზვიად გამსახურდია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა, მერე, პირდაპირი არჩევნების გზით, ხალხმა ზვიად გამსახურდია პრეზიდენტად საკმაოდ მაღალი უფლებებით აირჩია. მეორე მხარეს ეს მისი დიდი უფლებები არ მოსწონდა. ამას ხელისუფლებისა და გავლენისთვის ბრძოლა ახლდა. გადატრიალების მერე, სამხედრო საბჭომ 1992 წლის 21 თებერვალს კონსტიტუცია აღადგინა, რომელმაც წინამორბედის მსგავსად სამი დღე იცოცხლა — ვერ ამოქმედდა.

— მაღე შევარდნაში ჩამოდიხ და საქართველოში ახალი ეპოქა იწყება. — 1993 წელს, ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შეიქმნა, მასში მონაწილეობდნენ გივი ინჯირველი, ვახტანგ ხმალაძე, მე კომისიის მდივანი გახლდით. კომისიას 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა დაევა. მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ძველი რედაქციის საფუძველზე ახლის აღდგენა ძალიან ძნელი იქნებოდა. ამიტომ პრეამბულაში იმით შემოვიფარგლეთ, რომ კონსტიტუცია ეყრდნობა 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპებს. ეს კონსტიტუცია, რა თქმა უნდა, რომანტიკული გახლდათ და სტრუქტურით, გენეზით, თანამედროვე ინსტიტუტებით განებივრებული არ იყო. საუკუნის ბოლოს მსოფლიო უკვე სხვა რეალობის წინაშე იდგა. გამოჩნდნენ კონსტიტუციური კონსტიტუციის ორგანოებიც, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში კონსტიტუციის ცამეტი პროექტი შევიდა, ეს ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში ძალიან დატვირთული შემოქმედებითი პერიოდი იყო. ვახტანგ ხმალაძის, ნოდარ ნათაძის, „რესპუბლიკური პარტის“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ პროექტები ერთი მეორეზე საინტერესო იყო, მაგრამ უპირატესობა სამდივნოს, ანუ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ შევარდნაძის პროექტს მიენიჭა.

— „სამდივნოს“, ანუ შევარდნაძის კონსტიტუციის პროექტი რას ითვალისწინებდა? — შერეული მმართველობის ფორმა პარლამენტმა არ მიიღო. მძიმე სიტუაცია შეიქმნა. ისე გამოვიდა, რომ კომისიამ ტყუილად იმუშავა, რაშიც ლომის წვლილი „რესპუბლიკელებსა“ და „ეროვნულ დემოკრატებს“; ირინა სარიშვილის მეთაურობით ეკუთვნით. პარლამენტმა არ დაამტკიცა ორი უმნიშვნელოვანესი მომენტი — ორპალატიანი პარლამენტი და ქვეყნის ტერიტორიული მონიშვნა.

— კომისია 118-კაციანი იყო, აქედან რეალურად 10-15 მუშაობდა, დანარჩენები კი, სხდომებზე ხელის აწევით შემოიფარგლებოდნენ. მთავარი შემოქმედი შევარდნაძე იყო, მერე — ჯაბა იოსელიანი, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, პრეზიდენტის უფლებამოსილება შეემცირებინა, არც ბევრი სხვა ინსტიტუტის განვითარება აინტერესებდა, მათ შორის, არც — საკონსტიტუციო სასამართლო შექმნა. უნდოდა, კონსტიტუციაში სამხედრო ძალების მაგივრად „სახალხო ლაშქარი“ ჩაწერილიყო და ა.შ.

— ამავედროულად, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მიღებისას გადაამწყვეტი სუბიექტები ვენეციის კომისია და უცხოელი ექსპერტები იყვნენ, რომლებიც ჯორჯ სოროსმა დააფინანსა — აშშ-დან, კანადიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან მოწვეულ ექსპერტები ვენეციის კომისიასთან ურთიერთობები შექმნა, დროდადრო ჩავდიოდით და აქტიურად ვმონაწილეობდით კომისიის მუშაობაში. ერთ ანეგდოტურ სიტუაციას გავიხსენებ: ედუარდ შევარდნაძის იუმორი ყველასთვის ცნობილია. ვენეციიდან დაბრუნებულმა შევარდნაძემ ანგარიში წარუდგინა და აღვნიშნე, რომ ვენეციის კომისიამ ჩვენი კონსტიტუციის პროექტი მსოფლიოში ერთ-ერთ დემოკრატიულად მიიჩნია. შევარდნაძე რაღაცას წერდა, ჩაილაპარაკა, ეს კარგია თუ ცუდიო? — ჯაბა იოსელიანს რა მიზანი ჰქონდა? — ეს პოლიტიკური ბრძოლა იყო — საპრეზიდენტო ინსტიტუტის გაძლიერება არ უნდოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ შევარდნაძეს აირჩევდნენ. მას ძლიერი სახელმწიფოს მეთაური, დიდი უფლებამოსილებებით, არ აწყობდა.

— 1995 წლის 29 აგვისტოს „იმელის“ შენობაში შევარდნაძის აფეთქებას სწორედ კონსტიტუციის თემას უკავშირებენ... — რა თქმა უნდა, ეს სპეციალურად გაკეთდა, ვინაიდან ლეგალური გზით შევარდნაძის შეჩერება ვერ მოახერხეს, ეს საკითხი მკვლელობით მარტივად გადაწყვეტიდა — კონსტიტუცია ვერ ამოქმედდებოდა, მერე სამხედრო გადატრიალებას, ან სხვა რამეს მოაწყობდნენ. ტერაქტის გამო ჯაბა იოსელიანი დააპატიმრეს, იგორ გიორგაძე კი, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებთან იყო გაიგივებული, ქვეყნიდან გაიქცა. რუსეთს დემოკრატიული საქართველო დემოკრატიული კონსტიტუციით არ აწყობდა! — მოდი, 1978 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საკონსტიტუციო ცვლილებებსაც შევეხოთ, რამაც დიდი გენათალელება გამოიწვია. — როგორ იღებდნენ კონსტიტუციის საბჭოთა ეპოქაში? — პროექტი მოსკოვში დაინერგებოდა, უზენაესი საბჭო მიიღებდა, ამ ტექსტს ჩვენთან გადათარგმნიდნენ, შეიცვლებოდა ტოპონიმები და ჩვენი სამართალ-შემოქმედება ამით იფარგლებოდა. 1922 წლიდან მოყოლებული, ყველა საბჭოთა კონსტიტუციაში ეწერა, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ქართულია, მაგრამ 1978 წლის საკონსტიტუციო პროექტში ეწერა, რომ რუსული ენა საერთო სახალხო ენაა, რომელზეც „პეტიტით“ მიბმული იყო, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენაა. ქართული საზოგადოება ამ ცვლილებამ, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილა. დაიწყო რეალური ბრძოლა, საყოველთაო გამოხატვამ მოსკოვი აიძულა, უკან დაეხია. ამას ის პუნქტიც დაემატა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისთვის აფხაზეთი ენაც სახელმწიფო ენაა. — ...საკონსტიტუციო სასამართლო როდის შეიქმნა? — ეს საინტერესო ამბავია: კონსტიტუციაში პირდაპირ მითითებული იყო თარიღი, როცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 1996 წლის 1 თებერვლამდე უნ-

„კომისია 118-კაციანი იყო, აქედან რეალურად 10-15 მუშაობდა, დანარჩენები კი, სხდომებზე ხელის აწევით შემოიფარგლებოდნენ. მთავარი შემოქმედი შევარდნაძე იყო, მერე — ჯაბა იოსელიანი, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, პრეზიდენტის უფლებამოსილება შეემცირებინა, არც ბევრი სხვა ინსტიტუტის განვითარება აინტერესებდა, მათ შორის, არც — საკონსტიტუციო სასამართლო შექმნა. უნდოდა, კონსტიტუციაში სამხედრო ძალების მაგივრად „სახალხო ლაშქარი“ ჩაწერილიყო და ა.შ.“




ლი მოწყობის საფუძველად ფედერალიზმის პრინციპი. ეს საქართველოს კონსტიტუციის „თეთრი ლაქაა“, ვაკუუმი, რომელიც უნდა შეივსოს. — 1995 წლის 29 აგვისტოს „იმელის“ შენობაში შევარდნაძის აფეთქებას სწორედ კონსტიტუციის თემას უკავშირებენ... — რა თქმა უნდა, ეს სპეციალურად გაკეთდა, ვინაიდან ლეგალური გზით შევარდნაძის შეჩერება ვერ მოახერხეს, ეს საკითხი მკვლელობით მარტივად გადაწყვეტიდა — კონსტიტუცია ვერ ამოქმედდებოდა, მერე სამხედრო გადატრიალებას, ან სხვა რამეს მოაწყობდნენ. ტერაქტის გამო ჯაბა იოსელიანი დააპატიმრეს, იგორ გიორგაძე კი, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებთან იყო გაიგივებული, ქვეყნიდან გაიქცა. რუსეთს დემოკრატიული საქართველო დემოკრატიული კონსტიტუციით არ აწყობდა! — მოდი, 1978 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საკონსტიტუციო ცვლილებებსაც შევეხოთ, რამაც დიდი გენათალელება გამოიწვია. — როგორ იღებდნენ კონსტიტუციის საბჭოთა ეპოქაში? — პროექტი მოსკოვში დაინერგებოდა, უზენაესი საბჭო მიიღებდა, ამ ტექსტს ჩვენთან გადათარგმნიდნენ, შეიცვლებოდა ტოპონიმები და ჩვენი სამართალ-შემოქმედება ამით იფარგლებოდა. 1922 წლიდან მოყოლებული, ყველა საბჭოთა კონსტიტუციაში ეწერა, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ქართულია, მაგრამ 1978 წლის საკონსტიტუციო პროექტში ეწერა, რომ რუსული ენა საერთო სახალხო ენაა, რომელზეც „პეტიტით“ მიბმული იყო, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენაა. ქართული საზოგადოება ამ ცვლილებამ, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილა. დაიწყო რეალური ბრძოლა, საყოველთაო გამოხატვამ მოსკოვი აიძულა, უკან დაეხია. ამას ის პუნქტიც დაემატა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისთვის აფხაზეთი ენაც სახელმწიფო ენაა. — ...საკონსტიტუციო სასამართლო როდის შეიქმნა? — ეს საინტერესო ამბავია: კონსტიტუციაში პირდაპირ მითითებული იყო თარიღი, როცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 1996 წლის 1 თებერვლამდე უნ-

უნდოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ შევარდნაძეს აირჩევდნენ. მას ძლიერი სახელმწიფოს მეთაური, დიდი უფლებამოსილებებით, არ აწყობდა.

— 1995 წლის 29 აგვისტოს „იმელის“ შენობაში შევარდნაძის აფეთქებას სწორედ კონსტიტუციის თემას უკავშირებენ... — რა თქმა უნდა, ეს სპეციალურად გაკეთდა, ვინაიდან ლეგალური გზით შევარდნაძის შეჩერება ვერ მოახერხეს, ეს საკითხი მკვლელობით მარტივად გადაწყვეტიდა — კონსტიტუცია ვერ ამოქმედდებოდა, მერე სამხედრო გადატრიალებას, ან სხვა რამეს მოაწყობდნენ. ტერაქტის გამო ჯაბა იოსელიანი დააპატიმრეს, იგორ გიორგაძე კი, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებთან იყო გაიგივებული, ქვეყნიდან გაიქცა. რუსეთს დემოკრატიული საქართველო დემოკრატიული კონსტიტუციით არ აწყობდა! — მოდი, 1978 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საკონსტიტუციო ცვლილებებსაც შევეხოთ, რამაც დიდი გენათალელება გამოიწვია. — როგორ იღებდნენ კონსტიტუციის საბჭოთა ეპოქაში? — პროექტი მოსკოვში დაინერგებოდა, უზენაესი საბჭო მიიღებდა, ამ ტექსტს ჩვენთან გადათარგმნიდნენ, შეიცვლებოდა ტოპონიმები და ჩვენი სამართალ-შემოქმედება ამით იფარგლებოდა. 1922 წლიდან მოყოლებული, ყველა საბჭოთა კონსტიტუციაში ეწერა, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ქართულია, მაგრამ 1978 წლის საკონსტიტუციო პროექტში ეწერა, რომ რუსული ენა საერთო სახალხო ენაა, რომელზეც „პეტიტით“ მიბმული იყო, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენაა. ქართული საზოგადოება ამ ცვლილებამ, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილა. დაიწყო რეალური ბრძოლა, საყოველთაო გამოხატვამ მოსკოვი აიძულა, უკან დაეხია. ამას ის პუნქტიც დაემატა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისთვის აფხაზეთი ენაც სახელმწიფო ენაა. — ...საკონსტიტუციო სასამართლო როდის შეიქმნა? — ეს საინტერესო ამბავია: კონსტიტუციაში პირდაპირ მითითებული იყო თარიღი, როცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 1996 წლის 1 თებერვლამდე უნ-

— ჯაბა იოსელიანს რა მიზანი ჰქონდა? — ეს პოლიტიკური ბრძოლა იყო — საპრეზიდენტო ინსტიტუტის გაძლიერება არ უნდოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ შევარდნაძეს აირჩევდნენ. მას ძლიერი სახელმწიფოს მეთაური, დიდი უფლებამოსილებებით, არ აწყობდა.



საქართველოს მთავრობის განცხადება

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენებლობა ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

მთავარი კანონი

და შექმნილიყო, მაგრამ იმდენად ვჭკარობდით და იმდენად გვინდოდა, რომ ერთი დღით დავასწარით და უწყება 1996 წლის 31 იანვარს შეიქმნა. ამაზე არასდროს მისაუბრია, როცა ბატონმა შევარდნაძემ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურებთან დაკავშირებით თავისთან მიხმო, გვიჩვენა კონსტიტუციის ხეცურია-ნისა და ლადო ალექსიძის კანდიდატურები ვურჩიე, მაგრამ მიხრა, დანერგე კონსტიტუცია? – დაიცავით.

ბატონო ავთანდილ, ყველა მთავრობა ცდილობს, ქვეყნის უპირველესი კანონი ჩოხა-ახალუხივით მოიგოს...

– ვერ წარმოვიდგინო ხელისუფლება, რომელიც კონსტიტუციას თავის საწინააღმდეგოდ ამოქმედებს. ყველა ადამიანი საკუთარი ინტერესებიდან გამოდის, ხელისუფლებაც ადამიანებისგან შედგება და შეცდება, კანონი თავის თავზე მოიგოს, რასაც ვენეციის კომისია, საერთაშორისო თანამეგობრობა და სამოქალაქო საზოგადოება უნდა დაეუპირისპიროთ. გარდა ამისა, იმაზეც ბევრია დამოკიდებული, ქვეყანას როგორი პარლამენტი ჰყავს. 1995 წლის პარლამენტი 14 პარტიისა და დამოუკიდებელი დეპუტატებისგან შედგებოდა. ამიტომაც გაუჭირდა შევარდნაძეს თავისი პროექტის გატანა.

ერთსავე მოვიგონებ: 2009-2010 წლებში, საკონსტიტუციო რეფორმებს ვხელმძღვანელობდი, მმართველმა გუნდმა, ზურაბ ადგი-შვილის მოთხოვნით, საკითხი დააყენა, რომ მოსამართლე სამი წლის გამოსაცდელი ვადით დაინიშნებოდა. ამის წინააღმდეგ წავიდა ვენეციის კომისია, ევროსაბჭო, მაშინდელი ოპოზიცია თუა წულუკიანის მეთაურობით. ახლა სიტუაცია შეიცვალა: კოტე კუბლაშვილი წინააღმდეგია, თუა წულუკიანი კი ამბობს, რომ ვადა უნდა დანესდეს. პოლიტიკური კონიუნქტურა ზოგჯერ ასეთ რაღაცებს ითვალისწინებს.

ჩვენი კონსტიტუცია სრულყოფილია?

– მსოფლიოში სრულყოფილი კონსტიტუცია არ არსებობს. თვით აშშ-ის კონსტიტუციაშიც, რომელიც ორას წელს ითვლის, ოცდაშვიდი შესწორება შევიდა. 50 ათასი წინადადება შეიტანეს კონგრესში, რათა ეს ცვლილება განხორციელებულიყო. საფრანგეთის კონსტიტუციაში 120 მუხლიდან 75 გადაინიშნა, რაც, პრაქტიკულად, ახალ კონსტიტუციას ნიშნავს. დღეს ვერავინ იტყვის, როგორი სახელმწიფოა საქართველო – ფედერალური თუ უნიტარული. კონსტიტუციაში ამაზე არაფერი წერია. არის მხოლოდ მითითებები, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე ერთ ავტონომიას აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, მაგრამ კონსტიტუციაში არ წერია, მათ რა უფლებები აქვთ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას ცალკე კონსტიტუცია გააჩნია, სამაგიეროდ, არ აქვთ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს.

საზოგადოება ხშირად ქვეყნის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის ღია და ფარული დაპირისპირების მოწმეა. მათი უფლებები კონსტიტუციურადაა განვარდნილი?

– ამას კონკლავობას არ დავარქმევ. ხელისუფლება დანაწილების პრინციპზეა აგებული – საკანონმდებლო, აღმასრულებელი ორგანოები და სახელმწიფოს მეთაური. წინა ხელისუფლების დროს, აღმასრულებელ ხელისუფლებას რეალურად სახელმწიფოს მეთაური წარმართავდა... საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, პრეზიდენტი ამოვადგა და მთავრობას, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებას, უმაღლესი ორგანოს სტატუსი მივეცი.

პრეზიდენტმა მაინც რა უნდა აკეთოს?

– პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში, ასევე, საკანონმდებლო და, მით უმეტეს, სასამართლოს საქმიანობაში არ უნდა ერეოდეს, მაგრამ როგორც სახელმწიფოს მეთაური, როგორც არბიტრი და როგორც სამხედრო ძალების მთავარსარდალი, ქვეყნის საგარეო ურთიერთობებზე გავლენა კონკრეტული საქმიანობით კი არა, საკუთარი პოზიციებით უნდა მოახდინოს. პრეზიდენტის რეალური უფლებამოსილება მაშინ იწყება, როცა საომარი მდგომარეობა გამოცხადდება...



ხშირად პრეზიდენტის ვეტო მთავრობისთვის გამაღიზიანებელია...

– ეს მისი უფლებაა, საკანონმდებლო ორგანოში გაასაჩივროს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მოითხოვოს გარკვეული საკითხების განხილვა მთავრობის სხდომაზე. კონსტიტუციაში, ფუნქციების გადანაწილებაში, რა თქმა უნდა, რაღაც დოზით ბუნდოვანებაა. თუ პრეზიდენტი იმ გუნდის წარმომადგენელია, რომელსაც პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს, თავად ქმნის მთავრობას და არ შეიძლება, მათ შორის წინააღმდეგობა იყოს. თუ პრეზიდენტს არ ჰყავს უმრავლესობა, მაშინ სუსტია.

ალმოჩინა, რომ ამ ურთიერთობაში სხვა ფაქტორებიც მოქმედებს: პერსონა როგორია, რა სიტუაციაში გახდა მეთაური. დამეთანხმებით, რომ გიორგი მარგველაშვილის მსოფლმხედველობა „ქართული ოცნების“ ხედვებისგან განსხვავებული იყო, თუმცა მისი და „რესპუბლიკელების“ აზროვნება იდენტურია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან უსუფაშვილს, ხიდაშელს, ბოკერიას და სხვებს ერთ პერიოდში აქვთ დამთავრებული ცენტრალური ევროპის სოროსის უნივერსიტეტი. აქედან გამომდინარე ახლოს არიან, დანარჩენ სუბიექტებთან კი, – დამორბეულნი.

რგველაშვილმა, ორი წლის განმავლობაში, ასეთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

თქვენი აზრით, რა საკონსტიტუციო ცვლილებებია განსახორციელებელი?

– ოცი წელია ვაცხადებ, რომ აუცილებელია ორპალატიანი პარლამენტი. დღეს შექმნილი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ვერ მუშაობს, რადგან კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე ერთიანი პოზიცია არაა ჩამოყალიბებული. ამისათვის საჭირო სამი მეოთხედი ერთ პოლიტიკურ პარტიასაც არ გააჩნია, მათ შორის, არც კოალიცია.

აუცილებლად უნდა დაიხვეწოს უნდობლობის გამოცხადების პროცედურა, რათა მთავრობაზე კონტროლის მექანიზმი გაძლიერდეს. აგრეთვე, აუცილებლად მიმართა, ზოგ საკითხებში პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის როლიც გაიზარდოს, ამას მიეხება ტერიტორიული მონაცემების პრობლემაც.

ორპალატიანი პარლამენტი რას მოგვცემს?

– ორპალატიანი პარლამენტი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, კერძოდ, აფხაზეთსა და ოსეთთან დიალოგის საფუძველი გახდება, ვინაიდან სენატში აჭარას, აფხაზეთს, ოსებს განსაკუთრებული ადგილი ექნებათ. მათი წარმომადგენლებისგან სენატის თავმჯდომარეც შეიძლება აირჩიონ, ასეთ პირობებში, არ გამოვრიცხავ, რომ სენატის თავმჯდომარე, საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდენტის უფლებამოსაც ეცვლება. მანამდე კი, საქართველო ეკონომიკურად მიშვიდვლი უნდა გახდეს.

მისასალმებელია ბოლოდროინდელი მოვლენები – აფხაზები და ოსები სამკურნალოდ ჩამოდიან, საზაფხულო ოლიმპიადასაც დაესწრნენ. ყველაფერი ეს ორივე მხარისთვის მოლაპარაკებების საფუძველი გახდება.

კიდევ ერთი თემა: საინფორმაციო სივრცე ტერმინები – „კახეთის გუბერნატორი“, „გურიის გუბერნატორი“ და ასე შემდეგ წალეკა. მინდა, ყველას შევახსენო, რომ კონსტიტუციაში „გუბერნია“ – ასეთი ტერიტორიული ერთეული არ არსებობს. 2009-2010 წლებში ვაპროტესტებდი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მაშინდელმა მმართველმა პარტიამ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩემი ინიციატივა დაბლოკა. დღესაც იგივე სიტუაციაა.

ბატონო ავთანდილ, აღნიშნულ საჯარო მოხელეებს, აბა, რა უნდა ვუწოდოთ?

– კონსტიტუციის თანახმად, – სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი. დადგენილებაში მითითებულია, რომელ მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებზე ვრცელდება კონკრეტული პიროვნების იურისდიქცია. ვიმეორებ: კონსტიტუციურად, კახეთის გუბერნატორის ვერავის უწოდებ, რადგან არ არსებობს კახეთი, როგორც რეგიონალური ერთეული. შესაძლოა, „რეგიონი“ გამოიყენება, როგორც ეკონომიკური ერთეული, ან ხატოვანი სიტყვა-თქმა. თუ სიტყვა „რეგიონს“ ვიყენებთ, მაშინ უნდა განისაზღვროს რეგიონს რა უფლებები აქვს. როცა საქართველოს პარლამენტი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს იღებდა, შემოღებულიყო ტერმინი „მხარე“, მაგრამ დიდი წინააღმდეგობის შემდეგ, ეს ტერმინი ვერ დამკვიდრდა. არადა, ევროპის ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკა კარგა ხანია, დამკვიდრებულია. მაგალითად, ესპანეთში რეგიონებია, იტალიაში – პროვინციები.

ჩვენმა კონსტიტუციამ ევროპაში დიდი შეფასება მიიღო, საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ პოსტსაბჭოთა კი არა, პოსტსოციალისტურ სივრცეშიც ერთ-ერთი მოწინავე იყო. ჩვენთან ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, სარჩელი შეიტანოს საკონსტიტუციო სასამართლოში. 2008 წელს, აზერბაიჯანიდან ჩამოსულმა კოლეგებმა ჩვენი გამოცდილება გაიზიარეს, ასევე მოიტყნენ სომხებიც.

სხვათა შორის, 24 აგვისტოს, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა კონსტიტუციის 20 წლისთავად დაკავშირებით, საზეიმო მიღება გამართა, რომელსაც პრემიერი ირაკლი ლარიაშვილი, მინისტრები, დეპუტატები, დიპლომატიური კორპუსისა და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ნათია შოგიტიძე



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვას; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა“ კოსტავა

სკანდალი

სორბლის გაფიქსირებული ფასების შეთანხმება ივანიშვილ-ლარიბაშვილის წინააღმდეგ

ხელისუფლება თავს იკავებს, ტყუილია, პურის მწარმოებლები კი, თითქმის გადარწმუნებით ამბობენ, რომ მალე პური, მინიმუმ, ათი თეთრით გაძვირდება. მეფურეების თქმითვე, გაძვირების საბაზის გადვირებული ფასები, რასაც ელექტროენერჯის მომსახურებელი ტარიფიც ემატება. რატომ გაძვირდა ფასები? — უფლებადამცველი მერაბ ბლადაძე „თაიმერთან“ საუბრისას სკანდალურ განცხადებას აკეთებს და პირდაპირ მიანიშნებს, რომ ფასების გაძვირება მონოპოლისტების შედეგია და ე.წ. სორბლის მავალი პრემიერ ირაკლი ლარიბაშვილსა და ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს შეთქმულებას უწყობს. „ის, რაც პურის გარემო ხდება, აშკარა საბოტაჟის ნიშნებს შეიცავს და თუ ამ საქმეში ლარიბაშვილი, ან უკეთეს შემთხვევაში, ივანიშვილი არ ჩაერევს, გაცილებით უფრო მძიმე ფონი შეიქმნება“ — აცხადებს მერაბ ბლადაძე. „პურის მოხმარება ადამიანის შესაძლებლობებზე დამოკიდებულია, ანუ თუ მრავალფეროვანი რაციონის საკვებს იღებს, პურს ცოტას მიირთმევს, თუმცა დღეს მოსახლეობის უმეტესობა მხოლოდ პურით იკვებება, რადგან სხვა პროდუქტის შეძენის საშუალება არ აქვს. ეს ზაფხულში შედარებით ნაკლებად შესაძლებელია, რასაც ნელინადის სხვა დროებზე ვერ ვიტყვით. პურის მოსალოდნელი გაძვირება შემოდგომას ემთხვევა. შესაბამისად, ხელისუფლება დიდი გამოცდის წინაშე დგას“ — ამბობს „თაიმერთან“ საუბრის დროს ბლადაძე და ცალკეულ მაღალჩინოსანთა განცხადებას, პური არ გაძვირდება, სასაცილოს უწოდებს. „პურს წონაში საგრძნობლად დააკლეს, ელემენტარული მათემატიკური გათვლით, ეს უკვე ფსისის მომსახურების ნიშნავს“ — განმარტავს უფლებადამცველი. „თაიმერთან“ კითხვაზე, თუ რატომ თვლის, რომ ლარიბაშვილი-ივანიშვილს ე.წ. სორბლის მავალი შეთქმულებას უწყობს, უფლებადამცველი მერაბ ბლადაძე, რომელიც ფართო საზოგადოებამ ე.წ. ცინის სკანდალის დროს გაიცნო, ბიზნესმენ კონსტანტინე ივანიშვილს ახსენებს. ამასთან, ბლადაძე ბიზნესის „კრიტიკულ კონცეფციას“ საუბრობს:



„უალოდ, 205 აშშ დოლარი ჯდება. ოსიპოვი კი, ხორბლის იმპორტიორ ნისქვილებსა თუ ფირმებს სთავაზობდა და აიძულებდა, რომ მისგან 225 აშშ დოლარად შეეძინათ. იმ ფირმებს, რომლებმაც ხორბლის იმპორტი ოსიპოვთან შეუთანხმებლად განახორციელეს, საბაჟოებზე ბარიერები შეექმნათ, ანუ განბაჟების „ნითელ ზოლში“ აღმოჩნდნენ.“

— „ნითელ ზოლში“ მოხვედრა რას ნიშნავს? — ტვირთი, მაქსიმუმ, 10 დღე პორტში დგას. ამასობაში მოცდენილი გემის საფასური იზრდება და იმპორტიორს უდიდეს ზარალს აყენებს — ერთი ე.წ. მოცდენილი დღე, საშუალოდ, 3 000 აშშ დოლარი ჯდება. რაც მთავარია, ასეთი „სიურპრიზით“ გემთმფლობელი შინდება და საქართველოში წამოსვლას თავს მაქსიმალურად არიდებს, რადგან თითოეული მოცდენილი დღით გაცილებით მეტ ზარალს ნახულობს, ვიდრე ე.წ. ჯარიმის სახით მიღებული 3 000 დოლარია. განბაჟების „ნითელ ზოლში“ მოხვედრისას, ხორბლის სინჯი კვლევებისთვის — არც მუტი, არც ნაკვები — კონსტანტინე ივანიშვილის მამის კუთვნილ მაკარონის ქარხნის ლაბორატორიაში იგზავნება.

— კრიტიკული კონცეფცია მოგების ნებისმიერი ხერხით მიღებას ნიშნავს. ოსიპოვი სწორედ ამ კონცეფციის „ბრწყინვალე“ წარმომადგენელია. ის კომპანია „აგრიკომს“ ხელმძღვანელობს. ამასთან, კონსტანტინე ივანიშვილი ხორბლის იმპორტის მონოპოლისტიცაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ტონა ხორბლის ფასი 20 დოლარით გაზარდა და ამით მოსახლეობის ღირებულება ნაწილობრივ შეიზღუდა.

— ბატონო მერაბ, ოსიპოვი ხორბლის იმპორტის მონოპოლისტი როგორ გახდა? — მოგახსენებთ, თუცა მანამდე გეტყვით, რომ საქართველოში ხორბლისა და ფქვილის თემა მეტ-ნაკლებად მოგვარებული იყო: სულ 15 ნისქვილიკომბინატი მუშაობდა და უმეტესობას, როგორც იტყვიან, საკუთარი ხორბალი შემოჰქონდა. ამასთან, ბაზარი ყველასთვის ღია იყო და აღდამრთელი კონკურენცია არსებობდა. ერთი სიტყვით, ვინაიდან ხორბლისა და ფქვილის ბაზარს მონოპოლისტი არ ჰყავდა, ფასებს თვითონ ბაზარი არეგულირებდა, მაგრამ ეს 2014 წლამდე იყო.

— 2014-ში რა მოხდა? — შარშან, ოსიპოვმა ფოთის ნისქვილიკომბინატი შეიძინა, ელექვატორები მოაწყო, ხორბლის შესანახი რეზერვუარები გადაახარისხა და განახალა. პარალელურად, თბილისის ნისქვილიკომბინატი „ალაფიც“ შეიძინა და ხორბლის სფეროში მონოპოლისტიკენ პირველი ნაბიჯები გადადგა...

— როგორ? — საქართველოში „მეხორბლეთა ასოციაცია“ არსებობს, რომლის პრეზიდენტიც ლევან სილაგავა გახლდათ. ეს ადამიანი კატეგორიული წინააღმდეგე იყო, რომ ბაზარზე არსებული ხორბლის იმპორტიორი ფირმებიდან რომელიმე ერთპიროვნული მონოპოლისტი გამხდარიყო. ამიტომ, ოსიპოვმა მოახერხა და „მეხორბლეთა ასოციაციას“ პრეზიდენტად, სილაგავას ნაცვლად, ნისქვილიკომბინატი „თბილისის“ მფლობელი, გოდერძი ჩარქველიანი აარჩევინა. შესაბამისად, „მეხორბლეთა ასოციაციის“ მხარდაჭერა მოიპოვა და მიზნის განხორციელებასაც შეუდგა:

საქართველოში ხორბლის ძირითადი იმპორტი რუსეთიდან ხდება და ოსიპოვმა ნისქვილიკომბინატებს ამ ხორბლის შეთავაზება დაუწყო. ვისგანაც უარი მიიღო, შეავიწროვა.

— როგორ? — ერთი თვის წინ, ივლისში, რუსეთის ფედერაციიდან ერთი ტონა ხორბლის იმპორტი, საშუალოდ, 205 აშშ დოლარი ჯდება. ოსიპოვი კი, ხორბლის იმპორტიორ ნისქვილებსა თუ ფირმებს სთავაზობდა და აიძულებდა, რომ მისგან 225 აშშ დოლარად შეეძინათ. იმ ფირმებს, რომლებმაც ხორბლის იმპორტი ოსიპოვთან შეუთანხმებლად განახორციელეს, საბაჟოებზე ბარიერები შეექმნათ, ანუ განბაჟების „ნითელ ზოლში“ აღმოჩნდნენ.

— რას გულისხმობთ? — ჩარქველიანმა, თავის კუთვნილ ნისქვილიკომბინატს, თვეში 9 000 ტონა ფქვილის კვოტა მიანიჭა, სხვებს კი — უმნიშვნელო რაოდენობა. ვერაფერს ვიტყვით, ჭეშმარიტად „ქურდული გაყოფაა“!

საერთოდ, საქართველო, ერთი თვის განმავლობაში, 60 000 ტონა ხორბალს მოიხმარს, ერთი ტონა ხორბლის რეზერვუარებში შენახვა 5 დოლარი, ანუ 60 000 ტონის თვეში 300 000 დოლარი ჯდება და აქაც ადგილი მონოპოლისტს აქვს.

— რატომ? — მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტიორთა უმეტესობას თავისი რეზერვუარები აქვს, ოსიპოვმა აიძულა, რომ ხორბალი მის რეზერვუარებში განათავსოს... მარტივად დავიფიქსოთ, თუ რა მოგებას ნახულობს ოსიპოვი „სტაიანკ-ად“ გადაქცეული რეზერვუარებიდან: 60 000 ტონა 12 თვეზე რომ გავამრავლოთ, 720 000-ს მივიღებთ. თუ 720 000 ტონას 5-ზე გავამრავლებთ, მივიღებთ 3 600 000-ს, ანუ ამ ადამიანის წლიური შემოსავალი 3 600 000 აშშ დოლარია.

სწორედ ასეთი დანაშაულის ბრალია, რომ ერთი ტომარა (50 კგ) უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილი, რომელიც თვეწახვევის წინ 37 ლარი ღირდა, დღეს 44 ლარამდე ჯდება, თან ნისქვილიკომბინატებში, თორემ ბაზარზე 48-49 ლარია. თუ ასე გაგრძელდა, ნისქვილიკომბინატებს ერთი ტომარა ხორბლის ფქვილის შექენა 46 ლარი დაუჯდებათ, ბაზარზე კი, შესაძლოა, 51-52 ლარიც გახდეს.

— ბატონო მერაბ, თქვენი აზრით, ოსიპოვს მფარველები ჰყავს? — ძალიან მიაბიძი უნდა იყო ადამიანი, ვერ მიხვდებოდა, ხელისუფლებაში მყოფი მაღალჩინოსანის მფარველობის გარეშე, ოსიპოვი ასეთ თავხედურ, დანაშაულებრივ საქმეს რომ ვერ ააშუშავებდა, თუმცა ამ „ყოვლისშემძლე“ ჩინოვიკის ვინაობა ჩემთვის უცნობია.

— თქვენ, როგორც უფლებადამცველს, ზემოხსენებული ფაქტების მტკიცებულებები გაქვთ? — მე ის ინფორმაცია გავახმაურე, რომელიც

სამოზიციის ტრიბუნა

სამთავროდან ბოიკოტისტები ქურჩის აქციაზე იწყებენ

„მადლობა კალაძეს, რომ დენის ტარიფი გააძვირა; მადლობა ნარმანიას, რომ თბილისელებს „სითი პარკის“ საშუალებით ძარცვავს; მადლობა დანელიას, პურის გაძვირებას რომ გეგმავს... სექტემბრამდე მთავრობა კიდევ ბევრ ისეთს გააკეთებს, რისთვისაც მადლობას ვეტყვიოთ კახა კუკავა... ერთი სიტყვით, შუალედური არჩევნებისთვის ბოიკოტგამოცხადებულები სექტემბრამდე დიდ საპროტესტო აქციებს აანონსებენ. ამასთან, „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას, კახა კუკავა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ, პოლიტიკიდან წავსვლას გეგმავდა, 2007 წლის ნოემბერს იხსენებს და მიანიშნებს, საპროტესტო აქციები მასწინა მათხრობითი სისტემის გაუქმების მოთხოვნით დაიწყო და პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნაში მხოლოდ შემდგომ, ვითარების დაძაბვის გამო გადაიზარდა... „ქართული სიტყვა“ კახა კუკავას ესაუბრა.

— გამოცხადებულ ბოიკოტს „ნაცმოძრაობაც“ შეუერთდა, თქვენ და „ნაციონალები“ დამეგობრდით?

— დღეს „ნაცმოძრაობა“ ოპოზიციაცაა და ძალიან ბევრ რამეს იტყვის, რაც არასაპროლაქტო ოპოზიციის პოზიციას დაემთხვევა. მაგალითად, დენი გაძვირდა და „ნაცმოძრაობაც“ ამბობს, რომ ეს ცუდია და ამის გამო არასაპროლაქტო ოპოზიციის ხომ არ იტყვის, დენის გაძვირება ვარჯიშია? „ნაცმოძრაობა“ ჩვენთვის მეტრი და კრიტიკიუმი არაა. მაშინ, როცა ხელისუფლებაში იყო, „ნაცმოძრაობა“ მხარს ამ საარჩევნო კოდექსს უჭერდა და მაჟორიტარული სისტემის გაუქმების წინააღმდეგე იყო. დღეს, როცა ხელისუფლებაში „ოცნებაა“, მაჟორიტარული სისტემის გაუქმების წინააღმდეგეა და „ნაცმოძრაობა“ მომხრეა, რაც იმას აჩვენებს, რომ ორ პოლიტიკურ ძალას პრინციპები არ აქვს. ჩვენ კი, პრინციპებს ვერ შევიცვლით და ახლაც იმ პოზიციას ვგდავართ, რომელიც 2008 წელს გვქონდა.

სხვათა შორის, ზუსტად ამ მოთხოვნით, რომელიც ოპოზიციის შემორანდუმშიცაა შეტანილი, თავის დროზე პარლამენტის წინ დიდევადელი „ოცნების“ ლიდერები შიშობობდნენ.

— ამ პრინციპული შეუთავსებლობის მიუხედავად, პოლიტიკურ მომავალს „ნაცმოძრაობასთან“ ერთად ხედავთ?

— „ნაცმოძრაობასთან“ არ ვთანამშრომლობთ!

— რატომ? პოლიტიკურად მომგებიანი არაა? ბოლოს და ბოლოს, „ნაციონალებიც“ ოპოზიციონერები არიან და იმას ითხოვნიან, რასაც თქვენ...

— იმითვე არ ვთანამშრომლობთ, რომ „ნაცმოძრაობასთანაც“ იგივე პრეტენზიები გვაქვს, რაც — „ქართულ ოცნებასთან“. ყველა დამიანძნა თავის ქმედებებზე პასუხის უნდა აგოს. ათი წლისწინანდელი პრეტენზიები ძალაშია და „ნაცმოძრაობაზე“ აზრი არ შეგვცვლილა. სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ დღითიდღე იმ რეჟიმს ემსგავსება, რომელიც საქართველოში 2012 წლამდე იყო.

— ბატონო კახა, შუალედური არჩევნების ბოიკოტი რას მოგიტანთ?

— დარწმუნებული ვარ, იმ შედეგებს მოიტანს, რა შედეგებიც 1990 წელს მოიტანა: მაშინ ზვიად გამსახურდიამ კომუნისტების არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და ჩაშალა. კომუნისტები იძულებული გახდნენ, თავისუფალი არჩევნები ჩაეტარებინათ და კატასტროფულად დამარცხდნენ. საქართველოში „ოცნება“ ისეთი ვითარება შექმნა, რომ ოდნავ სამართლიანი არჩევნების „ქართული ოცნება“ არათუ მოგების შანსი აქვს, არამედ, ხმებს 10-15 პროცენტის ფარგლებში თუ აიღებს. დღეს არჩევნებს საარჩევნო კამპანია კი არა, პრაქტიკულად, საარჩევნო კოდექსი იკვება. თუ ნორმალური საარჩევნო კოდექსი იქნება, გარანტირებულად გეტყვით, რომ „ქართული ოცნება“ ვასო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიას გვერდით, ჩავატაროთ და ნორმალური საარჩევნო კოდექსი არ იქნება, როგორი საარჩევნო კამპანიაც უნდა ჩავატაროთ და ამომრჩევლებს როგორი პროგრამაც უნდა შევთავაზოთ, ბუნებრივია, არჩევნები გაყალბდება და ხელისუფლება ფონს გასვლას მაჟორიტარების საშუალებით შეძლებს.

მომავალს. დოკუმენტების მოძიება ჩემს შესაძლებლობებს სცდება. იმედი მაქვს, შესაბამისი უწყებები არსებული სიტუაციით დაინტერესდებიან. თუ სამართალდამცველები დაინტერესდებიან და გარკვეულ გარანტიებს მომცემენ, იმ მდგომარეობას შევხვდებით, რომლებმაც ეს ინფორმაცია მომანიშნა.

— გარანტია რა შუაშია? — იმ შუაშია, რომ მათ საფრთხე არ შეექმნათ...

„თაიმერგა“

კახა კუკავა „ოცნებას“ ემუქრება

ციის წევრებიც საუბრობენ. შემიძლია, მოგიყვანოთ ციტატა დავით ბერძენიშვილის ინტერვიუდან, რომელიც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ფრაქციის თავმჯდომარეა და არა — რიგითი დეპუტატი. მან თქვა, არ შეიძლება, მაჟორიტარი დეპუტატის შერჩევაში სუსი-ეროვასა და სხვას, შემოიძლია, მოგიყვანოთ მაგალითი დავით საგანელიძის ინტერვიუდან, რომელმაც განაცხადა, მთავრობასთან შეხვედრა გეგმიანია და მინისტრებთან შევთანხმებით, ვინ იქნებიან მერობისა და დეპუტატობის კანდიდატები. ნათელია, რომ მაჟორიტარებისა და სხვა დეპუტატების შერჩევისას გადაწყვეტილებას ყოფილი პრემიერი იღებს და ამის აღსრულება სუსსა და სხვა სპეცსამსახურებს ევალებათ.

— თქვენი მთავარი მიზანი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაა?

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იდეალური არაა, მაგრამ როცა ქვეყანაში ვალუტის დევალაცია ხდება, როცა პრემიერიც აღიარებს, რომ ინვესტიციები აღარ შემოდის, როცა სამართლიანობის აღდგენის პროცესს, პრაქტიკულად, ნულოვანი შედეგი აქვს და როცა საგარეო პოლიტიკაში სრული კრაზია, ვადამდელი არჩევნები ლოგიკურია — მთავრობა უნდა წავიდეს. ყოველ შემთხვევაში, ბელგიის, პოლანდიის, ესპანეთის, ან გერმანიის მთავრობა ასე მოიქცევდა — ვადამდელ არჩევნებს ოპოზიციის ყოველგვარი აქტიურობის გარეშე გამოაცხადებდა. აკი, ციტრასმატ თქვა, ვინაიდან საბერძნეთში სირთულეებია, ბერძენ ხალხს უფლება აქვს, არჩევიან გააკეთოსო. ციტრასს რომ რეიტინგი აქვს, ის „ქართულ ოცნებას“ არც დავისმერება, მაგრამ განაცხადა, დაე, ხალხმა გადაწყვიტოს და სკამს არ მოგვდელაუჭებო. ის ნამდვილი ევროპელი პოლიტიკოსია. ჩვენ კი, ხელისუფლების სათავეში ისევე საბჭოთა პოლიტიკოსები გვყავს...

„თავისუფალი საქართველოს“ პოზიცია ასეთია: კეტეგორიულად მნიშვნელოვანი არაა, თუ როდის ჩატარდება არჩევნები — გაზაფხულზე თუ შემოდგომაზე. მთავარია, ეს თავისუფალი არჩევნები იყოს.

— ბოიკოტის შემორანდუმის ხელმოწერისას, თქვენმა თანამოაზრეებმა ხელისუფლებას ცუდი შემოდგომა უწინასწარმეტყველეს...

— არ ვიცი, ცუდში რას გულისხმობთ, მაგრამ გეტყვით, რომ იგეგმება მასობრივი საპროტესტო აქციები. შეგახსენებთ: 2007 წლის აქციები, რომელიც 7 ნოემბრით დასრულდა, მაჟორიტარი სისტემის გაუქმების მოთხოვნით დაიწყო... ეს დღეს ბევრს აღარ ახსოვს, რადგან მერე, როცა ვითარება დაიძაბა, წინა პლანზე პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა წამოვიდა. დღესაც, ხელისუფლებისგან საარჩევნო რეფორმას ვითხოვთ, მაგრამ თუ ეს გათვალისწინებული არ იქნება, მაშინ საპროტესტო აქციები ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნაში გადაიზარდება.

— იმის რესურსი გაქვთ, რომ ხალხი ქურჩაში გამოიყვანოთ?

— ნაკლებად, მაგრამ დიდი მაदლობა მინდა გადავუხადო ბატონ კახა კალაძეს, რომელმაც დენის ტარიფი გაზარდა; მაदლობა, ასევე, დავით ნარმანიას, რომელიც „სითი პარკის“ საშუალებით, თბილისელებს ძარცვავს; მაदლობა ოთარ დანელიას, რომელიც პურს აძვირებს და სექტემბრამდე კიდევ ბევრი გამოჩნდება ასეთი, ვისაც მადლობას ვეტყვით!

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ლინა



საქართველო. საქართველო. საქართველო.

საქართველოში მასიური პოლიციური ტერორი დაიწყო

საქართველოში მასიური პოლიციური ტერორი დაიწყო – რამდენიმე კვირაა, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შევიდა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი პოტენციურ კრიმინალად გამოცხადდა. ცვლილებების მიხედვით, სანადირო თოფის უკანონოდ ფლობა დანაშაულად ითვლება და ჯარიმით, ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. სანადირო თოფის კრიმინალიზაციას არ ეთანხმება ადვოკატი ცირა ჯავახიშვილი და ამას სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოსახლეობის ტერორს უწოდებს.

ცირა ჯავახიშვილი, ადვოკატი: – ყველა ძველმა ადვოკატმა იცის, რომ 236-ე მუხლი ასეთი ფრაზით იწყებოდა: „ცეცხლსასროლი იარაღი...“ და ასე შემდეგ. ახლა კი, ასე იწყება: „სანადირო თოფის, ან ცეცხლსასროლი იარაღის“ და შემდეგ მოდის მუხლის დისპოზიცია. გადაჭრილი სანადირო თოფის უკანონოდ ფლობა ყოველთვის ისჯებოდა, მაგრამ აქამდე სანადირო თოფის ქონა დასჯადი არ ყოფილა. კომუნიკაციების პერიოდშიც იყო მცდელობა, რომ სანადირო თოფის კრიმინალიზაცია მოეხდინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ იმიტომ, რომ სანადირო თოფი სოფლის მოსახლეობას, ძირითადად, თავდაცვის მიზნით ესაჭიროება. სანადირო თოფები აქვთ რაიონებში. თბილისსა და სხვა ქალაქებში შეიძლება, მონადირეს ჰქონდეს, თან – აუცილებლად რეგისტრირებული. რაიონებში, სადაც სოფლებში მთიდან გარეული ცხოველები ხშირად ჩადიან და პირუტყვს იტაცებენ, ხალხს თავდაცვის უფლება აქვს და თავდაცვის ერთ-ერთი სახე სწორედ სანადირო თოფია.

– თუ აქამდე სანადირო თოფი გაფორმებული არ იყო, მაინც თავდაცვის იარაღად ითვლებოდა?

– ეს ადმინისტრაციული გადაცდომა იყო და ამაზე ადამიანს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ მოსთხოვდნენ. ასეთი კატეგორიის ადამიანს დამნაშავე არ ერქვა. ახლა კი, დამნაშავე ჰქვია. როცა ქმე-

დების კრიმინალიზაცია ხდება, აუცილებლად უნდა გავრცელდეს მედიით, რათა მოსახლეობა მომზადებული იყოს. ასევე, აუცილებელია იმის აღწერაც, თუ როგორ უნდა მოიქცეს ის, ვისაც შინ სანადირო თოფი აქვს.

– გაფორმებული თოფის შემთხვევაში რა ხდება?

– თოფი აყვანილია აღრიცხვაზე, ბალისტიკურად შემოწმებულია და მფლობელსაც სათანადო ნებართვა აქვს. როცა ადამიანი ყიდულობს, იარაღის გაფორმების სპეციალური რეჟიმი არსებობს და ასეთ დროს თოფი ლეგალიზებულია, მაგრამ როცა სანადირო თოფს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მემკვიდრეობით იღებს და ეს მემკვიდრეობა რამდენიმე თაობას ეხება, საქმე რთულდება. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ სამოქალაქო კოდექსით საშვილოსნო მიღება ნოტარიუსის საშუალებით ხდება. ეს ისეთ ადამიანებსაც ეხება, რომლებიც გარდაცვლილთან ერთად არ ცხოვრობდნენ და არც კონკრეტულ მისამართზე არიან ჩანერილნი. გარდა ამისა, არსებობს „ფაქტობრივი მფლობელობის მიღების“ მცნება, ანუ როცა საქართველოს მოქალაქეს სამკვიდრო ფაქტობრივი მფლობელობით აქვს მიღებული. ამ შემთხვევაში, სამკვიდრო მონაშთი არ გაიცემა და როცა უნდა, ქონებას მამინე მიიღებს. ახლა კი, მოძრავი ქონების ჩამონათვალი სანადირო თოფიც შედის და საქმე უკვე ადმინისტრაციულ გა-



სანადირო თოფები სასწრაფოდ გაიჭორბით! – კანონში შეტანილი ცვლილება და ადვოკატის საბანგაო გაფრთხილება

დაცდომასთან გვაქვს.

– კანონში შეტანილი ცვლილება როდის ამოქმედდება?

– 25 ივლისიდან.

მტერი და არაკეთილსამოსურნი ყველა ადამიანს ჰყავს. რაიონებში თითქმის ყველა ოჯახში იხანება თოფი. აქედან, დარწმუნებული ვარ, ორი მესამედი გაფორმებული არაა და მემკვიდრეობით აქვთ მიღებული. ნებისმიერი განაცხადის შემთხვევაში, ამ ადამიანებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოუწევთ: ცვლილებების მიხედვით, თოფის მართლსაწინააღმდეგო შექმნა შენახვა ითვალისწინებს ჯარიმას, ორ წლამდე პატიმრობას.

– მიუხედავად იმისა, რომ კანონი ძალაში ახლანაშ შევიდა, „ქართულმა სიტყვამ“ რამდენიმე შემთხვევის შესახებ შეიტყო. კერძოდ, სოფლებში იმ ადამიანების მასობრივი დევნა დაიწყო, რომლებიც სანადირო თოფებს ფლობენ. ქალბატონო ცირა, კონკრეტული ფაქტის შესახებ თქვენც ხომ არ იცით?

– მაქვს სისხლის სამართლის საქმე: არაკეთილსამოსურნი პირმა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს სერიოზული ზიანი მიაყენა.

– როგორ?

– მოგესხნებოდა, სოფლებში სახლებს არ კეტავენ. ამ ადამიანს სანადირო თოფი მოპარა, გადაჭრა და უკან დააბრუნა. შემდეგ კი, თავზე პოლიცია დააყენა. ეს პიროვნება ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, მძიმე ავადმყოფი მამა ჰყავს და ციხეში წასვლა არ უნდა. ამიტომ „დანაშაული ალიარა“. დიდი იმედი ჰქონდა, რომ საპროცესო შეთანხმებას მიაღწევდა, მაგრამ პროკურატურამ, ვიდრე ბრალდებულმა წინასასამართლო სხდომაზე არ განაცხადა, რომ სადავოდ ერთ მტკიცებულებასაც არ ხდოდა, მოატყუა...

– ამ გადაჭრილი თოფით დანაშაულია ჩადენილი?

– არა. მიუხედავად ამისა, ამ დანაშაულისთვის, პასუხისმგებლობა ექვსიდან ცხრა წლამდეა. ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა, კოალიცია „ოცნება“ აცხადებდა, რომ სისხლის სამართლის მუხლები ერთმანეთთან შესაბამისობაში არაა...

– ახლაც ასეა?

– მაშინ, როცა გაუფრთხილებელი მკვლელობისთვის ხუთი წელი პატიმრობაა გათვალისწინებული, უბრალოდ, გადაჭრილი თოფის სახლი დებისთვის, ცხრანაწილიანი პატიმრობა რატომ უნდა იყოს?

– თქვენმა კლიენტმა მტკიცებულებები სადავო რატომ არ გახადა?

– მიუხედავად იმისა, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ თოფი ახალი გადაჭრილი იყო, ჩემს კლიენტს ეგონა, რომ საპროცესო გარეგნობას მიაღწევდა, არადა, საპროცესო კოდექსში არის მუხლები, რომელთა მიხედვითაც, თუკი მტკიცებულებები სადავოდ არ გახადა, ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი შეკვეცილი წარმოებით გამოაქვს. სად არის კონსტიტუციის 42-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც დანაშაული აუცილებლად უნდა დგინდებოდეს გონივრული მტკიცებულებებით?

ჩვენც ასეთივე ამბავი გველი.

– რას გულისხმობთ?

– რას და, – ძირითადად ასეთი თოფები იქნება ამოღებული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუნდაც ჯარიმის სახით, დადგება. გლეხი ერთ ცხვარს, ან ძროხას გაყიდის და ჯარიმას გადაიხდის, მაგრამ ეს ნორმალური არაა. ეს მოსახლეობის ტერორია. გამოდის, რომ საქართველოში ყოველი მეორე მოქალაქე კრიმინალია!

– ქალბატონო ცირა, თქვენი აზრით, კოდექსში ასეთი ჩანაწერის გაკეთება აუცილებელი რატომ გახდა? ამის მიზეზი სანადირო თოფით ჩადენილი დანაშაულის გაზრ-

დილი სტატისტიკა ხომ არაა?

– შესაძლოა... ყველა სახელმწიფოსთვის სასურველია, რომ სანადირო თოფი აღრიცხვაზე იყოს, მისი ბალისტიკური მონაცემები არსებობდეს და ძალიან კარგია, თუკი ასეთი სისტემატიზაცია დაიწყება, მაგრამ ასე უცებ მოსახლეობა ფაქტის წინაშე დააყენო, კრიმინალად გამოაცხადო, შინ შეუფარდე და სტრესი მიაღებინო, ნორმალურად არ მიმართია. უნდა ჩავთვალოთ, რომ ყველა ოჯახში პოტენციური პატიმარია. არაკეთილსამოსურველი რომც არ იყოს, პოლიციამ ხომ იცის, რომ თითქმის ყველა ოჯახში იარაღია? ამით საშუალება ექნება, შევიდეს და სამართალწარმოება დაიწყოს. ბიუჯეტზე შეივსება და კანონიც აღსრულდება.

– მოსახლეობამ ისიც კი არ იცის, რომ სახელმწიფომ ის პოტენციურ დამნაშავედ გამოაცხადა. მათ, ვისაც შინ სანადირო თოფები აქვთ, რა უნდა გააკეთონ?

– პირველი, რა პრობლემის წინაშე შეიძლება, გლეხი დადგეს, ისაა, რომ იარაღის წარმომავლობა უნდა დაამტკიცოს. იმ შემთხვევაში, თუკი მემკვიდრეობით მიიღო, მოუწევს ნოტარიუსისთან სამემკვიდრეო მონაშთის აღება. გლეხმა უნდა მოიცალოს, აიღოს ე.წ. ფსიქო, იარაღი ექსპერტიზაზე გაატაროს, ასევე, აიყვანოს ბალისტიკურ აღრიცხვაზე. ყველაფერი ეს დროსა და დიდ თანხასთანაა დაკავშირებული. ამის გაკეთება ხშირად გლეხის შესაძლებლობებს აღემატება. დრო კი, გლეხების წინააღმდეგ მუშაობს. – ისინი კანონმა უკვე პოტენციურ დამნაშავეებად გამოაცხადა და ვიდრე საბუთებს მოაწესრიგებენ, ვალდებული არიან, მივიდნენ და იარაღი ჩააბარონ. მერე, როცა მის წარმომავლობას დაადასტურებენ და სამკვიდრო მონაშთის მიიღებენ, შეუძლიათ, პოლიციას მიაკითხონ და იარაღი დაიბრუნონ.

– პოლიცია ჩაბარებულ იარაღს დააბრუნებს?

– არ ვიცი... გლეხს იარაღის შექმნა, ალბათ, ხელახლა მოუწევს.

– როგორც გავარკვევ, რეგიონში ასეთი კანონი არსადაა. ცვლილება ბიუჯეტის შესვლების მიზნით ხომ განხორციელდა?

– ალბათ... კანონი ძალაში რამდენიმე კვირაა, შევიდა და რაიონებში პოლიციამ შეიძლება, ხალხის მასიური აყვანა დაიწყოს, რადგან კანონის აღსრულებას ვერ აუკრძალავ.

– მოსახლეობამ კი, კანონის შესახებ არაფერი იცის...

– კანონში არ წერია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე იფიქროს, მაგრამ თუ სახელმწიფო ხარ და შენი მოსახლეობის ინტერესებს იცავ, ეს უნდა გააკეთო. როცა გარკვეულ ქმედებას, რომელიც დანაშაული არ წარმოადგენს, კრიმინალად აცხადებ და იცი, რომ ამას მასიური ხასიათი ექნება, ეს ყველა საინფორმაციო საშუალებით უნდა გადასცე – კანონპროექტის მიღებიდან დაწყებული, მის ძალაში შესვლამდე, მოსახლეობას რეკომენდაციები აუცილებლად უნდა მიანდო. სანადირო თოფების სისტემატიზაცია და ისიც კარგია, რომ კანონი საერთაშორისო მოთხოვნებთან იყოს შესაბამისობაში, მაგრამ ამ გზით სიარული არ შეიძლება – ამას საკუთარი მოსახლეობის ტერორი ჰქვია. ხალხმა არ იცის და ამიტომ იარაღის მასიური ჩაბარება არ დაწყებულა. სამაგიეროდ, ეს ამბავი იცის პოლიციამ და შეუძლია, სასამართლოს გადამწყვეტილებას არ დაელოდოს, ყველა ოჯახში „გადაუდებელი აუცილებლობის“ საბაბით შევიდეს, იარაღი ამოიღოს, მეპატრონე კი, პასუხისმგებლობა მისცეს.

ესაუბრა ნათია შერაძელი



მასობრივი დაჭირები იწყება?!

„სანადირო თოფების სისტემატიზაცია და ისიც კარგია, რომ კანონი საერთაშორისო მოთხოვნებთან იყოს შესაბამისობაში, მაგრამ ამ გზით სიარული არ შეიძლება – ამას საკუთარი მოსახლეობის ტერორი ჰქვია. ხალხმა არ იცის და ამიტომ იარაღის მასიური ჩაბარება არ დაწყებულა. სამაგიეროდ, ეს ამბავი იცის პოლიციამ და შეუძლია, სასამართლოს გადამწყვეტილებას არ დაელოდოს, ყველა ოჯახში „გადაუდებელი აუცილებლობის“ საბაბით შევიდეს, იარაღი ამოიღოს, მეპატრონე კი, პასუხისმგებლობა მისცეს.“

მედიცინა

განგრენა განაჩენი არაა — დაავადებული კიდურები ამპუტაციის გარეშე იკურნება!

თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (არამიანცი) მიმღებში ტერფის კაბინეტი გაიხსნა. ეს ინფორმაცია ყველაზე მეტად მათ დაინტერესებთ, ვისთვისაც დიაბეტური ნეირონგოპათია და მის ფონზე განვითარებული სხვადასხვა გართულება, განგრენა და, ასევე, ტროპიკული წყლული ნაცნობი პრობლემაა. სხვათა შორის, საქართველოში დიაბეტით 400 ათასი ადამიანი დაავადებული, აქედან 10 პროცენტს, ანუ ოთხასი ათასს ფეხის, მასადავად, განგრენის პრობლემა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მინიმუმ, 4 ათასი პაციენტი ფეხის მოკვეთის საშუალებების წინაშე დგას, თუმცა სისხლძარღვთა მიკროქირურგი, პროფესორი სოსო ვახტანგაძე „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას ამბობს, რომ განგრენა განაჩენი არაა და იმ მეთოდით, რომელსაც 1989 წლიდან იყენებს, ფეხის შენარჩუნება შესაძლებელია. განგრენის დამარცხების საიდუმლო — არც მეტი, არც ნაკლები — ბალახეული პრეპარატი „მედეა“, რომელსაც მედეა ბელთაძე ამზადებს.

თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოს მიმღებში („არამიანცი“) ტერფის კაბინეტი გაიხსნა

ავადმყოფოში, ჩირქოვან ქირურგიაში გაგვაგზავნა. განყოფილების გამგე სიკო კასრაძე იყო. ანდრო ყიფშიძე არ მომყვებოდა, შანსი არაა, ამის ნება მოგვცენო. ძალით წავიყვანე... ბოლოს, ასე იყო თუ ისე, ანდრო საქართველოდან წავიდა.

— სად?
— სევასტოპოლში. დღემდე იქ ცხოვრობს და ხელის გულზე ატარებენ.
— ბატონო სოსო, საერთო ჯამში, ფეხის მოჭრას რამდენი პაციენტი გადაარჩინეთ?
— 1000-1200.
— რამდენი წელია, ამ მეთოდს იყენებთ?
— 1989 წლიდან...
— სახელმწიფო ამპუტაციას აფინანსებს?

— დიას.
— მკურნალობის თქვენურ მეთოდს?
— არა... საერთოდ, დიაბეტური ავადმყოფები ყველაზე გაჭირვებულები არიან.
— რატომ?
— იმიტომ, რომ მოვლა ძვირი ჯდება...
— ბატონო სოსო, მაინც, ვერ გავიგე, „მედეას“ ვინ ამზადებს?
— მედეა ბელთაძე.
— ანუ, კალაძე-ყიფშიძემ წამლის საიდუმლო ამ ქალბატონს გაანდეს?

— არა... ანდრო ყიფშიძე საქართველოდან რომ წავიდა, ეს ქალბატონი მოვიდა და მითხრა, ისეთი წამალი მეც მაქვს, რომლითაც განგრენას მკურნალობთ.
— „მედეა“ სითხეა?
— ბალზამია... ვკითხე, საიდან გაქვთ-მეთქი. ჩემი რეცეპტიაო. გამიკვირდა, შვეიცარიული „ბაზელი“ ორი წელი მუშაობდა და განგრენის სამკურნალო წამალი ვერ შექმნა-მეთქი... ამ წამლის ერთადერთი უკუჩვენება ნიკოტინი და ვთვისებიათი სიმსივნეა.

— ანუ, მწველებს არ მკურნალობთ?
— სიგარეტი იმდენს გადავადებინე, რომ მხოლოდ ამისთვის მლოცავენ!
სხვათა შორის, ამ წამალზე დისერტაცია ტრანსპორტის ყოფილი მინისტრის, ნავაძის შვილმა დაიცვა — ექსპერიმენტი ვირთხებზე ჩაატარა.
— ერთი სიტყვით, ბატონო სოსო, განგრენა განაჩენი არაა?
— დიას, არაა — ათიდან რვას ვარჩენთ და ამის პრევენტი მსოფლიოში არ არსებობს.

— პაციენტმა „მედეა“ სისტემატურად უნდა გამოიყენოს?
— წელიწადში ერთხელ...
— პაციენტი, განგრენისგან განკურნების შემდეგ, მუდმივად დაკვირვების ქვეშ გყავთ?
— არა. უბრალოდ, უმჯობესია, წელიწადში ერთხელ, 20-დღიანი კურსი ჩაიტაროს, რაც მხოლოდ ქვედა კიდურებში განგრენის პრევენციას კი არ ემსახურება, არამედ, ადამიანს მთელ ორგანიზმში დიაბეტური ანგეიოპათიით გამოწვეულ გართულებებს ააცილებს.

— „მედეა“ რეცეპტით იყიდება?
— არა... მართალია, ეს სამკურნალო საშუალება დაპატენტებულია, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკაა საჭირო, რომ მკურნალობის ეს მეთოდი საერთაშორისო ასპარეზზეც დაინერგოს, მით უმეტეს, მისი ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს.

— მოკლედ, ბატონო სოსო, აცხადებთ, რომ ამპუტაცია პანაცეა არ არის?
— დიას და ჩვენი დევიზიც სწორედ ესაა: 21-ე საუკუნე ამპუტაციის გარეშე!
აი, ასე: განგრენა განაჩენი არაა! ღმერთმა დაგიფაროთ და, თუკი დიაბეტური ანგეიოპათიით გამოწვეული სხვადასხვა გართულება განუხებთ, შეგიძლიათ, თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს („არამიანცი“) მიმღების ტერფის კაბინეტს მიაკითხოთ!
ჯანმრთელობას გისურვებთ!

ვანო პავლიაშვილი



— დიას, „შანხაიში“, მწვანე აფთიაქში... სხვათა შორის, შვეიცარიაში, „ბაზელის“ ფირმა ამ წამალზე ორი წელი მუშაობდა, მაგრამ თავი-ბოლო ვერ გაუფიქრო...
— წამალს რა ჰქვია?
— კომპლექტი „მედეა“...
— ბატონო სოსო, თუკი „მედეა“ სასწაულებს ასდენს, რატომ არ არეკლამებთ?
— რეკლამა რომ გავაკეთოთ, უამრავი ხალხი მოგვანყვება, წამლის საკმარისი რაოდენობა კი არ გვაქვს...
— „მედეა“ რა ღირს?
— სახელმწიფომ 600 ლარი დააღო.
— ე.წ. კომპლექტი პაციენტს რამდენ ხანს ყოფნის?
— 20 დღიდან ერთ თვემდე... ალტერნატიული ქიმიური პრეპარატები კი, დაახლოებით, 1 800 ლარი ჯდება...
— თუკი რამდენი პაციენტი გყავთ?
— 20-მდე. ჩვენთან, როგორც წესი, მაშინ

მოდიან, როცა ფეხი უკვე მოსაჭრელია... სხვათა შორის, ამ მეთოდით თურქებიც დაინტერესდნენ... ამას წინათ კი, გერმანიიდან ძმები ჩამოვიდნენ და „მედეას“ შექმნელს შესთავაზეს, ორ მილიონს გადაგიხდით და წამლის ლიცენზია მოგვყიდოთ, მაგრამ უარი უთხრა.
— ბატონო სოსო, დავიბენი: წელან მითხარით, განგრენის მკურნალობის ეს მეთოდი კალაძე-ყიფშიძემ დანერგესო. ახლა კი, პრეპარატის ავტორად ქალბატონს ასახელებთ...
— კარგ ამბავს მოგიყვებით: თავის დროზე, როცა ჯანდაცვის მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი იყო, ვკითხე, რამდენი პაციენტი უნდა მოვარჩინო, რომ ეს მეთოდი დადებითად ჩაითვალოს-მეთქი. მიპასუხა, ათიდან ერთი რომ მოარჩინო, კარგი იქნებაო. ათიდან რვას ვარჩენთ-მეთქი. გაგიჟდა, მაშინ მიმართვას მოგცემოთ და მე-8 სა-

სოსო ვახტანგაძე: — 20 წელია, დიაბეტურ ტერფს კალაძის მეთოდით, ანუ ბალახებით ვმკურნალობთ. მართალია, ეს მეთოდი 1944 წლიდან არსებობს, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, საქართველოში მისი დანერგვა კარგა ხანს ვერ მოხერხდა. მეტიც, კალაძის სიძე საქართველოდანაც გააქციეს — სევასტოპოლში ცხოვრობს... რამდენიმე წლის წინ, სიმპოზიუმში ჩატარდა, სადაც ბალახებით მკურნალობა მკურნალობის ტრადიციულ მეთოდად აღიარეს.

სხვათა შორის, მსოფლიოში ყოველ ნახევარ წუთში ერთი კიდურის ამპუტაცია ხდება. შარშან, აშშ-ში 69 ათასი კიდური მოიკვეთა, საფრანგეთში — 5 ათასი, ჩვენთან კი, — 1400.

— კიდურის მოკვეთის მთავარი მიზეზი დიაბეტია?
— ძირითადად, დიაბეტური განგრენა და, ამასთან, სხვა ექვსი დაავადება, მათ შორის, ათეროსკლეროზი, რეისინდრომი, პერიფერიული ტრომოზები და ასე შემდეგ, თუმცა ჩვენ მხოლოდ დიაბეტური განგრენით ვართ დაკავებულნი, რომელსაც ხელს არავინ კიდებს.

1983 წელს რუსეთიდან დავბრუნდი. 1987 წელს, მიკროქირურგიის განყოფილებაში, რომლის გამგეც გოგი ნაცვლიშვილი იყო, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, ვოვა ხატიაშვილი დააწვინეს. განგრენა ფეხის თითზე ჰქონდა, რაც ფეხის ამპუტაციის პირდაპირი ჩვენებაა, თუმცა კაცს გაგიჟდა, არაო. პაციენტის დამ მითხრა, სოსო, შენს მეტს არავის ვენდობთ, ყველანაირ საოპერაციო პრობლემს შეგიქმნით და თითი სახლში მოაჭერიო.

— დასთანხმდით?
— რა უნდა მექნა?! — ბოლოს და ბოლოს, მინისტრის მოადგილე იყო. ისეთი დიაგნოზი ჰქონდა, რომ გრამი სისხლი არ უნდა და მხვედროდა, მაგრამ ოპერაცია რომ დავიწყე, სისხლმა გამოასხა და ძლივს შევაჩერე. დაინტერესდი, სისხლი რატომ იყო. მითხრა, ანდრეი კონსტანტინეს ძე ყიფშიძე ბალახებით მკურნალობდაო. საერთოდ, ბალახებით მკურნალობას კარგა ხნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ — ფეხი მოაჭერი და დამთავრდა.

— ...ფეხის მოჭრა რა ჯდება?
— 1500 ლარი.
— განგრენის თქვენი მეთოდით მკურნალობა რაღა ღირს?
— ამ თანხის ლამის ნახევარი — 900 ლარი... ათი ავადმყოფიდან რვას ვარჩენთ.
— მორჩენის შანსი მაშინაცაა, თუკი დაავადება კულმინაციურ ზღვარზეა?
— დიას... აი, ერთ პაციენტს ოპერაცია გუშინ გაუკეთეთ და მალე კანფექციით იქნება...
— ანუ, ჯერ ოპერაციას აკეთებთ და მერე მკურნალობთ?
— ოპერაციას მაშინ ვაკეთებთ, თუ გადაუდებელი აუცილებლობაა. საერთოდ, ოპერაცია შეიძლება, გააკეთო, მაგრამ განგრენა მაინც ვითარდება. ამიტომ, ავადმყოფს ჯერ ვმკურნალობთ...
— განგრენა მხოლოდ ქვედა კიდურებზე ვითარდება?
— არა, ხელზეც, თუმცა ფეხიდან იწყება... სხვათა შორის, ევროპაში, მკურნალობის 60 პროცენტი არატრადიციულ მეთოდზე, ანუ ბალახებზე მოდის. ჩინეთში კი, ქიმიურ ერთ პრეპარატსაც ვერ ნახავთ...
— პრეპარატი, რომლითაც განგრენას არჩენთ, აფთიაქებში იყიდება?



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავე, ქართულო სიტყვავე!“

კარნეგ ლინჩი

სანიწორმაციო მხარდაჭერა

1) სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის სანაბრკლივობა მისამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1200 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მეოთხე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მესამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტიკის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

2) მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამატურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის სანაბრკლივობა მეოთხე საფეხურზე 60 კრედიტი (ორი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მესამე საფეხურზე – 120 კრედიტი (ოთხი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი (წლიური).

კურსდამთავრებულს ენიჭება მცირე ბიზნესის მწარმოებლის შესაბამისად მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

საბუთები მიიღება 1 აპრისტოდან 25 სექტემბრამდე.
სწავლა დაიწყება 28 სექტემბერს.

საბუთების ნუსხა: სკოლის ატესტატი, ვაჭებისათვის სამხედრო აღრიცხვის ბარათი,

2 ფოტო სურათი (3X4), დაბადების მოწმობა, განცხადება.


სურვილის შემთხვევაში გადახდის გრაფიკი შედგება ინდივიდუალურად სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. 55

ტელ.: 2960104

tbuniver.edu@gmail.com

„თბილისის
სასწავლო
უნივერსიტეტი“
აცხადებს
სტუდენტთა
მიღებას
პროფესიული
პროგრამების
ფაკულტეტზე:



სადაც იმ, ჭეშმარიტება

„ამ გვირი გვიარია!.. საშინელი აურაა!..“

ლეგენდის თანახმად, ამ სახლში დიდი ხანია, არავის უცხოვრია, რადგან სხვადასხვა დროს, აქ მცხოვრები სამი ოჯახიდან სამივე დაიღუპა... როგორც ამბობენ, სახლი 1921 წელს დახოცილი იუნკერების საფლავზეა აშენებული. იმასაც ამბობენ, დღისით კიდევ არაფერი, მაგრამ ღამით იქ შესვლა საშიშიაო. ვილაცხვებო, რომ მოჩვენებები ნახეს. ვილაცხვებო კი, ქალის კივილი და მამაკაცის ღრიალი გაიგეს... არავინ იცის, რა ხდება სინამდვილეში... ზოგს ყველაფერ ამის სჯერა, ზოგს — არა... „ქართულმა სიტყვამ“ კოჯრის მისტიკური სახლის ღამით მონახულება ექსტრასენს ცირა კუპრაშვილთან ერთად გადაწყვიტა. მას ასე: მოგზაურობას ვინცებო!

ღამეა... სახლს ტყის მხრიდან ვუახლოვდებით... ხმის ჩამწერი ჩავრთე... გამიგია, ხანდახან ფირზე ის რჩება, რასაც ჩვეულებრივი თვალთ ვერ ვამჩნევთ. ამიტომ ვიდგო პარატასაც ვრთავ. სახლს ნელ-ნელა ვუახლოვდებით... არ ვიცი, იქ რა დაგვხვდება, მაგრამ ვიცი, ჩემში რა ხდება... ცირა თვალს ხუჭავს, ღრმად სუნთქავს... სამარისებელი სიჩუმეა. წვივები მენვის — ბალახის თითოეულ შეხებასა და შრიალზე რაღაც გრანდიოზულს ველოდები... — საშინელი აურაა... აქ ტყე-პარკი უნდა გაშენდეს, — ჩურჩულს ცირა, — მხოლოდ ხეებს შეუძლიათ, აქაურობა განმინდონ. უკან დავიხიე და პირველი ფოტო გადავიღე. — ჩუ... ნუ ჩქარობ... მე ცდა დიდხანს შემიძლია... კარგია, რომ ღამე მოვედით, — ისევ დაიჩურჩულა ცირამ და სახლს გახედა, — აქ უამრავი მიცვალებულია... — გამარჯობა, — მესმის უკნიდან და მაშინვე ვტრიალდები. სახლის გვერდით მდებარე მონასტრის მორჩილია... რა ხდებაო, გვეკითხება. — რეპორტაჟს ვაკეთებთ, მამაო, — ვპასუხობ, თან მიხარია, პარანორმალური მოვლენის მოწმე რომ არ გავხდები და ჩემს წინ ჩვეულებრივი ადამიანი დგას. — რა რეპორტაჟს? — როგორ თუ რა რეპორტაჟს? — ვიბნევი. — რას იღებთ? — სახლს, მამაო. — ის გაინტერესებთ, ამ სახლში რა ხდება? — დაახლოებით. — იქნებ, თქვენც გვითხრათ ორი სიტყვა,


— საუბარში ცირა ერთვება, — უფრო ბევრი გეცოდინება... — რაც მე ვიცი, არავის აწყობს, — ამბობს მორჩილი. ვაპირებ, ვიდუო გადავულო, მაგრამ მთხოვს, არ გადამილო... — სახლზე მაინც, რა იცით? — მორჩილს უფრო მიუახლოვდი. — ყველაფერი... თუმცა, ეს თქვენ არ განწყობს, რადგან რეპორტაჟისთვის საინტერესო არ იქნება. — იქნება, — მტკიცედ ვამბობ, — მიაბეთ, გისმენთ... — ადრე „იმედიდან“ იყვნენ მოსულები. ძალიან ვთხოვე, არ გადაილოთ-მეთქი და აფუხსენი, მაგრამ არ აინტერესებდათ. — რატომ არ გინდოდათ, რომ გაშუქებულყო? — სახლის დასათვალისწინებლად რომ ამოდიან, მონასტრის ანუხებენ... მეტი არაფერი — ხმაურობენ, იგინებენ, ყვირიან, რაღაცებს ამტვრევენ... იმიტომ, რომ ჰგონიათ, ეს სახლი დაწყველილია და იქ სულები ცხოვრობენ. ასე არაა. — სახლს რატომ არ ანგრევენ, — დაინტერესდა ცირა. — კერძო საკუთრებაა, ვინ დაანგრევს?! საჯარო რეესტრში მისვლისას, ყველას შეუძლია ნახოს, თუ ვინაა მფლობელი. რომ ამბობენ, ბანკისააო, არასწორია. სახელი და გვარი არ ვიცი, მაგრამ ეს სახლი კონკრეტულ პიროვნებებს ეკუთვნის. სახლის ინტერესი არავის აქვს, უბრალოდ, დიდი ტერიტორიაა... — მე ფსიქოლოგი ვარ და ეს სახლი მაინტერესებს, — ამბობს ცირა. — დამეჩვენო გნამო? — კითხულობს მორჩილი. — რა თქმა უნდაო, — ცირამ. — არ გჯერათ, რომ ამ სახლში არაფერი ხდება და მონასტრის ტერიტორია დაწყვე-

შოკისმოგვრელი ღამის რეპორტაჟი კოჯრის იღუბალი სახლიდან და „ქართული სიტყვის“ ექსპერიმენტი — რა ალბათა ფოტოკამერა

ლილი არ იქნება? — თავად სახლი არა, მაგრამ ტერიტორია რატომ არ შეიძლება, დაწყველილი იყოს? ის, ვინც ტაძარში შემოდის, შეიძლება, დაწყველილი იყოს. — ადამიანზე არ გეუბნებით, უფლის სახლი ხომ ვერ იქნება დაწყველილი?! საერთოდ, ეზო სახლის პატრონს ეკუთვნის... — რისი თქმა გინდათ? — აქ ნამონასტრალია და არაფერია დაწყველილი, არც სულები დადიან, — გვარნმუნებს მორჩილი. მორჩილის წელანდელი ნათქვამი მახსენდება, სახლი კერძო პირისა თუ პირების საკუთრებააო. ახლა კი, ამბობს, აქაურობა ნამონასტრალიაო... — თუ ასეა, მაშინ ყველაფერი ეს რატომ მოიგონეს? — ვინტერესდები, — ხომ იცით, ცეცხლი უკვამლოდ არ ჩნდება... — ცარიელი სახლი დაინახეს და ერთი ამბავი ატყდა, ცარიელი რატომ არისო... — ცარიელი სახლი ბევრია... სახლი სასაფლაოზეა აშენებული? — არა... — აქ ბევრი მიცვალებულია, — ამბობს ცირა... ორივე მორჩილს მივანერდით. მორჩილმა ცირას ნათქვამი შეკითხვის ინტონაციით გაიმეორა და დასძინა: — ადრე, მიცვალებულებს მონასტრის ტერიტორიაზე ასაფლავებდნენ. — იცით, ამ სახლში ბოლოს ვინ ცხოვრობდა? — ანაფორაში გამოწყობილ ახალგაზრდას თვალს არ ვაცილებ. — არავინ. საერთოდ, აქ არავის უცხოვრია. — ერთი თვითმხილველი ამბობს, თუ სახლში, თეთრ კაბაში გამოწყობილი ქალი დაინახა, ბავშვის ყვირილიც გაიგონა... თვითმხილველთა ვიდუოები ინტერნეტითაა გავრცელებული, — ვამბობ ჩემთვის... — ერთ-ერთი ვიცი, აქაც ხშირად მოდის ხოლმე... მან მერე თქვა, გავიხუმრეო. მეო-

რე ბიჭი აქაური არაა, თქვენსავით, თბილისიდან იყო ამოსული. ყველაფერი მოიგონა. — სახლში რატომ არ გვიშვებთ? — არ გიშლით... სურათებს იღებდით და მაინტერესებდა, ვინ იყავით. — არავის არაფერს ვუშავებთ, შევალთ, დავათვალიერებთ და მშვიდობიანად წავალთ. ღმერთის რომ გვწამს და ადამიანები გვიყვარს, აქ ამიტომაც ვართ. რამდენიმე წამს ისევ სიჩუმე ჩამოვარდა... ცირამ ზოგადად, მაგრამ ალბათ, უფრო მონასტრიდან მოსული სტუმრის მისამართით დასვა: — ამ სახლის პატრონი ვინმეს ეშუქრება? — არავის, — დაბალი ხმით თქვა მორჩილმა და თითქოს უცებ გამოფხიზლდაო, სიცილნარევი ტონით განაგრძო, — არც არავინ მომკვდარა ამ სახლში, უბრალოდ, არავის უცხოვრია და სახლი არასდროს გამოუყენებიათ. იყიდება და სულ ხელიდან ხელში გადადის... ტერიტორიაა, თორემ სახლი ვის აინტერესებს?! — არც ის აინტერესებთ, რაც სახლის ქვემოთაა? — ვერ მივხვდი, ცირას ეს შეკითხვა რატომ გაუჩნდა, თუმცა თუ ცირას ექსტრასენსულ თუ ფსიქოლოგიურ ნიჭს გავითვალისწინებთ, ეს მოულოდნელი შეკითხვა შეიძლება, იმით ავსხნათ, რომ რაღაც დაინახა. კარგი, ცირა ჩვეულებრივ ადამიანებზე მეტ რამეს ხედავს და ამის გამართლება მარტივია, მაგრამ ყველაზე მეტად იმან გამაკვირვა, ამ არალოგიკურ და, ერთი შეხედვით, გაუგებარ შეკითხვას, რომელზეც, წესით, რა შუაშიაო, უნდა ეპასუხა, მორჩილმა ასეთი პასუხი გასცა: — სახლის ქვემოთ არაფერია! ცირასთვის არავის უთქვამს, რას კითხულობო. უბრალოდ, სახლის ქვემოთ არაფერიაო და... მორჩა — სახლში ნამყოფი ხართ? — არ მოვეშვი მორჩილს. — ნამყოფი?... მე-2 სართულზე ის პურები, „იმედმა“ რომ გადაიღო, ჩემი დაწყობილია. — ახლაც ხომ არ შემოგვეყვებით? — ტყუილს არ გეტყვით, მით უმეტეს, საეკლესიო პირი ხართ. სხვათა შორის, ბაბუა ეპისკოპოსი მყავდა და სვეტიცხოველშია დაკრძალული... ერთად გავარკვიოთ, იქნებ, საერთო ინფორმაციამდეც მივიდეთ, რა ხდება... თქვენც ხომ არ განწყობთ, რომ ამბობენ, დაწყველილი ადგილიაო. დავემხროთ ადამიანებს სიმართლის გარკვევაში. მეც მაქვს რაღაც ინფორმაცია, — ამბობს ცირა... — რა ინფორმაცია გაქვთ? — ეკითხება მორჩილი. — მოდი, შევიდეთ და საუბარი შეგნით გავაგრძელოთ... — აქ მითხარით! — რატომ? იქ საშიშია? — მე და ცირა ვიცინით. მორჩილიც... — საშინელი სუნი დგას, როგორც ბოსელში. ბოსელში შესვლა გსიამოვნებთ? — არა, მაგრამ ინტერესია, — თავისას არ იშლის ცირა. — რა ინტერესი?... რომ გითხრათ, ჩემი სალორე დაწყველილია-მეთქი, ხომ არ შეხვალთ და იფიქრებთ, სისულელეაო?! ესეც ასეა. მერე, თუ გინდათ, შევიდეთ და დავათვალიეროთ, ოღონდ აქ ვილაპარაკოთ, იქ საშინელი სუნია. — ერთი სურათი ხომ არ გადაგველო-მეთქი, — შევასხენე მორჩილს თავი, მაგრამ ისევ იუარა და ცირას შეკითხვა გაუმეორა, რა ინფორმაცია გაქვთო. — იმას არ გეტყვი, სულები დადიან-მეთქი, მაგრამ ეს სახლი ისეთ მინაზე დგას, ტყე-პარკი აუცილებლად უნდა გაშენდეს. — რატომ? — იმიტომ, რომ უარყოფითი ენერგია არ იყოს და ბავშვებმა ირბინონ. — ბავშვები ისედაც დარბიან! მორჩილისა და ცირას დიალოგს ყურს ვუგდებ... — შენს კითხვას ვცემ პასუხს, — აგრძელებს ცირა, — ტყე-პარკს არც ბოსლის სუნი ექნება და შეიძლება, შენთან მოვიდეთ, მხიარულად დაგვიძახო და ამ პარკში ერთად გავისეირნოთ. — აი, რომ ამბობენ, ამ სახლზე არავინ ლაპარაკობს და ხსენებას ყველა გაურბისო, არასწორია. არავის ერიდება ამაზე ლაპარ-





საქართველო
საქართველო
საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაგ“
კარინა ლინჩი

სადღაც იმ, ჭეშმარიტება

აკი. ეს მისტიკაც ძალით შექმნეს, — ამბობს მორჩილი.

— მისტიკა მისტიკად რჩება...
— მხოლოდ ამოსულებისთვის, თორემ აქაურებისთვის — არა.

— იცით, რა მაინტერესებს? — დილოგ-ში ჩავერთე, — სხვა სახლთან რომ მივსულიყავით და ფოტოები გადაგვეღო, მაშინაც მოხვიდოდით?

— იქაც მოვიდოდი. შესვლა ხომ არ ამიკრძალავს, უბრალოდ, ვიკითხე, ვინ იყავით.

საუბარი ისევ ტყე-პარკის გაშენებაზე გაგრძელდა. ცირა ამტკიცებდა, ტყე ჟანგბადს გამოჰყოფს და ჟანგბადი სიცოცხლის საწინდარიაო. მორჩილი კი, ტყე აქ ისედაც არის და კერძო საკუთრებას ვერ შეეხებიო, ამბობდა.

— ამ სახლის პატრონის ინტერესებს რატომ იცავ? — ვიკითხე.

— კი არ ვიცი, უბრალოდ, ვერაფერს ვუზამთ ადამიანის პირად საკუთრებას.

— შეგიძლია, შემოვივარო და ისე მელაპარაკო? როგორც შენი შვილი, როგორც შენი და, როგორც შენი დედა... შემოვივარე და ისე მელაპარაკე... ახლა არ გიყვარვარ, — ეუბნება ცირა მორჩილს.

— რომ მიყვარხართ, ამიტომ გელაპარაკებით, — პასუხობს მორჩილი.

მოკლედ, ვთანხმდებით, რომ არაფერს ვაშავებთ და მორჩილი გვტოვებს.

სახლის კართან ვდგავართ...
შევდივართ...

სიბნელება... ჩამსხვრეული ფანჯრებიდან ლამპიონების შუქი შემოდის. მართლაც, საშინელი სუნია... აურა — უარესი...

წვივების წვა მიმატებს...
ეს არაა „აკრძალული ხილის“ ინტერესი და არც ის, რომ მისტიკის მჯერა. ეს ისაა, რაც ამ სახლში ხდება.

ვიდეოკამერაში ჩახედვა მზარავს და აღარ მინდა, ის, დავინახო, რის სანახავდაც მოვედი...

ცოტაც და, თითქოს ის ქალი გაივლის, ცოტაც და, იმ ბავშვის ხმასაც გავიგებ...

„აქ უამრავი მიცვალებულია“, — მახსენდება ცირას წელანდელი ნათქვამი და ვიჯერებ, რომ მართლაც, ასეა...

შესასვლელიდან მარცხნივ პატარა კიბეა, რომელიც დაბლა ჩადის. ფანარს ვანათებ...

არავინაა...
კედლებზე უამრავი წარწერაა და ამ წარწერებში ვიღაც სიტუაციის გამძაფრებას, ვიღაც ცინიკური დამოკიდებულების გამოჩენას ვხედავ. წელი ნაბიჯებით დავდივართ და ფოტოებს ვიღებთ.

უკანა კარი ღიაა, ან რომც დაკეტილი, რაღა აზრი აქვს? — მხოლოდ ხის ჩარჩოებიღა დარჩენილი.

— რას გრძნობ? — ვეკითხები ცირას.

— ისინი, უბრალოდ, შველას ითხოვენ...
ღამეა...

...ვერავინ დამარწმუნებს, რომ ხმები, რომელიც მესმის, ვთქვათ, ნაბიჯების, ან ფანჯრის, მეორე სართულიდან არ მოდის.

ჩამონგრეულ ბუხარს ზურგს ვაქცევთ და კიბით მაღლა ავდივართ.

ყველაფერი შემზარავი, რაც კი ოდესმე მინახავს, მახსენდება.

ცირა მშვიდია... დამაჯერებლად მშვიდი და ჩუმი.


მეორე სართულზე, ოთახებში, ყველა კარი ღიაა...

— აი, ის პურებიც, — ვეუბნები ცირას და ყველაფერს ეჭვის თვლით ვუყურებ.

მოფრიალებული კარი ოთახიდან აივანზე გადის...

საშიში არაფერია...
ყველა ოთახში შევდივართ და ვათვალთვლებთ, წარწერები ყველგანაა. ერთ-ერთ ოთახში კედლების ამომწვარ კუთხეს ფოტოს ვუღებ, მაგრამ მხოლოდ ბოლოს, წამოსვლისას დავინახე ის გამოსახულება, რომელიც გადაღებისას არ შემიმჩნევია. მეგონა, უბრალოდ, დამწვარი კედლის ფოტო შემომრჩებოდა... დაკვირვებაც კი არ სჭირდება, ისე დაინახავთ ორ არსებას... მათი ვინაობა ნამდვილად არ ვიცი...

— ბეჭა, გეუბნები, აქ, ამ სახლის მაგივრად ბევრი ხე უნდა დაირგას. მიცვალებულებისთვისაც კარგია, ყველაფერს განმეძღვროს, მაგრამ... ეს შეიძლება, ვინმეს არ აწყობდეს, თუნდაც ამ სახლის პატრონს. მიწა უნდა გათავისუფლდეს!



— რატომ არ უნდა აწყობდეს?
— ძალიან ბევრ რამეს მაღავეს. უნდა გარკვევს...

— ვთქვათ, სახლი უცებ გაქრა... ამით იმ ვიღაცებს, ვინც, რაღაცას მაღავეს, რა დაუშავდებათ? კონკრეტულად, რას მაღავეს, ვერ ხვდები?

— მაგას ვერასდროს მიხვდები, — ცირამ მზერა სადღაც, შორს გადაიჩანა, — არ მინდა ვიფიქრო... თვითონ სახლი არ არის ცუდი, პირიქით, კარგი სახლია და ლამაზი პროექტია. უბრალოდ, სახლის ქვეშ... მათ მოსვენება უნდათ.

— მიცვალებულებს?

— ჰო, ძალიან ბევრნი არიან... დახოცილები და ჩაყრილები... ასეთ ადგილას დიდხანს არ უნდა გაჩერდე. არადა, რა ლამაზი სახლია... ეს ცოლადილი ადგილია და თავს ცუდად გგრძნობ, ჯობია, ისინი დავასვენოთ, წავიდეთ...

— რომ არ დავასვენოთ, რა მოხდება?

— ილუზიებში გადავალთ...

— ხომ შეიძლება, ყველაფერს იმიტომ ვიჯერებო, რომ გვინდა? ამ განწყობით მოვედით...

— შენ, შეიძლება, იჯერებ, მაგრამ მე — არა, ბეჭა... მე არც კი მეშინია, იმდენად ვიცი და ვიცნობ ყველაფერ ამას...
წელ-წელა გამოვდივართ...
ჩამწერიც კვლავ ჩართულია და ვიდეო-აპარატიც.

ვგრძნობ, ცოტაც და წვივების წვა გამოვივლის... ვიცი, აქ აღარასდროს მოვალ.

— სახლის ქვეშ, შეიძლება, მნიშვნელოვანი განძია, მე-17 საუკუნის, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, — ამბობს ცირა და ელდანაცემივით ვტრიალდები... თვალეში ვუყურებ...

მონასტერთან მივედით. მორჩილი ისევ შეგვხვდა და ისევ კერძო საკუთრებაზე გველაპარაკა. ერთი ამბავიც მოგვიყვანა:

თურმე, ერთი ბიჭი მეგობრებს ამ სახლში ჩაუტყავთ, შევაშინოთ და იმ დღის მერე, ბიჭს ეგონა, რომ აქ რაღაც იყო. რასაც გინდა, იმას იჯერებო, მორჩილმა

— მე, იცი, რისი მჯერა? — ეუბნება ცირა, — იმის, რომ ადამიანს სიყვარული გადაარჩენს.

— ერთი რაღაც მაინტერესებს: ამ სახლის ტერიტორია ეკლესიის ხომ არ არის? — ვკითხვლობ.

— ადრე იყო, მე-17 საუკუნეში, — მპასუხობს.

ცირას სიტყვები მახსენდება, განძთან დაკავშირებით...

— ახლა?

— არა.

— ამბობთ, ამ სახლის მეპატრონის ინტერესებს არ ვიცი, ტერიტორიაც მონასტრის არ არის... აბა, ვის ინტერესს იცავ?

— ის ვთქვი, რომ სხვისი ტერიტორიაა ტყე-პარკს ვერ გავაკეთებთ-მეთქი.

— ეს რა არგუმენტია? აქ ხომ ვიღაცები მოდიან, ყვირიან, რაღაცებს ამტვრევენ, მოკლედ, ისე იქცევიან, როგორც არ უნდა მოიქცნენ... ამის აღკვეთა ხომ შეიძლება?

— კი...


— ეს სახლი ხელიდან ხელში გადადის, მაგრამ ახალი მეპატრონეები არც სახლით სარგებლობენ, არც — ტერიტორიით. ამაზე არ დაფიქრებულხართ? — ვეკითხები მორჩილს.

— თავი დაანებე მაგათ, — დაუძახეს ვიღაცებმა მორჩილს. ჩაილაპარაკა, არაფერი ხდებაო და გაგვშორდა...

თბილისისკენ დავიძარით...

— სადმე, ხეებთან გავაჩეროთ, უნდა გავინმინდოთ, — ამბობს ცირა, — თუ პარაფსიქოლოგები და საეკლესიო პირები ერთმანეთს არ დავხვდებით, სიმართლის გაგება გაგვიჭირდება. დასახმარებლად, უპირველესად, ერთმანეთი ისე უნდა შევიყვაროთ, როგორც — საკუთარი თავი, ეს ჩემი დევიზია.

მანქანა ხეებთან გავაჩერეთ... ცირამ ჩაიმუხლა, ბალახზე პატარა ცეცხლი დაანთო, აქ მოდიო. ცეცხლის კვამლი თავზე გადამატარა და თავადაც ასე მოიქცა. შემდეგ ფეხსაცმელი გაიხადა, ფეხშიშველი მივიდა დიდ ხესთან. მოდი, ხელი მიადეო. მივბაძე და ხეს ხელები შემოვხვიე. არ მახსოვს, როდის, მაგრამ ამაზე რომ დავფიქრდი, „კოჯრის სახლიდან“ გამოყოფილი ცუდი ემოციები გამქრალიყო...



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“

კარგა ჯანაძე

საქართველო
საქართველო

გზა ჭაობისაკენ

ტუალეტის ძალადობა დაწერილი დღიური

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №30, 31, 32, 33)

ჯოჯოხეთური ოცნებები

მასწავლებელი კოჭლობა. შინაბერაა. დედობრივი სიყვარული ჩვენზე აქვს გადმოტანილი. გვითხრა:

— აი, ჩემი თითები, რომელიც გინდა მომაჭერთ, მეტკინება. ყველანი მიყვარსართო. მიუხედავად ამისა, პოეტს შეხედებთან ღირსეულნი, პატიოსანნი გვამნიო.

აქ ამბავი ატყდა, მეორედ მოსვლა გეგონებდათ. ხუმრობა საქმე არ გეგონოთ: პოეტების სტუმრობით განებივრებული არ ვართ. სტუმარს კი, მით უმეტეს პოეტს, საკადრისი დახვედრა უნდა — სირცხვილი არ უნდა ვჭამოთ. თადარიგს ვიჭერთ. გეგმა განერილია. მოსწავლეებმა, რომლებიც შაბათობით სოფელში მიდიან თავიანთ ოჯახებში,



საგანგებო დავალება მიიღეს: ძღვეს ჩამოიტანენ — ჩურჩხელები, ლევის ჩირი, დივილი დალალო. შეხვედრის გახსნის ცერემონიის სეფე სიტყვის მომზადებას, წყალი არ გაუვა, მასნი ტვირთულობს. რუდუნებით წერს ქალაღზე მისასაღმებელ დიტირაშებს. სიტყვებს კვეცავს, ასწორებს, შლის. მასწავლებელში უდგას, უანგაროდ უწევს დახმარებას ფილოლოგი, ლიტერატურის პედაგოგი, ლოგოპედი, ქირურგრაფი. მთელი სკოლა ფუტკრების მოზუზუნ სკას დაემსგავსა. დამრიგებელს თავზე ისეთი კობტა ქუდი ახურავს, ფრთები აკლია, ჩათვალეთ, ფუტკრების დედოფალია. საერთო საყოველთაო განვევა გამოცხადდა. იკრიბებიან ბუჩქები, ირწყვება ყვავილები. ლამისაა, ნაძვებიც გადავლებოთ სადღესასწაულო წითელ ფერად. შუშის ნატყების დიდი ყუთი მოათრიეს, ლამის ვალებინო. ოღონდაც ეს მარაზმი არა. რა დავაშავეთ. მთელ სკოლაში ჩვენ რატომა ვართ წითელი კოჭები. დაგვირიგეს. შევესიეთ საკლასო ოთახს — პარკეტის თითო ნაჭერი, გულმოდგინედ იფხიკება. გოგონები, საპნის ქაფით, მეათასედ ფანჯრის შუშებს რეცხავენ. დიდი წმენდა ორ დღეში გადაჭარბებით შესრულდა. ჯერი ადამიანის ესთეტიურ გარეგნობაზე მიდგა. სტუმარს აჩაჩულ-დაჩაჩული ვინ უმასპინძლებს? ჩვენ „პარიკმახერს“, ერთი შეგახედათ, აკრიჭინებს მაკრატელს — ერთ ყაიდაზე შეგვისწორა თმა, მოსწავლურად, თითქმის ნულზე. ინტერნატის სახელწოდებას ვამართლებთ ჩვენი შაბიტუსით. ინკუბატორის წინილებით ვართ. „პარიკმახერი“ თავს იწონებს. ცხვირები რომ არ ჩამოუშვათო, სიტყვას გვანვეს.

— ეს „პარიკმახერი“, შულოჯან, აკადემიურია. ტილი სათოფეზე არ მოგეკარება. თავიც ისუნთქამს, შამაც შალაღად. თმა რად გინდა. მთავარია, კაცი იყო. ჯიბეში თუმინანების შარშია იყოს. პაპაჩემი, რომელმაც ხელობა მასწავლა, შამბობდა, უზგარ, თმას ჭკუა შქონდეს, ერთ ადგილას არ შაბიბინდებოდაო...

„პარიკმახერისგან“ დამოდვრილები სარდაფში, „საპოქნიკ“ ქოსა რუბენასთან ჩავდივართ. რუბენას სახე ერბოსავით უპრიაღებს, მთელი ყბები ოქროს კბილებითა აქვს გამოტყენილი, ფარაონ ახნეტონით. ოთხმოცი წლისაა, ოცი წლის გეგონებთ. ერთდროულად, ამდენი ბიჭის დანახვაზე, სიხარულით სახედარივით იკრიჭება. კბილებიდან არეკლილი შუქი ოქროულობაში გხვეს.

— აფსუს, ისნის ფაბრიკის ფესხაცმელი გეკადრებთ? მითხრან, არა მიბრძანონ, ისეთი მაკასინები შაგეკეროთ, მთელი სამეზობლო მოდიოდეს მის სანახავად. მაგრამ არა უშავს. თქვენ გენაცვალათ რუბენა პაპა ერთ ადგილას. ისე „დაგვიპაჩინკოთ“ ეგ „ტუფლები“, თვითონ ისნის ფაბრიკის დიზაინერმაც ვერ იცნოს და ინატროს, ერთი ეგ „ტუფლები“ ჩამაცვა ერთი საათით, მთელი წლის ხელფასს ჩამოვალო...

თურმე, ჩემო თავო, რას ემზადები, დეღავ, გული რად გიფანცქალებს. ერთი იცოდა, რა იმედგაცრუება გელოდება, თავზე ნაცარს წაიყრიდი, იაშას მომზადებულ გულიაშს გადაივლებდი. მასწავლებლის შეკითხვაზე, როდის დაიბადა ვლადიმერ ილიჩ ლენინი? — უპასუხებდი, დიდი ხნის წინათ, ქრისტეშობამდე, კანთან ერთადო. ასეთი პასუხის მოსმენისას, მასწავლებელში თითებს შეირჭობს. შიშისაგან შეიძლება, ჩაისვაროს. საკლასო ოთახის კარს მივარდეს, გამოვალოს დაფეთებულმა. გარეთ გაიხედოს. ემანდ, სასწავლო ნაწილის გამგე არ იდგესო. ვინ გაპატიებს. ეს ხომ გამოუსწორებელი შეცდომაა. თქვენ, კლასის დამრიგებელს, რისთვის გაძღვეთ სახელმწიფო მსუყე ხელფასს? როგორ, ბავშვებმა არ იციან ელემენტარული თარიღი — ძვირფასი ილიჩის დაბადება? აიკარით გუდა-ნაბადი. დღეის იქით დამლაგებლად იმუშავეთ, ისიც — გამოსაცდელი ვადით...

ასეთ სიბინძურეს როგორ ვიკადრებ. წყალნაღებული კი არ გახლავართ, მაგრამ როცა გამოაცხადეს, მგოსანს ჩურჩხელები შეხვდებიანო, ანუ ისინი, ვინც ნობათი მოაძუნძულეს, გული ჩამწყდა. დანა პირს არ მისწის. მინდა, სურვილი გამიჩნდა, ვეცე დამრიგებელს და როგორც მხეცი ნადავლს,

გავგლიჯო. თანატოლებს, რომელთაც, ჩემთან ერთად ხვდათ პატივი, გამოკლებოდნენ წვეულებას სამეფო კარზე, სულაც არ ანაღვლებთ, კიდევ უხარიათ. სკოლის სტადიონზე ბურთს დასდევენ გახვითქულები. მაგათი ღრიალციელი და გოლის გატანის სიხარულის ყიყინა ჩემამდე აღწევს.

მინდა, გავიქცე... მინდა, ისეთი წვიმა მოვიდეს და დამსველოს, კაცობრიობას რომ არ გაუგონია. ქარი ღმულოდეს, სახეში მცემდეს. რაც შეიძლება, ბუმბერაზი მუხა მოგლიჯოს, დამეცეს და გამჭყლიტოს. დამრიგებელი მოვა, თავზე დამადგება, ცრემლად აღვარღვარდება. ვიშვიშებს, ერთ ამბავშია:

— შვილიკო, ეს რა უბედურება დაგვატყდა.

ამ დროს ყველაფერი მესმის. გაუსაძლიესი ტკივილი მანუხებს. ჯერ კიდევ პირში სული მიდგას. ცოტათი მიხარია, მასწავლებლის. ძალას ვიკრებ. თვალს ვახელ გასული საუკუნის ფილმის გმირივით შეროიკულ პოზაში. თითს ვიშვერ დამრიგებლისკენ, ვამუნათებ:

— როგორ გაბედეთ, ჩემთან მოსვლა. უკვე გვიანია, გატყევილ ქოთანს რა გაამთელებს. თქვენს გამო მოხდა. თქვენ გამწირეთ, არ მომეცით საშუალება, მუშის მსახურს შევხვედროდი. ნუ ტირით. თქვენი ერთი ცრემლისაც არ მჯერა. ემარა თვალთმაქცობა. თქვენ არ ხართ დედაჩემი. მე არ ვარ თქვენი სკოლა. დედა შემახვედრდა პოეტს. პოეტს არავფრში არგია ჩამიჩი და ჩირი. მე ძლიერ მინდოდა გამეგონა მისი ბავშვიდან თავისი შექმნილი ლექსის სიტყვები: „დედაც, ცხოვრების დიდი სანყისო!“ ახლა კი, გამეცალეთ, მაცალეთ მშველად განვისვენო. ნუ აწუხებთ ჩემს ცოდვილ სხეულს. მოვა ჩემი ნამდვილი დედა, ის დამიტყვებს. იქნებ, გამიღიმოს ბეღმა და მის კალთაში დავვლიო სული. ვაიმე, ოჯახო...

კიდევ კარგი, ვოვამ გამომაფხიზლა. ერთი ისეთი მუჯღუგუნე მითავაზა (წამოდი. ვახშამია — ჩაი, კარაქი, პურიო), მთელი ჯოჯოხეთური აზრები დამიფეთიანა. დროული იყო ვოვას გამოჩენა. არადა, ისეთი გასაქანი მივეცი ფიქრებს... სიკვდილი შემდეგისთვის შემოვიწინა. ვანგრევიდ სკოლას, ვანადგურებდი მთელ სამყაროს, როგორ თუ პოეტს არ შემახვედრეს მე, სკოლის სიამაყე, ბიბლიოთეკის ჭია, მუსიკის ამომავალი ვარსკვლავი, მოწინავე მოსწავლე, მესაფლავებების მეგობარი?!

ბედს შევეგუე. რას ვიზამ. გამოუცნობნი არიან კლასის დამრიგებლის საქმენი... საღამოს პოეტთან დაცნარნენ მასწავლებლები და ძღვენიანები (შემდეგ, სასიერო სცენა გათამაშდა. დამრიგებელმა, ბავშვებო, მოდიო, ჩურჩხელები და ლევის ჩირი დანარჩენებს უწნილადათო. ერთ მოსწავლეს ლამის გული წაუვიდა, როგორ თუ ვუწნილადათ დედაჩემის ნაქნარი, პატ მასწავლებელის მოგართვით. მეც კარგად გეახლებითო. გადაირია მასწავლებლის, რას გაანყობდა. თავი გადააქნია. ძალიანაც უნდა, ერთი გემრიელი ალიყური მოსცხოს. კარგი, შვილიკო, — მიანოდა ვაკები, — რახან ასე გადამწყვიტე, მიირთვიო დედაშენის ნაქნარი...

გველს ხვრელიდან ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარო. ვიდრე ბედის ნებეინი კლუბში პოეზიას ეზიარებოდნენ, ჩვენ, წვრილფეხობა ვახშამს ველოდით. ვოვა სადღაც გაშა. მე ნაძვანარში ვდურთოთ თავი სევდიანი ფიქრთ გასართველად. ყორიკა შევამჩნიე, ერთად გავავარძელეთ სეირნობა. ყორიკა ბაიბურში არაა, რა ხდება. ქუდი რომ შეუდგო, კლუბში ვერ შეიყვანა. მაგისი კლუბი, ბიბლიოთეკა და ქიმიის კაბინეტი სასადილოა. ამ დანესებულებას ისეთი მოწინებით ელოლიავება, როგორც კეთილმორწმუნე მუსლიმი — მექას და მედინას. სკოლის შენობას უსარგებლო ხუხულად მოიხსენიებს. ვაკვეთილებს გვაიძულებენ ვისწავლოთ, უბედურების სათავეაო, ან, ეგ შენი მუსიკა ავილოთ, რა ბედენაა. აბა, ყური დაუდგე, როცა იაშა ტრიალებს სამზარეულოში: ქვაბების რახა-ხუხი, ჩამჩების ზრიალი, კოვზებისა და დანა-ჩანგლის წკრია-



საქრეპული
საქრეპული

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ჯიშის

გზა ქაობისაკენ

მე-16 გვერდიდან

ლი, გაზქურის შიშინი – შედრება ამ ტკბილ-
ლხმინობას თქვენი „ცუმა-მარშები“? ვინ
რა თავი იხლისო. ჩემი დარდი არ მყოფნი-
დეს თითქოს, მიწასთან გამასწორა. ერთი
შეგახედათ, ზაზუნასავით იცმუნება –
ორივე ლოყა გამობერილი აქვს. მგონია, ახ-
ლაც სადილიდან გამოყოლილი სარჩოთი
აქვს გამოტენილი ყბები. ორ საქმეს აკეთე-
ბს ერთდროულად: თან მე მომდევრავს, თან
პირის ღრუდან საკვებს კუჭისკენ მიერეკე-
ბა. ვახშობისას იმდენს ჩაიყრის, სტომაქს-
აც ამოიყორავს, ლოყებშიც იმდენს დაიგრ-
ოვებს, მთელი ღამე ეყოფა საცმაცუნოდ.
კიდევ კარგი, ჩემს პალატაში არა სძინავს.
როგორი მოსასმენია, მთელი ღამე მაგისი
ხრზ-ხრზი?! სამზარეულოს ორკესტრის და-
ხასიათება დაასრულა. სახეზე აწერია უკმ-
აყოფილება – ისე ვერ შეამკო, როგორსაც
იმასხურებს და ეკადრება. ცოტათი ჩამოვ-
რჩი, მაგის მოსმენა არ მინდა. დავინახე,
როგორ დახარა თავი სირაქლემასავით. ჩა-
იცუცქა. სიხარულით წაიშრულა. ჩემთან
მოიბრინა, ნახე რა ვიპოვეო, ხელის გული
გაშალა. თვალს არ ვუჯერებ: მაჯის საათი-
ა, ზუსტად ისეთი ფორმისაა, მაჯაზე რო
შეიბნე. გინდა თუ არა, – ხელი სხეულს უს-
წრებს. ერთი შემოშვებოთ სუყველამ, მაჯის
რა საოცრება საათი მიკეთიაო. მე საათი მა-
ქესო, თქვენ კი არ გაქვითო. რა ოხრობად მი-
ნდოდა? – იმ წუთს შენი მომერია. რადაც
უნდა დამიჯდეს, ეს ნივთი ჩემი უნდა გახდ-
ეს. ავხსენი ენას აღვირი.

– ჟორიკ, მომეცი ეგ საათი.
– ჟორიკამ, ლუკმას მაცლიანო პირიდან,
ისეთი ყვეყნი სახით შემომხედა, შუბლზე
ანერია, ოსმალის ჯარიც რომ დამეხსას,
არ დაგანებებო ცოცხალი თავით. არც მე
ვაპირებ ფარ-ხმლის დაყრის. გაჩვენებ-მეთ-
ქი სეირს, დავიქადნე გულში. ვაჭრობა გაჩ-
აღდა, თავი შაითან ბაზარში გეგონებათ.
რას არ შევიპირდი – ოქროს კოშკებს, მთე-
ლი ქვეყნის ავლა-დიდებას. თავს აქნევს ჯი-
უტი სახედარივით, ცივ უარზეა. სიფათზე
ეტყობა, კოხტა საათი მიპოვინია, ახლა ჩემი-
აო. ნათელმა აზრმა გამისხივოსნა გონება –
„მიანექ, ფიცხელ“

– ჟორიკ აბჟორიკ, წლის ბოლომდე, ვახ-
შამზე კარაქი, სადილზე კატლეტი, საუზმე-
ზე კვერცხი... ჩემი წილი შენთვის დამითმ-
ია... შევატყვე, ჟორიკ ჟორიკამ გონებაში
ბულალტერია აამუშავა. შეთავაზებულ პი-
რობას ხარშავს, არ იმჩნევს. რა გამოშვარ-
ება. თვალები დახუჭა, ოცნებაში წავიდა.
წარმოიდგინა, მთელი სიუხვე შეთავაზებუ-
ლია... ცოტა მოლბა, მეგობრულად მხარზე
ხელი გადამხვია. მთელი წელი, ესუბრები,
თავი ვის მოძულენია. კვერცხმა, კარაქმა,
კატლეტმა მთლად მოსპო და მოუღო ბო-
ლო, მაგრამ საათიც რომ არ ეთმობა? რა
ქნას, რა გზას დაადგეს – სურვილებში გაი-
ჭედა, საკუთარ თავთან ჭიდილია. ორი
„მე“ ერთმანეთს დაეჯახა. რომელი აჯობე-
ბს, ვნახოთ. სანყალობლად შემომხედა. ჩემ-
გან ელის შველას.

– კეთილი, ბუასაც წაუყვანიხარ. თორმ-
ეტსაათიან წახემსებაზე კაკაო და ფუნთო-
შა მიფეშქაშები.

გასროლილი ისარი შიგ კაკალ გულში
მოვარტყი. ჟორიკამ, ეეჰო. ხელი ჩაიქნია:

– კარგი, მოგცემ საათს, ოღონდ ერთი
პირობით: ნამოდი, ყველაფერი, რაც დამპი-
რდი, ვოვასთან ფიცით დაადასტურეო.

საუკუნის შეთანხმების გაფორმებას ხე-
ლს არაფერი უშლის. არც არაფერი უკლია.
ვოვა მოვძებნეთ, ყველაფერი ვუამბეთ. ორი-
ვე მხარის პრეტენზიები განიხილა (ჭკუა
მოეკითხება – ტექნიკურ საგნებს, პირდაპ-
ირ, ბრდენის), გაანალიზა. ცალ-ცალკე
გაგვიხმო. დეტალები დააზუსტა. მე მითხ-
რა, ეგ მართლა, აბჟორიკა-ჯორიკა, წესით
და რიგით, ნახევარი საათი შენ გეკუთვნის
იმითომ, რომ შენც იქვე იდექი. ეგ რომ ვუთ-
ხრა, ინფარქტი დამეპრთება. რახან შეთანხ-
მდით, იყოს ნება თქვენიო. აბა, ჩამოართვ-
ით ერთმანეთს ხელი. როგორც კი ხელის
ჩამორთმევის აქტი შედგება, ხელშეკრულე-
ბა ავტომატურად შედისო ძალაში. დადგა
საზეიმო წუთები: ჟორიკას ხელი გავუწო-
დე, ამან კიდევ ზურგი შემაქცია, განვდილი
ხელი გაშეშებული დამრჩა. ბუტბუტებს,
თითებით ანგარიშობს. ვოვას მოთმინების
ფიალა უწყდება, თქვენი დრო სადა მაქვს.

ყაბულს იყავი. რა ეშმაკები შეგიძვრნენ. სი-
ტყვა, სიტყვაა. რას იბრანჭები გოგოსავით.
თქვი – შეასრულე. მოიქეცი, როგორც რაი-
ნდი აივენგო. ჟორიკამ ყურები ცქციტა, ეს
აივენგო ვისი ტიკიტომარაა. ჩვენ სკოლაში
არ უნდა სწავლობდეს, ან რა სახელია აივენ-
გო?

– ბოლო სიტყვას ვამბობ. მომისმინეთ:
თუ კიდევ გავტეხო ფიცი, არ მეღირსოს სა-
სადილოში შესვლა. ათი მანეთი დამიმატ-
ოს.

ვოვა გადაირია. მე უარესი დამემართა.
ათ მანეთს ვინ ოხერი მომაშავებს. დედიკოს
ნებიერი ვარ თუ რა?

– მაგ შენ საათს ერთ ადგილას მიუჩინე
ადგილი. შეგენახება.

დიდი დავიდარაბის შემდეგ. ხუთ მანეთ-
ზე შევთანხმდით. ფულს არდადაგების შემ-
დეგ მოვუტან. ამასობაში ზარი დაირეკა.
ვახშმის დროა. მე ვინ მომაშავებს ხუთ მანე-
თს? – დიდი თანხაა. მთელი სამი თვე ღობე-
ყორეს მოვედე. შინაც ვეძებე. გართავც ვა-
თვალეოვ. ორღობებშიც ვიძრომიალე.
უბნის კუთხე-კუნჭული მიეჩხრიკ-მოჩხრიკ-
ე. ხუთიანი კუპიურა, ცამ ჩაყლაპა თუ დე-
დამინამ, ვერ გავიგე.

გაკვეთილები როგორ მიიზღაზნება. ზა-
ფხულმა კი, ისე ჩაიქროლა, თვალის გაყო-
ლება ვერ მოვასწარი. თქვენც არ მომიკვდეთ.
ვერ გავძეხი, პაპას ვენახში, ქოხში ზღაპრე-
ბის კითხვით. მეუბოლის გოგოსთან ოჯახობ-
ანას თამაშით.

ორშაბათ დილა გათენდა, ჩემთვის უილ-
ბლო... თავი მიდეგს ბალიშზე. საკუთარ სხე-
ულს ჩახუტებული, ადგომას არ ვჩქარობ.
ბუბუბულები მიმღერიან, ინექი, იდილ-იბურა-
ნი, იოცნებეო, მაგრამ ვინ გაცლის შენს გემ-
ოზე დასვენებას.

– ადექი, გაგივანდება.

ძილში გაივლის მთელი შენი ცხოვრება.
რის ვაივალახით ნამოვიზღაზნე. გაჩენის
დღეს ვინყველი. ეზოში, ონკანთან, მადლო-
ბა ღმერთს, კაციშვილი არ ჭაჭანებს. ურიგე
ამათ დილა მშვიდობები, უპასუხე არაფრის-
მომცემ კითხვებს. ყოჩაღ, რა ადრე ამდგარხ-
არ. ხომ კარგად სწავლობ. ისწავლე, ცოდნას
ვერავინ წაგართმევს, შენთანაა მუდამ. უქი-
ცინე ნამძინარე-წინარულიანი თავი. უსმინე
ზოგიერთის ბრიყვულ სურვილს, ეჰ, როგორ
არ აფასებთ სიჭაბუკეს. ერთი შენხელა მაქც-
ია, ჭკუა მომცა, ახლა რომ მაქცეს, მე ვიცი,
რასაც ვიზამდი... ვერ გამოგია, რა ნამუსით
ნატრობენ დიდები ჩვენს წლოვანებას? – ამ-
აოდ იტყუებენ თავს. რა ბოთეებიც იყვენენ,
ისეთივე ბოთეებად დარჩებიან. ამათი თავხ-
ედობა საზღვარს არ სცნობს. სადამდე მიდი-
ან, თუ ხვდებით. მოინდომეს ბავშვობა, თან
იმ გამოცდილებით, რომელიც შეუძენიათ
ვაინარობითა და მამაძაღლობით. რას მი-
ლებენ, ვოქვათ, მოხდა სასწაული – ერთ
დღესაც გაიღვიძეს პატარებმა. უარესს ჩაი-
დენენ, სისხლს გაუშრობენ თანატოლებს.
წარმომიდგენია, თავიანთი ცხოვრებისეუ-

ლი გამოცდილებით როგორ მოატყუებენ
თანაკლასელებს, ჩემი და ჟორიკას საათის
ამბავი სასაცილოდ არ ეყოფათ. საათსაც და-
ითრევდნენ, ტანსაცმელსაც გახდიდნენ ჟო-
რიკა აბჟორიკას. ჩემსავით კი არ მოიქეცი-
დნენ – მთელი წელი ვიმარხულე. ფუჭ და
ამაო ოცნებებს ურჩევნიათ, ერთი აბაზი გაი-
მეტონ. დროშკის ცხენით დამარბენინებენ
მალაზიაში თავიანთ საყიდლებზე. მობრუნე-
ბულ ხურდა ფულს კაპიკ-კაპიკ ითვლიან. ჩე-
მი ჯიბიდან რომ დავამატო, მითომ არაფე-
რი – არც შეიმჩნევენ. აბა, ერთი საყვედური
დამცდეს და არ გავეზავნო, დედა სამპირ
ტყავს გამაძრობს. ვის სიტყვებს მუუბნება,
არ ვიცი. თავისია თუ ვინმესგან მოსმინა, –
ბოლო პერანგიც რომ გთხოვონ, გაიხადე და
ჩააცვიო... – შიშველმა ვიარო, ჩემი სხვას ჩა-
ვაცვა – სადაური ნისია? დედა მრავალმნიშ-
ვნელოვნად თითს მაღლა სწევს – იქაური!..

ცივმა წყალმა მყისიერად გამომაფხი-
ლა. ჩანთაში წიგნებს ვაწყობ. ვაი-ვაგლახით
ესაუბრობ. დროს განელვა მინდა, ვიზინ-
ობ, იქნებ, ამასობაში, შაბათმაც მოაკაუნ-
ოს კარზე. დედამ მითხრას, დღეს უქმეა, სა-
ით გაგინევიო. როდის აქეთაა, სკოლისკენ
გისწრებს სულიო; აზრი არ აქვს, შენს ფაცი-
ფუსც. აბა, შენ მანეთიანი, სერჟიკასთან ერ-
თად კინოში წადითო. როგორც პატარძალს
არ ასცდება პირველი ღამე, ისე მე – ინტერ-
ნატში წასვლა. პიონერის ყელსახვევი გარ-
ეთ გაცვლისთავე მოვისხენი. ჯიბეში ჩაე-
იტენე. ასეც მოუხდება. ეს რომ სახლში ჩამ-
ედინა, მაგრა მომხდებოდა. რაც დედაჩემ-
მა უთო უსვა ყელსახვევს, ძლივს დაუბრუნა
თავისი დანიშნულება. გაჩერებისკენ წავე-
დი. ასე მგონია, მთელი სამყარო ჩემს წინაა-
ღმდეგაა. სახლს რაც უფრო ვშორდები, გუ-
ნება მიფუჭდება. აგერ, მოხუცმა ქალმა ჩამ-
იარა. ძაღლს მიასეირნებს. ცუგომ დამინა-
ხა, კუდის ქიციინით მომესალმა. – შე საბრა-
ლოვ, ეს რა შავ დღეში ჩავარდნილხარ, ვი-
ზიარებ შენს მწუხარებასო. რა მენაღვლე-
ბა. ცოტას გავისეირნებ, ბაღში შევალ, ვი-
რბენ, გულს ვიჯერებ, კატებს დავანიოკებ.
შინ დალილი მივალ. ქეჩაზე ნამოვწვები.
ცოტას დავისეირნებ. შემდეგ ამისა, გემრიე-
ლად გეაზღებთო ძელისგან მომზადებულ
ბულიონს...


თუთის ხეზე ღიდას ბურვავივით ნაპატ-
იევი კატა განოლილა, ჩიტებს ყარაულობს.
არაფრის მაქნისი. ეგ არის დამჭყირა. მიაუს
ძახილს გადაეწვია, ისეა გაზულუქებული.
ნაბიჯს აფუჭარე. კატის დარიგებალა მაკ-
ლია – ცეცხლზე ნავთის დასხმა. მტრისას,
მაგას მწარე ენა აქვს, მტკვარში რომ ჩაყოს,
თუვები გულალმა ამოტრიალდებიან, დაი-
წამლებიან.

ტრამვაიში ავედი, ნახევრად დილა და
სავსეა. ვაგონი გაჭედლია ხალხით. ვამტა-
ნი კარს ვერ კეტავს. კიბეზე ვარ ჩამოკიდე-
ბული, ჰარიჰარალოა. ბაზართან ბევრი ჩამ-
ოვა. კარს არ ვშორდები. ამომსვლელი ბეე-
რია. ჩემი ამოცანაა, ესენი გავატარო. მე კი

კიბეზე დავრჩე. ვინ გაცალა, ერთმა ახმახმა
ხელი მკრა, რას გაჩხერილხარ, ან ადი, ან
ჩვენ გავატარეო. რამდენი უცხვირიპირო
დადის ქალაქის ქუჩებში. ვაგონში შევეტე-
ნე, რომელიც ისეა გაძეცილი, ნემსი არ ჩა-
ვარდება. იქნებ, ბედა გამოლიმოს, ფანჯა-
რასთან ან, სულაც, ვატმანის კაბინამდე მი-
ვიდე. ფანჯარასთან დგომის ოცნებას გამ-
ოვეთხოვე – ფანტასტიკის სფეროა. მიზნ-
ად დავისახე, გავძვრე ამოღენა ხალხის
ჯგროში. ჩანთა გულზე მივიკარი, ყინულმ-
ჭრელივით ვეკვეთ, მგზავრებს შუა მიეძე-
რები რის ვივავალახით. ნამოვიდა შეძახი-
ლები, უი, უი... ვაი, ვაი, ვაი – არ გეტყ-
ვით, გუნება მოგეშაბებათ. ვაგონის შუაგ-
ულამდე ძალა მეყო, არაქათი გამომელია,
დავამუხრუჭე. ამ დროს ტრამვაის ვილაც
ჩემნარმა კვიცმა გადაურბინა. ვატმანმა
მკვეთრი „ტორმუზი“ მისცა. მგზავრები ერ-
თმანეთს უფრო შევიხილენ. ამ აურზაურში
სკამთან მივეხეთქე. კარგია, ცალ ხელში ჩა-
ნთა მიკავია. ცალი ხელით სახელურს მოვე-
ჭიდე. ცალი ფეხით ვგავარ. წინიდან სკამს
ვარ მიჭედებული. თავი თავისუფალია – სა-
ითკენაც გინდა, ატრიალე. გაიხედე მარჯვ-
ნივ, მოიხედე მარცხნივ. ასეც მოიქეცი. ერ-
თი შეგახედათ, რა კმაყოფილი სახეები
აქვთ, ვინც მოასწრო და სკამი მოიპოვა. გე-
გონება, ლატარიის ბილეთით მანქანა მოიგ-
ეს. ფეხზემდგომებს ტყუილად გვაქვს სასწ-
აულის იმედი. სკამმოსწრებულები ბოლო
გაჩერებამდე ფეხს არ მოიცვლიან. ჩემს წინ
დაიასახლისი ზის – ამ დილაადრიან ბაზრი-
დან მოდის. კარგად უვაჭრია. კალთაში სა-
ნოვავით სავსე პარკები ულავია. ცხვირში
მილიტინებს პატარძლის დაკრეფილი კიტ-
რის და მწვანის ქორვა არომბატი. წითე-
ლი, თურაშაული ვაშლები ჩასაკებნად გინ-
ვევენ. ნერწყვი მომადგა. რას ვიზამ?! –
მზერა გადავიტანე ამ ქალის გვერდზე
მჯდომ მამაკაცზე, რომელსაც კალთაში სა-
ბავშვო ბალის ასაკის ბიჭი უზის. პატარას
კარგი გასართობი მოუნახავს – ფანჯრის
შუშას ლოკავს. არ შეიძლებაო, უთხრა მამ-
ამ, თან გვერდზე მჯდომ ქალბატონს შეხე-
და მობოდიშებით, მითომ, მე არ მისწავლე-
ბია ეს მანე ჩვევა, ბაღში ისწავლიდა, ან
ეზოშიო (ბავშვობას მეც მილოკია დაჭირხ-
ლული შუშები. თქვენ?). გამოვესარჩლებო-
დი. არ მეტყვის ეს კაცი, შენ ვინ გეკითხებ-
აო? ვერც გაამტყუნებ. ჩემზე დიდია, მეტი
ჭკუა აქვს... პატარა ონავარი არად დაგიდ-
ევთ მამის გაფრთხილებას, თავის საქმეს აგ-
რძელებს ისეთი მონდომებით, მის გვერდით
რომ ვიჯდე, თამაშში ჩავერთვეოდი. მამი-
კომ, რამდენჯერ გაგაფრთხილო? არ შეი-
ძლებაო შუშის ლოკვა... ერთი ისეთი შალ-
ბანი მოსდო, პატარას სახე დაეზაფრა.
თვალები უშნოდ დააელამა, შიშისაგან მო-
იკუნტა, ასლუკუნდა, მამას უთხრა, ნიშნის-
მოგებით:

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





საქართველო. ქართული იტყუება.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კონსტანტინე კოსტავა

ანჯელინა ჯოლი ისევ ავადა

თანამედროვე მსოფლიოს სექსიმიზოლოდ აღიარებულ, 40 წლის ანჯელინა ჯოლის უკვე გარეგნულადაც ეტყობა, რომ ავადაა. ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვინც პოლიეუდელო ბოლო დროს ნახეს, ამბობენ, რომ ანჯელინა იმაზე უარესი შესახებია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ, ანუ მაშინ იყო, როცა ანორექსია სტანჯავდა.

„სიგამხდრის მიზეზი სერიოზული დაავადებაა, რომლის დაფარვასაც ანჯელინა ცდილობს“, – ნერს პოლიეუდური მედია, თუმცა ექიმები გარეგნულ ცვლილებას ბოლო წლებში გადატანილი ოპერაციებით ხსნიან.

შეგახსენებთ: ონკოლოგიური დაავადების რისკის აღმოსაფხვრელად, მსახიობმა ჯერ ორმაგი მასტექტომია გაიკეთა, შემდეგ კი, საკვერცხეები ამოიჭრა.

„ყველაფერი ეს და მოახლოებული მენოპაუზა შესაძლოა, დეპრესიის გამომწვევი გამხდარიყო, რამაც მადისა და წონის დაკარგვა განაპირობა“, – ამბობს დასტაქართა ნანილი.

პარალელურად, ვრცელდება ვერსია, რომ პოლიეუდელოს არაჯანმრთელი იერი სტრესისა და ოჯახური პრობლემების შედეგია – დადის ხმა, რომ პიტან ქორწინება ინგრევა და წყვილი გაყრის ზღვარზეა. ამასთან, ჯოლი შეუსვენებლად მუშაობს, ბევრს დადის ჰუმანიტარულ მისიებში და მგზავრობისას თითქმის არ იკვებება, ბევრს ეწევა და არაჯანსაღი ცხოვრებით ცხოვრობს.

მემსიკაში ადამიანის თავის ქალბით აზნაბული კედელი აღმოაჩინეს

სპეციალისტების თქით, ეს უცნაური ნაგებობა აცტეკური იმპერიის პერიოდს მიეკუთვნება.

„ოცდაათმეტრიანი პლატფორმის ცენტრში რამდენიმე ათეული ადამიანის თავის ქალაა, რაც საბოლოოდ, წრეს გამოსახავს. ეს რიტუალური წყობა ნაუტალის ენაზე შესრულებული, რომელსაც აცტეკები იყენებდნენ“, – ამბობს არქეოლოგი რაულ ბარერა.

მისივე თქმით, თავის ქალები ზრდასრულ მამაკაცებს ეკუთვნით, თუმცა აქა-იქ ქალების და ბავშვების თავის ქალებიცაა.

„ამ კედელს განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა – თავის ქალების დიდი ნაწილი აცტეკების მტრებს ეკუთვნოდათ, რომლებიც მათ ტყვედ აიყვანეს, მსხვერპლად შეწირეს და თავი მოკვეთეს“, – განმარტავს არქეოლოგი ედუარდო მატოს მოკტესუმა.

ასტერდაში ცნობილი ფრანგი მსახიობი დაჭრეს

პარიზის სარკინიგზო რეისზე, ჩქაროსნულ მატარებელში, ცეცხლი შეიარაღებულმა მამაკაცმა გახსნა, რის შედეგადაც სამი ადამიანი დაშავდა, მათ შორის, ცნობილი ფრანგი მსახიობი, ჟან იუგ ანგლადი. თავდამსხმელის შეჩერება სამმა ამერიკელმა მგზავრმა შეძლო.

გავრცელებული ცნობით, თავდამსხმელის შესახებ საფრანგეთის სადაზვერვო სამსახური ინფორმაციას ფლობდა. ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, აშშ-ის მოქალაქეებს მადლობა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აც გადაუხადა.

ბარაკ ობამას შეფასებით, ამ ადამიანების მამაცობამ მსოფლიოს თავიდან მორიგი ტრაგედია ააცილა.

თავდასხმის დროს მატარებელში 550-ზე მეტი მგზავრი იმყოფებოდა.

არა-ჩვეულებრივი გვირდი





„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავე, ქართულო სიტყვავე!“

კარნეგის


საქართველო
საქართველო

არა-ჩვეულებრივი გვირდი



48 წლის სელმა ჰაიეკი იდეალურ ფორმაშია

48 წლის სელმა ჰაიეკი, 53 წლის მე- ულესთან, ფრანსუა ანრი პინოსა და 7 წლის შვილთან, ვალენტიანასთან ერთად ჰავაიზე ისვენებს. მსახიობის ოჯახს მეგობრებიც – 62 წლის პირს ბროსნანი და მისი მეუღლე კილი შეი სმიტიც შეუერთდნენ. ჰავაიზე სელმა პაპარაცებმა გამოიჭირეს – უცხოურ მედიაში გავრცელებული ფოტოები ნათელყოფს, რომ ასაკის მიუხედავად, სელმა იდეალურ ფორმაშია.



ნასა: „საქართველო დედამიწას ასტეროიდი არ დაეჯახება!“

აშშ-ის კოსმოსური კვლევების სააგენტო მოსახლეობას ამშვიდებს და აცხადებს, რომ დედამიწას ასტეროიდი არ ეჯახება.

ნასა-ს ექსპერტებმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთეს, რაც სოციალურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩვენს პლანეტას, სექტემბრის შუა რიცხვებში, გიგანტური ასტეროიდი დაეჯახება, რამაც შესაძლოა, მექსიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ ამერიკის განადგურება გამოიწვიოს.

ნასა-ს მეცნიერები ირწმუნებიან, რომ კოსმოსში კომეტა ან ასტეროიდი, რომელიც დედამიწას განადგურებით ემუქრება, აღმოჩენილი არაა.

მეცნიერთა თქმითვე, უახლოეს 100 წელიწადში ამ ტიპის ასტეროიდის დედამიწასთან მოახლოება გამორიცხულია.


ალქიმიის თეატრის მსახიობი სცენაზე გაშიშვლდნენ

„როდის გაშიშვლდით ბოლოს და გვერდით მყოფს ფერები ესროლეთ?“ – ასე იწყება ჰანა ელლის-პეტერსენის სტატია, რომელიც ედინბურგის ყოველწლიური ფესტივალის ერთ-ერთ ყველაზე სმაურიან წარმოდგენას ეხება.

პერფორმანსი იბერტიონ ედინბურგის ფესტივალზე ალქიმიის თეატრის კომპანიამ გაიტანა და ის ხუთ წარმოდგენას აერთიანებს. ხუთივე წარმოდგენა თანამედროვე ცხოვრების წესს ახალი კუთხით აჩვენებს: მსახიობები თანდათანობით იხდიან, ბოლოს, მთლიანად შიშვლდებიან და... ერთმანეთს ფერებს ესვრიან.

„განსაკუთრებით ბრიტანულ კულტურაში, შენ ყოველთვის გრცხვენია საკუთარი თავის და ყოველთვის ბოდიშს იხდი საკუთარი თავის გამო“, – ამბობს შოუს დირექტორი, 25 წლის ლუკ კლარკი, – ეს პერფორმანსი ადამიანების ინდივიდუალობის ზეიმაა. დიდი იმედი მაქვს, მაყურებელი იტყვის: დიას, მე ირგვლივ ძალიან ოფიციალური სიტუაცია მაქვს, მაგრამ შესაძლებელია, შევქმნა მომენტი, როცა საკუთარ თავს გამოვცდი. ეს ძალიან მაგარი იქნება“.

ცნობისთვის: ალქიმიის თეატრი კლარკმა და მისმა მეგობარმა დააარსეს. ისინი სცენაზე ადამიანური ბუნების ყველაზე დამალული და საინტერესო თვისებების გადატანას ცდილობენ. პერფორმანსი ედინბურგის ფესტივალზე 9-დან 19 აგვისტოს ჩათვლით აჩვენებს.



ზურა მებრელიშვილის ფოტო

ჯანსულის სიცილნათელები

თამადა

ცისანა კვინტრადეს

ჩვენ ვცხოვრობთ მუდამ თანაბრად, ვერ ჩაგვიტყვის ხიდი, ქალი თუ გინდათ თამადად, „კვინტრალასთან“ მიდით. აბა, მე სხვა გზა ვინ მომცა, „კახურს“ მივირთმევე ლიტრას, დაბადების დღეს გილოცავ, შენ, „კვინტრალა, კვინტრა“!

მწერლის წუხილი

მოვიდნენ გულით მთქმელები ახლის, მართალი კაცის გვიდგას ტრიბუნა. ძველმა მთავრობამ წაგვართვა სახლი, მაგრამ ახალმა არ დაგვიბრუნა!

ნაირნაირად

სულ დადვიდვართ ნაირნაირ პოზაში, თურქი თურქობს, არაბი კი, არაბობს, ადრე რუსებს ვუძვრებოდით „კოზლაში“. ახლა კიდევ ვის ვუძვრებით, არ ვამბობ.

შარბათი

მე ყოველ შაბათს მივირთმევე შარბათს, რაც შეეხება სხვა წამალს, ვუყურებ, როგორც სანამლავს.

ეროვნული

რასაც უცხო თვალთ უმზერ, სხვანაირად ვერ მოუვლი, ერი დაყვანილი ნულზე, არის სიტყვა ეროვნული.



თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) ეიშაბი — „ეპერჯენსი“



დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024



მთავარი რედაქტორი: ჯანსუღ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიანი, მერაბ ბარბაქაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, თეიმოზ გოცაძე, ეზარ კვიციანი, არმან სანაძე.

მედია-ჯგუფი: მერიკა კახაძე, ნათია გომბიძე, ნათია ვერძული, ნათია ლეიანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორექსორდენტი: ზურა მებრელიშვილი.

ბაზათი რეპროდუქციული რემონტის ცენტრის (საბაღასაბლო ინსაფცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი: 26 მანისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulicityva@gmail.com
ბაზათი მომედის თავისუფალი პრესის პრინციპით